კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო

უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

გიგა გოგუა

აშშ-ს წვლილი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კოალიციური სამხედრო-საზღვაო ძალებში და რუსეთის ფაქტორი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა, ასისტენტი,

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

თბილისი 2021

ანოტაცია

თანამედროვე პერიოდში ჩრდილოატლანტიკური ალიანსს გააჩნია თავისი მიზნები და ინტერესები მსოფლიოში. ნატო არის უძლიერესი სახელმწიფოების კავშირი და მისი მთავარ მიზანი და ამოცანაც მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა და შენარჩუნებაა. ასევე, ნატოს ფუნდამენტურ მიზანს წარმოადგენს წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოება და ნებისმიერი სახის მტრისგან მათი დაცვა. ამ ყველაფრის შესასრულებლად აუცილებელია, სამხედრო-საზღვაო ძალები. აშშ-ს ფლოტი არის ნატოს მთავარი და ყველაზე ძლევამოსილი იარაღი ზღვაში.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მთავარ მტრად დასახელებული სახელმწიფოს, რუსეთის ფედერაციას, საკმაოდ ძლიერი საზღვაო ფლოტი ჰყავს, მაშინ გავაცნობიერებთ, რომ ამერიკის ფლოტის მნიშვნელობა ნატოსთვის ძალიან დიდია. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, სამხედრო საზღვაო ფლოტის ბირთული და თავდაცვითი პოტენციალიც.

ბოლო დროს ტერორისტული საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლისთვის აქტიურად გამოიყენება სამხედრო საზღვაო ფლოტი. 2017 წლის 25 მაისს, ნატოს სამიტზე, ბრიუსელში ალიანსი ოფიციალურად შეუერთდა კოალიციას ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ. ნატოს სამხედრო საზღვაო ფლოტი მონაწილეობდა ისლამური სახელმწიფოს პოზიციების დაბომბვაში.

ნაშრომში განხილულია აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ფლოტის წვლილი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კოალიციური სამხედრო-საზღვაო ძალებში და რუსეთის ფაქტორი; ნატოს კოალიციური სამხედრო-საზღვაო ძალების მიზნები, ამოცანები, შესაძლებლობები და პოტენციალი.

Annotation

US contribution to the North Atlantic Alliance Coalition Navy and the Russian factor

In the modern period, the North Atlantic Alliance has its goals and interests in the world, NATO is an union of the strongest states and its main goal and task is to promote and maintain peace and security. Also, the fundamental goal of NATO is the security of the member states and their protection from any kind of enemy.

To accomplish all of this, the U.S. Navy is NATO's main and most powerful weapon at sea. If we consider that the Russian Federation, the main enemy of the North Atlantic Alliance, has a fairly strong navy, then we will realize that the importance of the US Navy for NATO is very great. At the same time, the nuclear and defense potential of the navy is important.

Recently, the Navy has been actively used to fight the terrorist threat. On May 25, 2017, at the NATO Summit in Brussels, the Alliance formally joined the Coalition Against Islamic State. The NATO Navy was involved in bombing Islamic State positions.

In the work is discussed about the contribution of the US Navy to the North Atlantic Alliance Coalition Navy and the Russian factor; The goals of the NATO Coalition Naval Forces,Tasks, opportunities and potential.

Giga Gogua

სარჩევი

ანოტაცია.....2

Annotation.....3

შესავალი.....5

თავი I. აშშ-ის ფლოტის ფაქტორი ნატო-ს კოალიციურ სამხედრო-საზღვაო ძალებში.....15

1.1 სამხედრო-საზღვაო ძალების მნიშვნელობა თანამედროვე კონფლიქტებში.....15

1.2 ნატო-ს სამხედრ-საზღვაო ძალები.....26

1.3 აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალები და მათი როლი ნატო-ს უსაფრთხოებაში.....30

1.4 რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ძალები.....43

თავი II. 21-ე საუკუნეში ნატო-ს კოალიციური სამხედრო-საზღვაო ძალების როლი ბირთვულ შეკავების პოლიტიკაში 50

2.1 ნატო-ს ბირთვული შეკავების და თავდაცვის სტრატეგია 50

2.2 ალიანსის ბირთვული შეკავების პოლიტიკაში აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მნიშვნელობა.....62

თავი III. ნატო-ს კოალიციური სამხედრო-საზღვაო ძალების როლი შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.....66

3.1 რუსეთის საზღვაო ძალები შავ ზღვაში და არსებული კონფლიქტები.....66

3.2 ნატო-ს სამხედრო-საზღვაო ფლოტის მონაწილეობა სამშვიდობო მისიებსა და ტერორიზმთან ბრძოლაში.....73

3.3. ნატო-ს სამხედრო-საზღვაო ძალების მნიშვნელობა შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.....76

დასკვნა.....81

გამოყენებული ლიტერატურა.....86

დანართები.....88

შესავალი

კაცობრიობის ისტორია არის მუდმივი დაპირისპირებების მატიანე სხვადასხვა ნიადაგზე: ეს იქნება რელიგიური, პოლიტიკური, პიროვნული ეთნიკური, ნაციონალური, ეკონომიკური თუ სხვა. სახელმწიფოს წარმოშობიდან ეს დაპირისპირება სახეზე გვაქვს, შესაბამისად ომი დაპირისპირების ნიადაგზე ჩვეულებრივი მოვლენა დღემდე ასეა.

საკმარისია მსოფლიო ომების ისტორიას გადავხედოთ, დავინახავთ, როგორი სისხლისმღვრელი შეილება, იყოს დაპირისპირება სახელმწიფოებს შორის. პირველი მსოფლიო ომის დროს მილიონობით ადამიანი დაიღუპა. გამოიყენეს ქიმიური იარაღი, საბრძოლო ტანკი. ტექნოლოგიურმა პროგრესმა ადამიანებს დაანახა ომის და ბრძოლის ახალი საშუალებები.

თემის აქტუალურობა

კოალიციური სამხედრო-საზღვაო ძალები არის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, რომლიც ამყარებს ნატო-ს, როგორც სამხედრო ალიანსის სიძლიერეს. სამხედრო-საზღვაო ძალები, ასევე, უზრუნველყოფს ნატო-ს მიზნებისა და მისწრაფებების განხორციელებას, რომლებსაც მობილურობის მაღალი დონე სჭირდება, სამხედრო გადაზიდვებს, ლოგისტიკა და ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებს.

მსოფლიოში ტერორიზმი წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას. ნატო-ს ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ მნიშვნელოვანია. მისი ერთ-ერთი მთავარი ელემენტი სამხედრო-საზღვაო ძალებია, რაც კიდევ ერთხელ გამოჩნდა როდესაც 2017 წლის 25 მაისს ნატო-ს სამიტზე, ბრიუსელში, ალიანსი ოფიციალურად შეუერთდა კავშირს ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ. ჩრდილოატლანტიკური კოალიციური სამხედრო-საზღვაო ძალები მონაწილეობდა ისლამური სახელმწიფოს პოზიციების დაბომბვაში.

თანამედროვე პერიოდში მსოფლიოში რიგი ქვეყნების(ჩინეთი, რუსეთი და სხვა) სამხედრო-საზღვაო მილიტარიზაციის ფონზე აუცილებელი გახდა ალიანსის საზღვაო-სამხედრო პოტენციალის მოდერნიზება და გაძლიერება, რადგან თანამედროვე პერიოდში მდგომარეობა შეიცვალა და უკვე გაჩნდა ახალი

ტექნოლოგიები, როგორიც არის მართვადი ფრთოსანი რაკეტები, სადაზვერვო რადარები. საზღვაო ფლოტი გახდა არა ერთი სარაკეტო კრეისერი ან სხვა ტიპის საზღვაო ხომალდი, არამედ სამხედრო-საზღვაო ტექნიკის კომბინირებული ერთობლიობა, რომლის ჩაძირვაც და განადგურებაც არის ძალიან რთული ამოცანა.

დღეს ავიამზიდს, თავისი დამრტყმელი ჯგუფით, შეუძლია, ასობით კილომეტრის რადიუსზე აკონტროლოს მის გარშემო სივრცე რადარებით, წყალქვეშა ნავებით, სადაზვერვო თვითმფრინავებით, რომელიც ავიამზიდზეა განთავსებული დრონებითა და სხვა საშუალებებით.

ასევე, მნიშვნელოვანია ბირთული კომპონენტი. ალიანსის მთავარი საფრთხე, რუსეთის ფედერაცია, მსოფლიოში ყველზე მეტ ბირთულ ქობინს ფლობს. ამავე დროს, გააჩნია საუკეთესო სახმელეთო ბაზირების ბირთული კომპონენტი. მსოფლიოში ბირთული სახელმწიფოების რიცხვი იზრდება. ,ირანი ,ჩრდილოეთ კორეა _ ეს ის სახელმწიფოები არიან, რომლებიც ცდილობენ, ბირთული იარაღის შექმნას, რაც რეგიონსა და მსოფლიოში უსაფრთხოებას უქმნის საფრთხეს. ალიანსის მთავარი ამოცანაა მზად იყოს ნებისმიერი სცენარისთვის. სამხედრო-საზღვაო კოალიციური ძალები კი _ ბირთული საფრთხისგან თავდაცვის საშუალებაა.

ერთ დროს მიჩნეოდა, რომ საზღვაო კომპონენტმა გადაინაცვლა უკანა პლანზე და თანამედროვე შეიარაღების მიმართულებით უფრო აქტუალური გახდა საჰაერო ძალები. ომის წარმოების ფაქტორებმა განაპირობა ის, რომ დამტკიცდა საზღვაო ფლოტის სიძლიერე და მისი ფლობის სტრატეგიული მნიშვნელობა.

ნაშრომის მიზნები:

- აშშ-ს სამხედრო საზღვაო-ფლოტის მნიშვნელობის ძირეული შესწავლა და გააზრება;
- გლობალურ დონეზე აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ფლოტის სიძლიერის წარმოჩენა;
- ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბირთული შეკავების პოტენციალის განსაზღვრა;
- ამერიკის საზღვაო ფლოტის პოტენციალის განსაზღვრა.

ნაშრომის ამოცანები:

- აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ფლოტის როლი ნატო-ს მიერ საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების გამყარებაში;
- აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ფლოტის როლის წარმოჩენა ალიანსის უსაფრთხოებაში;
- ნატო-ს ფლოტის სამხედრო ძლიერების შეფარდება მის მთავარ მოწინააღმდეგესთან, რუსეთთან.

საკვლევი კითხვები:

- რა უპირატესობა აქვს ნატო-ს კოალიციურ სამხედრო-საზღვაო ძალებს მისი მოწინააღმდეგის ფლოტთან შედარებით;
- შეუძლია თუ არა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ნატოს კოალიციურ სამხედრო-საზღვაო ძალებს ამოცანების შესრულება;
- არის თუ არა ნატოს კოალიციური სამხედრო-საზღვაო ძალები უფრო ძლიერი ვიდრე მისი მთავარი მოწინააღმდეგის, რუსეთის, ფლოტი.

ჰიპოთეზა H 1

21-ე საუკუნეში მობილური სამხედრო ძალების არსებობას უდიდესი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან საფრთხე შეიძლება, ალიანსისთვის მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან მომდინარეობდეს. საფრთხეზე რეაგირების საუკეთესო საშუალებაა ისეთი მრავალფუნქციური სამხედრო-საზღვაო ძალების არსებობაა, როგორც ნატო-ს გააჩნია. ტერორიზმი ან სხვა საფთხეები შეიძლება, ნატო-სგან ტერიტორიულად სრულიად შორს გაჩნდეს და მის განადგურება გახდეს საჭირო ზღვიდან. ისლამური სახელმწიფოს მაგალითზე ვნახეთ, რომ ნატო-ს კოალიციური სამხედრო-საზღვაო ძალები მასირებულ შეტევას ახორციელებდა ტერორისტებზე. თანამედროვე პერიოდში აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ფლოტს შეუძლია ალიანსის უსაფრთხოების უზრუნველყოფა საზღვაო კომპონენტში.

ჰიპოთეზა H 2 ნატოს მთავარი საფრთხე რუსეთის ფედერაციაა, რაც ნატოს ოფიციალური პოზიციაა. რომელსაც გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სამხედრო-საზღვაო ძალები, მის ფლოტში ძირითადი მიმართულება არის წყალქვეშა ნავები საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებით და სახმელეთო ბაზირების სტრატეგიული შეიარაღება. თავის მხრივ ნატოს მსოფლიოში ყველაზე ძლიერი და მრავალრიცხოვანი კოალიციური სამხედრო-

საზღვაო ძალები გააჩნია, რომელიც რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფლოტს რაოდენობით რამდენჯერმე აღემატება და უმრავლეს მიმართულებებში ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისითაც ბევრად უსწრებს. ნატოს საღვაო ძალებს შეუძლია ალინსის ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

კვლევის საგანი და ობიექტი:

კვლევის საგანია: აშშ-ის როლი და ფაქტორი ნატოს კოალიციურ სამხედრო-საზღვაო ძალებში.

კვლევის ობიექტია: რუსეთის ფაქტორი და გავლენა ნატოს უსაფრთხოებაზე და ალიანსის სამხედრო-საზღვაო ძალების შესაძლებლობები 21-ე საუკუენში.

კვლევის მეთოდოლოგია

რეალიზმის თეორია _ რეალიზმი არის მიმართულება (სკოლა) პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ, რომელიც დაარსებულია თუკდდეს მიერ. მოძრაობას საფუძვლად დაედო ფლორენციელი გენიოსის, ნიკოლო მაკიაველის, ნაშრომი „მთავარი“ და მისი მოსაზრებები. რეალიზმის თანამედროვე მიმართულება, პოლიტიკური რეალიზმი, შექმნა ჰანს მორგენთაუმ.

მანჰაიმი საზღვაო ძალის თეორია _ საოკეანო ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ფლოტებს ენიჭებათ გადამწყვეტი როლი სახელმწიფოს ძალაუფლების უზრუნველყოფის საქმეში და ამ მიზნით საზღვაო ქვეყნებმა: 1) მუდმივად უნდა უზრუნველყონ ძლიერი სამხედრო ფლოტის მზადყოფნა; 2) ამ მიზნის განსახორციელებლად უნდა ააშენონ საყრდენი პუნქტები მთელ მსოფლიოში; 3) უნდა განავითარონ სავაჭრო ფლოტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნისთვის აუცილებელი საზღვაო გადაზიდვები. (მშვიდობიანობის დროს და ომის პერიოდში). სავაჭრო ფლოტი ასრულებს განსაზღვრულ ამოცანებს საზღვაო-სამხედრო ფლოტთან ერთად.

ძალთა ბალანსის თეორია _ ძალთა ბალანსი საერთაშორისო ურთიერთობებში არის მსოფლიო გავლენის განაწილება ცალკეულ ძალის ცენტრებზე _ პოლუსებზე. მას შეუძლია, მიიღოს სხვადასხვა კონფიგურაცია: ბიპოლარული, სამ პოლუსიანი, მრავალპოლარული (ან მულტიპოლარული) და ა შ. ძალთა ბალანსის მთავარი მიზანია საერთაშორისო სისტემაში ერთი სახელმწიფოს ან ქვეყნების ჯგუფის

დომინირების აღკვეთა, ვინაიდან საერთაშორისო სისტემა არის ანარქიული და მას არ ჰყავს უმაღლესი ხელისუფალი.

სექიურითიზაციის თეორია_ კოპენჰაგენის სკოლის თეორია, რომელიც კონსტრუქტივიზმის თეორიაში საზოგადოების ჩართულობას ითვალისწინებს . მისი ავტორები არიან ვივერი და ბუზანი.

ბირთული შეკავების თეორია _ ბირთვული იარაღის გამოყენების მუქარის საშუალებით მტრის ნებისმიერი მოქმედების პრევენცია. ბირთული შეკავება ნიშნავს, რომ ქვეყნის მიერ ბირთვული იარაღის ფლობა იწვევს სხვა ქვეყნის შიშს და, შესაბამისად, უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებასა და აგრესორთა თავდასხმისგან დაცვას.

გეოსტრატეგიული ბალანსის თეორია _ შეისწავლის საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში აქტორებს შორის არსებული კონფლიქტების თავიდან აცილების შესაძლებლობებს. მასშია მოცემული რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობა, რომელსაც აქვს დიდი მნიშვნელობა და ზეგავლენა საერთაშორისო სისტემაზე.

რიმლენდის, ანუ „სანაპირო ზონების“ **თეორია.**

კვლევის მეთოდები:

თვისობრივი კვლევის მეთოდები _ სოციალური კვლევის მეთოდების ჯგუფი, რომელიც აერთიანებს ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა: სიღრმისეული ინტერვიუ, „ცხოვრების ისტორია“, ფოკუს-ჯგუფი, დაკვირვება, მონოგრაფიული გამოკვლევა... ეს მეთოდები ცნობილია, როგორც „მოქნილი“ მეთოდები და, რაოდენობრივი მეთოდებისაგან განსხვავებით, მიზნად ისახავს არა შესასწავლილი ფენომენის რაოდენობრივი გავრცელების სურათის დადგენას, არამედ მის სიღრმისეულ შეცნობას.

ისტორიულ-აღწერილობითი მეთოდი

პოლიტიკის ანალიზის მეთოდი _ პოლიტიკის ანალიზის პროცესში გამოყენებული მეთოდებისა და ტექნიკების ერთობლიობა, რომელებიც პოლიტიკის განხორციელებამდე საზოგადოებრივ პრობლემებზე რეაგირების მიზნით, შესაძლო ალტერნატიულ გადაწყვეტილებათა პოტენციურ ზეგავლენებს

აანალიზებს და მათ შორის შედარების საფუძველზე, ოპტიმალური გადაწყვეტის გზის ძიებითაა დაკავებული.

მონაცემთა ანალიზის მეთოდი

Case Study (შემთხვევის გარჩევა) _ ეფუძნება მოდელირებული ან რეალური სიტუაციის გამოყენებას მისი ანალიზის, პრობლემის გამოვლენის, მისი გადაჭრის ალტერნატიული გზების მოძიებისა და ოპტიმალური გადაჭრის მიზნით.

კონტენტ ანალიზი _ რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდი, რომელიც დაკავშირებულია მედიის შინაარსის (ინფორმაციის) შესწავლასთან, როდესაც ხდება მისი კლასიფიკაცია ფორმალიზებული პრინციპით.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა:

ნაშრომი გამოადგება ანალიტიკოსებს, რომლებიც დაინტერესებული არიან უსაფრთხოებით, მათ შორის, ბირთული უსაფრთხოებითა და აშშს-ს სამხედრო საზღვაო ფლოტით. ასევე, საერთაშორისო უსაფრთხოების მკვლევარებს. გარდა ამისა, ნაშრომის გამოყენება შესაძლებელია საბაკალავრო პროგრამაში.

ნაშრომში გამოყენებულია ლიტერატური მიმოხილვა, რომელშიცაა ინფორმაცია ამერიკის საზღვაო ფლოტის, მისი სხვადასხვა კომპონენტისა და საზღვაო ფლოტთან დაკავშირებული თეორიების შესახებ.

Tomas j katler The Bluejacket's Manual, 25th Edition (Blue & G old Professional Series) published by the naval institute 1902, Annapolis MD

ნიჩბიანი გემებისა და ნახშირის საწვავის ძრავების დროიდან XXI საუკუნის კომპიუტერულ ეპოქამდე, Bluejacket's Manual ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში ამერიკული მეზღვაურის აუცილებელ წიგნს წარმოადგენდა, რომელიც ახალწვეულთა და საზღვაო ძალების შეისწავლას წარმოაჩენს, როგორც ცნობარი წიგნი, ყველა რანგის მეზღვაურთათვის; მეზღვაურის მიერ დაწერილი საზღვაო სამსახურის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა საზღვაო მოვალეობას საპატრულო ხომალდში, გამანადგურებლებში, კრეისერებსა და თვითმფრინავების გადამზიდავებში როგორც ოფიცრად, ასევე "თეთრ ქუდად".

ამ უახლეს რედაქციას ჩაუტარდა კაპიტალი, რომელიც ასახავს დღევანდელი ვითარების არსებულ მდგომარეობას შეერთებული შტატების საზღვაო ფლოტში.

მოიცავს თავებს, გემებსა და თვითმფრინავებში, ფორმებს, იარაღს, დაზიანების კონტროლს, კომუნიკაციებს, საზღვაო წესრიგებსა და ცერემონიებს, უსაფრთხოებას, ხელმძღვანელობას, ანაზღაურებას და შეღავათებს, საზღვაო მისიებს, სამხედრო საფუძვლებს და საზღვაო ძალებს...

Edward Hampshire Soviet Cruise Missile Submarines of the Cold War published by Osprey publishing July 24, 2018

საბჭოთა კავშირის წყალქვეშა ნავები აღჭურვილი გახლდათ ფრთოსანი რაკეტებით. Oscar II - კლასის მსგავსი ტიპის წყალქვეშა ნავები იყო ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და სახიფათო იმ დროისთვის მსოფლიოში.(ცივი ომის პერიოდში)

თავდაპირველად მათ მიზანს წარმოადგენდა ბირთული ქობინიანი ფრთოსანი რაკეტების ტარება მიზნის გასანადგურებლად ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ხმელეთზე. მაგრამ 1960 -იან წლებში ყველაფერი შეიცვალა და მათი მოდერნიზაცია მოხდა ახალი სამიზნისთვის ,რომელსაც წარმოადგენდა ამერიკული ავიამზიდი.

ეს არის სრულიად ილუსტრირებული კვლევა საბჭოთა კავშირის იმ დროისთვის ყველაზე სახიფათო წყალქვეშა ნავების შესახებ . რომლებიც მსოფლიოში ოდესმე შექმნილ საზღვაო ხომალდებს შორის სიდიდით ერთ-ერთი ყველაზე დიდები და სწრაფები იყვნენ.

ისინი საბჭოთა კავშირის ფლაგმანებს წარმოადგენდნენ წყალს ქვემოთ და ომის დაწყების შემთხვევაში დიდ პრობლემებს შეუქმნიდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებს და ნატო-ს სხვა სახელმწიფოებს.

Steve wills Strategy Shelved: The Collapse of Cold War Naval Strategic Planning published by Naval institute August 15, 2021

დროთა განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგია იხრება დიდი სახელმწიფოების ერთმანეთთან კონკურენციისკენ სამხედრო საქმეში.

Strategy shelved _ აკეთებს ანალიტიკურ შეფასებას ცივი ომის პერიოდის ,იკვლევს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო -საზღვაო სტრატეგიას მეორე მსოფლიო ომიდან 1994 წლამდე.

სტივენ უილისმა დადო მნიშვნელოვან დასკვნები სამხედრო სტრატეგიების წარმატებისა თუ წარუმატებლობის შესახებ აშშ-ის ამ პერიოდებში. ის ახდენს ასევე ანალიზის ფოკუსირებას 1970-1980 იან წლებზე. ამავე დროს, აანალიზებს ვიეტნამის ომსა და სამხედრო ოპერაციას სპარსეთის ყურეში; აფასებს იმ დროისათვის სამხედრო-საზღვაო სტრატეგიებს მის პლიუსებს თუ ნაკლოვანებებს, წარმატებას თუ წარუმატებლობას.

შემდგომ უილისი აღნიშნავს, რომ 1990 წელს მოხდა რევოლუცია სამხედრო-საზღვაო საქმეში, რამაც ამერიკის ფლოტის ძლევამოსილება განაპირობა.

ის საუბრობს, ასევე, ისეთ სისტემებზე რომლებმაც ცივი ომის პერიოდში ამერიკის ფლოტს წარმატება მოუტანა და გააძლიერა ფლოტის დომინირება მსოფლიოში. ეს სისტემებია, მაგალითად, AEGIS- ი .

სტივენის აზრით, სტრატეგია სამხედრო საზღვაო ფლოტისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის არის, თუნდაც იმისთვის, რომ ამერიკამ რუსეთისა და ჩინეთის მზარდ მილიტარიზაციას გაუწიოს წინააღმდეგობა .

ავტორი 2007- 2015 წლის სამხედრო -საზღვაო ძალების სტრატეგიის შესახებ დოკუმენტების ანალიზით ასრულებს .

Naval Postgraduate School U.S. Decision Making and Post-Cold War NATO Enlargement published by Create Space Independent Publishing Platform December 16, 2015

ამ წიგნში არის გამოკვლეული მთავარი ფაქტორები რამაც ზეგავლენა მოახდინა ამერიკის შეერთებული შტატების გადაწყვეტილებებზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოებასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1989-1991 წლებში.

როდესაც ცივი ომი დასრულდა, ნატო-ში გაჩნდა ეჭვები იმასთან დაკავშირებით, უნდა გაეგრძელებინა თუ არა ფუნქციონირება ალიანსს მთავარი მტრის, საბჭოთა კავშირის, დაშლის შემდეგ. არ იყო ნათელი ნატო-ს მომავალი 21-ე საუკუნეში.

ნატო-ს ფლაგმანი სახელმწიფო იყო ამერიკის შეერთებული შტატები და მის წარმატებასა და სიძლიერეს განაპირობებდა. ამ წიგნში იმ ფაქტორებზეა საუბარი, რომლებიც ამერიკის ადმინისტრაციას გადააწყვეტინა მხარი დაეჭირათ ნატო-ს გაფართოებისთვის.

შემდგომ მსოფლიოში ახალმა პრობლემებმა იჩინა თავი, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეგიონში იყო არასტაბილურობა. ასევე, საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები გამოვიდნენ ასპარეზზე, როგორიც არის ალ - ქაიდა.

Conrad Waters Seaforth World Naval Review 2019 published by Naval Institute Press November 15.2018

World Naval Review 2019-ის მეათე საიუბილეო გამოცემაა, რომელიც გვთავაზობს უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში სამხედრო-საზღვაო ფლოტთან დაკავშირებულ მოვლენებსა და მათ ანალიზს. რეგიონულ მიმოხილვას; ფლოტის მიერ გაკეთებული ახალი შენაძენების განხილვას. გამოცემის მთავარი ღირშესანიშნაობაა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის ახალი ფლაგმანი USS Gerald .R Ford-ისა და ბრიტანეთის საზღვაო ძალების ფლაგმანის Queen Elizabeth–ის განხილვა. ეს ორი საზღვაო-სამხედრო ხომალდი არის ყველაზე დიდი ხომალდები რომლებიც ამ ქვეყნებს აუგიათ.

Anthony Tucker-Jones Soviet Cold War Weaponry: Aircraft, Warships, Missiles and Artillery (Modern Warfare) published by Pen & Sword Aviation October 30, 2015

ეს არის ენტონი ტაკერის წიგნის დამატებითი ტომი, რომელიც საბჭოთა ტანკების ფოტოგრაფიული ისტორიაა. ეს დამატება მოგვითხრობს თვითმფრინავებისა და სამხედრო ხომალდების შესახებ, რომლებიც ცივი ომის დროს ჰყავდა საბჭოთა კავშირს.

ცივი ომის დრო სულაც არ ყოფილა ცივი სუპერ სახელმწიფოებისთვის, თუ გავითვალისწინებთ მოვლენებს აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში. 1950-1980 წლებში ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირში ათასობით ერთეული ტექნიკის გამოდიოდა სამხედრო დანიშნულების ქარხნებიდან.

მიმდინარეობდა გამალებული შეიარაღება და ასევე კონკურენცია ნატო-სა და საბჭოთა კავშირს შორის, ვინ უფრო კარგ სამხედრო ტექნიკას შექმნიდა.

იმ დროში შექმნილი სამხედრო ტექნიკა დღესაც არის შეიარაღებაში სხვადასხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციებში, ასევე.

Naval Postgraduate School NATO's Deterrence and Defense Posture: After the Chicago Summit published by Create Space Independent Publishing Platform June 18, 2014

ნატო-ს თავდაცვითმა კოლეჯმა და ბირთული პოლიტიკის დირექტორატმა, ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების წარმომადგენლებთან ერთად, ჩაატარეს სემინარი ჩრდილოატლანტიკური კავშირის მომავალზე ბირთული შეკავების მიმართულებით.

განხიხილეს ბირთული შეკავების ტაქტიკები და სტრატეგიები. ასევე, ბირთული შეკავებისთვის რაოდენ მნიშვნელოვანია სტრატეგიული კომუნიკაციების არსებობა . საუბარი იყო დაფინანსებასთან დაკავშირებით ეკონომიკური კრიზისის ფონზე . განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა სარაკეტო თავდაცვა.

ალიკა გუჩუა, ვახტანგ მაისაია: ნატო და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორები (ისლამური სახალიფო, ალ-კაიდა და თალიბანი) _მეოთხე თაობის ომის სტრატეგია და მისი რეგიონული და ეროვნული უსაფრთხოების გეოპოლიტიკური ასპექტები (2010-2019 წლები)" გამომცემლობა : შპს თბილისელები პრინტი თბილისი, 2020.

სახელმძღვანელოში მოცემულია ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და არასახელმწიფოებრივი აქტორების შესახებ ვრცელი ინფორმაცია. ასევე, არის ძალიან მნიშვნელოვანი ნატო-უელსის სამიტი და მისი ანალიზი ავტორების მხრიდან .

ალიანსის მასობრივი განადგურების იარაღის გაურევლობის პოლიტიკა და მისი სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღების როლი ალიანსის გეოსტრატეგიისა განსაზღვრაში. სახელმძღვანელოში მოცემულია დეტალური ინფორმაცია და საინტერესო ანალიზი, რომლის მეშვეობითაც ჩრდილოატლანტიკური კავშირის პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებებზე სწორი და სარწმუნო ინფორმაციის მიღება არის შესაძლებელი .

ჩიტაძე ნ. „გეოპოლიტიკა". გამომცემლობა: „უნივერსალი" , თბილისი-2011.

წიგნში მოცემულია გეოპოლიტიკის ცნების არსი და განხილულია გეოპოლიტიკური თეორიები; აღწერილია გეოპოლიტიკის განვითარების ისტორია. წიგნში განხილულია სხვადასხვა ქვეყნის გეოპოლიტიკური სკოლები; . საუბარია თალასოკრატიასა და თელუროკრატიაზე. წიგნში გააზრებულოა მანჰაიმის თეორია საზღვაო ძალების შესახებ .

თავი I. აშშ-ს ფლოტის ფაქტორი ნატოს კოალიციურ სამხედრო-საზღვაო ძალებში

1.1 სამხედრო საზღვაო ძალების მნიშვნელობა თანამედროვე კონფლიქტებში

მეორე მსოფლიო ომი არანაკლებ სისხლისმღვრელი იყო და მასში ტექნოლოგიური პროგრესი უფრო შეიმჩნეოდა. რა თქმა უნდა, ლინ კორის ტიპის საზღვაო ხომალდები გამოვიდნენ ასპარეზზე: წყალქვეშა ნავები, მასობრივი განადგურების იარაღი და სხვა. ტექნოლოგიური პროგრესი ადამიანების დახოცვის სხვადასხვა სახის მასობრივი საშუალებების გამოჩენასაც უწყობს ხელს. გარდა მისი ყველა დადებითი ბენეფიტისა, რაც, რა თქმა უნდა, გარდაუვალი მოცემულობაა.

მეორე მსოფლიო ომი დასრულდა ნაცისტური გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხებით, მაგრამ ბოროტება სრულიად არ დამარცხებულა, ის ისევ დარჩა საბჭოთა კავშირის სახით.

1946 წელს, 5 მარტს, ფულტონში ვინსტონ ჩერჩილი სიტყვით გამოვიდა და პირველად ახსენა ტერმინი „რკინის ფარდა“, რომელიც საბჭოთა კავშირმა ჩამოუშვა შუა ევროპაში. მის მიღმა კი ყველანაირ ბოროტებას ჩადიოდა და გეგმავდა, რათა საკუთარი ცხოვრების წესის თავისუფალი სამყაროსთვის თავს მოხვევია.

1949 წელს, 4 აპრილს შეიჰქმნა ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. აშშ-ს ჩართვა ამ საქმეში, რა თქმა აუნდა, დიდი მნიშვნელობის საკითხი იყო. საბჭოთა ექსპანსია მსოფლიო დონის პრობლემა გახლდათ, ამიტომაც ისეთი სახელმწიფოს ჩართვა როგორიც ამერიკის სახელმწიფოა, გასაკვირი არაა, თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ საბჭოთა კავშირი აშშ-ს მთავარი მოწინააღმდეგე გახდა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ცივი ომის ეპოქაში შევიდა სამყარო, რომელიც ბიპოლარულობით ხასიათდებოდა, ორი დაპირისპირებული პოლუსის პაექრობით ერთმანეთში და მზარდი შეიარაღების გაძლიერებით.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ევროპის პატარა სახელმწიფოების დაცვის ინსტრუმენტი გახდა, რომელიც საბჭოთა ექსპანსიას აკავებდა დიდი წარმატებით. დღეს ნატო არის უმსხვილესი სამხედრო ალიანსი, რომელშიც მსოფლიოში ერთ-

ერთი უძლიერესი სახელმწიფოებია გაერთიანებული როგორიც აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანიაა.

ნატო-ს სახელმწიფოების სამხედრო ბიუჯეტი ერთად აღებული მსოფლიოს ყველა ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტს აღემატება. მსოფლიოში ვითარება იცვლება, ნატო-ს სამიტზე რუსეთი დასახელდა მთავარ საფრთხედ ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და მისი სახელმწიფოებისთვის.

რუსეთი ბირთული სახელმწიფოა და მისი ექსპანსიური ხასიათი და ძრახვები ყოველთვის აქტუალურია. საკმარისია, სამეზობლოს გადავხედოთ და მაშინვე თვალნათელი ხდება რუსეთის ფედერაციის არადემოკრატიული და ექსპანსიური სახე: მას აქვს საქართველოს 20%- ოკუპირებული; მხარს უჭერს სეპარატისტულ რეჟიმებს; ყარაბახის ომში ორივე მხარეს იარაღით ამარაგებს; ცდილობს, მისთვის მომგებიანი მდგომარეობა შეინარჩუნოს და ორივე მხარის წინააღმდეგ ჰქონდეს ბერკეტი, რომლითაც ზემოქმედებას მოახდენს სხვებზე.

მეორე მხრეს არის ნატო-ს მთავარი გამოწვევა ჩინეთი, რომელიც, ასევე, არადემოკრატიული სახელმწიფოა და მისი ეკონომიკური აღმავლობის მაღალი ტემპები ამერიკას დიდ თავსატეხად ექცა, რომელიც ნატო-ს უმსხვილესი სახელმწიფოა. მათ შორის, სამხედრო დანახარჯებითა და სამხედრო სიძლიერით მსოფლიოში არსებული ტერორისტული საფრთხე, რომელიც, სამწუხაროდ, მუდმივია და ნატო-ს ერთ-ერთ იმ მიმართულებას წარმოადგენს, რის წინააღმდეგაც ერთობლივი ბრძოლაა საჭირო .

ალიანსის მე-5 პუნქტი პირველად ტერორისტული თავდასხმის დროს ამოქმედდა, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ უმსხვილესი ტერორისტული თავდასხმა მოხდა. ალ-ქაიდას ტერორისტული ორგანიზაციისა და მაშინ, ჯერ კიდევ ცოცხალი ოსამა ბინ ლადენის მიერ, ამ თავდასხმას სამი ათასამდე ადამიანი ემსხვერპლა. ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მაგალითია ნატო-სა და მისი მოკავშირეების ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედება .

თანამედროვე მსოფლიოში სამხედრო შეიარაღების ზრდა და განვითარება ჩვეულებრივი მოვლენაა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნებისმიერი სახელმწიფოსთვის. ჩემი ნაშრომის მთავარ თემასაც სამხედრო შეიარაღება

წარმოადგენს რადგან სამხედრო შეიარაღების აქტუალურობა დროთია გამოცდილი; რადგან სახელმწიფოთა ინტერესები მუდმივად იკვეთება ერთმანეთთან, ხოლო მათი მოგვარება როდი ხდება ხშირ შემთხვევაში დიპლომატიური მეთოდებით. როგორც კლაუზევიცი (1780-1831) იტყოდა: „ომი არის პოლიტიკის გაგრძელება სხვა მეთოდებით“.

რეალისტური შეხედულება, რომელსაც მე ვიზიარებ, ,ასევე, არის მტკიცებულება ჩემი თემის აქტუალურობის, რადგან ეს გვანახებს, იმას, თუ როგორია სინამდვილეში სამყარო და ადამიანი. რის შემდეგაც სამხედრო შეიარაღების ზრდა და მაღალ დონეზე ყოფნა სავსებით ლოგიკურია და სამხედრო შეიარაღების შესწავლის სურვილიც რაციონალური. ჯონ მირშაიმერი გამოყოფს ხუთ ძირითად მოსაზრებას რომლებიც აღწერს რეალიზმის მიდგომას საერთაშორისო ურთიერთობებისადმი.

1. პირველი მოსაზრებით, საერთაშორისო სისტემა ანარქიულია.

2. მეორე მოსაზრებით, სახელმწიფოებს ბუნებრივად თან დაყვებათ აგრესიის იარაღი, რომელიც შეიძლება გამოყენონ ერთმანეთის წინააღმდეგ.

3. მესამე მოსაზრებით, სახელმწიფოები არასდროს არიან დარწმუნებულნი, თუ რა განზრახვა ამოძრავებს სხვა სახელმწიფოს. კერძოდ, არც ერთ სახელმწიფოს არ აქვს გარანტია იმისა, რომ მის წინააღმდეგ აგრესიულ იარაღს არ გამოიყენებს მეორე სახელმწიფო.

4. მეოთხე მოსაზრებით, სახელმწიფოთა ძირითადი მამოძრავებელი მოტივი არის თვითგადარჩენა, რადგან მათ სურთ სუვერენიტეტის შენარჩუნება;

5. მეხუთე მოსაზრება ამბობს რომ სახელმწიფოები ფიქრობენ სტრატეგიულად იმაზე, თუ როგორ გადაერჩნენ საერთაშორისო სისტემაში. სახელმწიფოები არიან უმეტესად რაციონალურები. თუმცა ზოგჯერ შეიძლება, ვერ განსაზღვრონ საქციელი, რადგან ისინი მოქმედებენ არასრული ინფორმაციის სამყაროში, სადაც პოტენციურ მოწინააღმდეგეს გააჩნია საბაბი იმისა, რომ დამალოს თავისი ნამდვილი ძალა, ან სისუსტე და ნამდვილი განზრახვები.

სახელმწიფოები მუდმივ დაპირისპირებაში არიან ერთმანეთთან თავიანთი ინტერესების გამო. უფრო ხშირ შემთხვევაში, სამხედრო კონფლიქტის გარეშე გამოსავლის მოძებნას ვერ ახერხებენ, როგორც სულ რამდენიმე თვის წინ მოხდა

ყარაბაღში აზერბაიჯანისა და სომხეთის სამხედრო დაპირისპირების დროს. ამიტომაც სამხედრო შეიარაღების შესწავლა იმისთვისაა საჭირო, რომ განსაზღვროთ, რა უპირატესობას იძლევა ესა თუ ის სამხედრო შეიარაღება და მიმართულება. ეს აუცილებელია, ასევე, სახელმწიფოს ან სამხედრო ალიანსის სამხედრო პოტენციალის გასარკვევად, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მისი შესაძლებლობების დასადგენად.[1]

სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილია სამხედრო საზღვაო ფლოტი. სახელწმიფოს ძლიერება, ზოგადად კი, სხვადასხვა კრიტერიუმით ფასდება .

სახელმწიფოს სამხედრო ძალები უმეტეს შემთხვევაში არის:

1.სახმელეთო ჯარები;

2.სამხედრო-საჰაერო ჯარები;

3.სამხედრო-საზღვაო ძალები.

გამონაკლისია ჯერჯერობით ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც სუპერ სახელმწიფოა. სამხედრო ძალების მეოთხე კომპონენტიც აქვს და ეს კომპონენტი კოსმოსური ძალებია(united states space force) .

სამხედრო-საზღვაო ძალები სამხედრო შეიარაღების სახეობაა, რომელსაც მსოფლიოს უმეტესი სახელმწიფო ფლობს ამათუ იმ ფორმით. ის განკუთვნილია, უპირველეს ყოვლისა, სტრატეგიული და ოპერატიული მიზნების განსახორციელებლად, რომელებიც სახელმწიფოს გააჩნია ოკეანეში, წყლის სამხედრო საომარ თეატრზე ან ხმელეთზე.

XX საუკუნის მეორე ნახევარში წყალქვეშა ნავები სამხედრო-საზღვაო ძალების დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდა, მისი ტექნოლოგიური განვითარებიდან გამომდინარე. მაგრამ სამხედრო საზღვაო ფლოტი შედგება სამხედრო ავიამზიდებისგან, ნაღმოსნებისგან, სარაკეტო კრეისერებისგან, სანაპირო დაცვის კატარღებისგან... ასევე, საზღვაო ფლოტი შედგება წყალს ზედა და წყალქვეშა დანიშნულების საზღვაო ხომალდებისგან, საზღვაო ავიაციისგან, სანაპირო თავდაცვისგან, რომელშიც შედის სარაკეტო და საარტილერიო

[1] ეკა აკობია,საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი 2006, გვ. 22 http://old.ucss.ge/010%20Saertashoriso%20Urtiertobebis%20Teoria_txfnTbKRrH.pdf (ბოლო ნახვა - 11.04.2021)

დანაყოფები და საზღვაო ქვეითთა კორპუსი, სპეციალური დანიშნულების დანაყოფებისგან...

სრულყოფილი საზღვაო-სამხედრო ფლოტი მოითხოვს საკმაოდ დიდ ფინანსურ რესურს, რადგან დღეს ის არის ტექნოლოგიურად უმაღლეს დონეზე შესრულებული სამხედრო-საზღვაო ხომალდები აღჭურვილია უახლესი, მოკლე, საშუალო თუ შორს მანძილზე მოქმედი შეიარაღებით, რაკეტებით რომელსაც სხვადასხვა სტრატეგიული თუ ტაქტიკური ამოცანის შესრულება შეუძლიათ და მიზნის განადგურება. რამდენიმე მაგალითიც კი საკმარისია იმისთვის, რომ სრულყოფილი სამხედრო-საზღვაო ფლოტის ფლობას, რა ფინანსები სჭირდება დავინახოთ :

1. ამერიკული ავიამზიდი USS Gerald R. Ford.

აშშ-ს საზღვაო ძალების ყველაზე ძვირადღირებული სამხედრო გემი USS Gerald R. Ford. მისი მშენებლობა 2009 წელს დაიწყო და მისი ღირებულება 13 მილიარდ დოლარს აღწევს. სრული წყალ წვა - 98 ათასი ტონა, სიგრძე - 337 მ, საავიაციო ჯგუფი - 75 თვითმფრინავი.

2017 წლის 2 ივნისს თვითმფრინავის გადამზიდავი, Gerald R. Ford (CVN-78), რომლის მშენებლობაც 2009 წელს დაიწყო, გადაეცა აშშ-ს საზღვაო ძალებს. პროექტის შემუშავებისას გამოიყენეს 3D მოდელირება; მშენებლობაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 5 ათასმა ადამიანმა. გემთმშენებელ კომპანიასთან Northrop Grumman- თან კონტრაქტის ღირებულებამ შეადგინა 12,9 მილიარდი დოლარი. ახალ გემს შეუძლია გადაიყვანოს 4,5 ათასი პერსონალი და 75 თვითმფრინავი, მოახდინოს 220 საჰაერო დარტყმა დღეში. (ერთი გასროლა ყოველ ექვს წუთში) აღჭურვილია RIM-162 ESSM საშუალო მანძილზე მოქმედი გემის საჰაერო-საზენიტო რაკეტებით, საზენიტო სარაკეტო და საზენიტო საარტილერიო სისტემებით. გემის წონა 100 ათასი ტონაა, სიგრძე - 332,8 მ, სიგანე - 40,8 მ , 78 მ (ფრენის გემბანი) მაქსიმალური შესაძლო სიჩქარეა 30 საზღვაო კვანძი (56 კმ / სთ). დაგეგმილი სამსახურის ხანგრძლივობაა 50 წელი.[2]

2. ბრიტანული სამხედრო საზღვაო გემი

[2] Gerald R Ford Class – US Navy CVN 21 Future Carrier Programme,სამხედრო ბლოგი naval-technology.com- გვ.1 https://www.naval-technology.com/projects/gerald-r-ford-class/ (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 24.05.2021)

ბრიტანული ავიამზიდი HMS Queen ელისაბედი 65 ათასი ტონა წყალწვითა და 280 მ სიგრძით 2014 წლის 4 ივლისს ჩაუშვეს წყალში. ის გახდა ამავე სახელწოდების პროექტის პირველი დასრულებული ხომალდი, რომლის ფარგლებშიც მუშაობა მიმდინარეობს. მსგავსი თვითმფრინავის გადამზიდავი HMS Prince Wales -ზე 2007 წლის შემდეგ სამუშაოების საერთო ღირებულება გაორმაგდა - 3,9 მილიარდი გირვანქა სტერლინგიდან (6,7 მილიარდი დოლარი) 6,2 მილიარდ ფუნტი სტერლინგზე.(10,6 მილიარდი დოლარი) HMS დედოფალი ელისაბედი აღჭურვილია სამი ასაფრენი ზოლით 40 თვითმფრინავისთვის.

3. 1999 წლის დეკემბერში საფრანგეთის საზღვაო ფლოტმა მიიღო ბირთვული ძრავიანი ავიამზიდი შარლ დე გოლი. მისი ღირებულება 3.2 მილიარდი დოლარი იყო. სტანდარტული წყალწვა 36.6 ათასი ტონა; საერთო ჯამში - 40.55 ათასი ტონა, სიგრძე - 238 მ. მთავარი ელექტროსადგური შედგება ორი ბირთვული რეაქტორის K15 (300 მვტ სიმძლავრით) და ორი ორთქლის ტურბინისგანა (76 ათასი) ცხ.ძ.) საჰაერო ფრთაში შეიძლება შევიდეს 40-მდე თვითმფრინავი და ვერტმფრენი. გემმა საბრძოლო მოვალეობის შესრულება დაიწყო 2001 წლის 18 მაისს. 2015 წლის 19 ნოემბერს მან დატოვა სამშობლო და სირიის სანაპიროებისკენ გაემართა, რომ მონაწილეობა მიეღო IS- ის წინააღმდეგ ჩატარებულ ოპერაციაში.[3]

ჩინური სამხედრო-საზღვაო ფლოტი

2012 წლის 25 სექტემბერს ჩინეთის საზღვაო ფლოტმა მიიღო პირველი ავიამზიდი Liaoning. 1998 წელს ჩინეთმა 20 მილიონ დოლარად შეიძინა უკრაინისგან დაუმთავრებელი მძიმე თვითმფრინავის გადამზიდავი კრეისერი ვარიაგ, "ტურისტულ ობიექტად გადააქცევდა". ვარიაგს შეუკვეთეს სსრკ-ს საზღვაო ფლოტს 1988 წელს. სსრკ-ს დაშლის შემდეგ, 67% -ით აშენებული კრეისერი დარჩა ნიკოლაევის გემთსაშენზე და დარჩა უკრაინას. 300 მეტრის სიგრძის გემია და მისი წყალწვა 65 ათას ტონას აღემატება. კრეისერს შეეძლო 60-მდე თვითმფრინავის ბორტზე ტარება, რისთვისაც სამი ასაფრენი ბილიკით იყო

[3] HMS QUEEN ELIZABETH (R08) ,დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ძალების გვერდი, გვ.1 https://www.royalnavy.mod.uk/our-organisation/the-fighting-arms/surface-fleet/aircraft-carriers/hms-queen-elizabeth (უკანასკლელად იქნა გადამოწმებული 21.05.2021)

აღჭურვილი და ის, ასევე, იყო შეიარაღებული სარაკეტო სისტემებით. ამ დროისთვის მისი საერთო ღირებულება დაახლოებით 2,4 მილიარდი დოლარია.[4]

წყალქვეშა ნავები

1. **ბრიტანული წყალქვეშა ნავი**

Astute S 120 ათასი კმ მანძილი მოქმედების რადიუსი. 2010 წლის 22 ოქტომბერს ამ წყალქვეშა ნავებიდან პირველი შოტლანდიის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროსთან შევიდა ექსპლუატაციაში. 2013 წლის მარტში ექსპლუატაციაში შევიდა ამ კლასის მეორე წყალქვეშა ნავი, ამბუში, რომელიც 2016 წლის 20 ივლისს გიბრალტარის სანაპიროსთან შეეჯახა სავაჭრო გემს წვრთნების დროს. საერთო ჯამში, ამ ტიპის სამი წყალქვეშა ნავია ბრიტანეთის ფლოტის შემადგენლობაში.[5]

2. **ამერიკული წყალქვეშა ნავი**

2004 წლის 23 ოქტომბერს აშშ-ს საზღვაო ძალებმა მიიღეს შემადგენლობაში ატომური წყალქვეშა ნავი ვირჯინია SSN-774. 125 მეტრიანი ბირთვული წყალქვეშა ნავი სარაკეტო და ტორპედო შეიარაღებით (PLAT) აღჭურვილია უპილოტო ხომალდებით, რომლებსაც წყლის ქვეშ იყენებენ სადაზვერვო მიზნებისთვის. წყალწვა - 7,8 ათასი ტონა. წყალქვეშა ნავის ღირებულება 2-2,5 მილიარდ დოლარად არის შეფასებული.[6]

ეს მცირე ჩამონათვალი საშუალებას იძლევა, დავინახოთ, რაოდენ დიდი ფინანსებია საჭირო, რათა შევქმნათ სამხედრო-საზღვაო ხომალდი აქ არ არის გათვალისწინებული ის ხარჯები, რაც ამ გემების თუ წყალქვეშა ნავების მომსახურეობას სჭირდება, რაც თანხებს, რა თქმა უნდა, უფრო გაზრდის. ამიტომაც მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოა ვინც ფლობს სრულ სამხედრო-საზღვაო პოტენციალს. ამათგან ყველაზე ძლიერი სამხედრო-საზღვაო

---

[4] KYLE MIZOKAMI, Watch China's First Aircraft Carrier Recover a Fighter Jet,სამხედრო ბლოგი-popularmechanics.com 28 აპრილი 2021, გვ.1 (https://www.popularmechanics.com/military/navy-ships/a36166209/watch-china-aircraft-carrier-liaoning-recover-fighter-jet/ (უკანასკლელად იქნა გადამოწმებული 24.05.2021)

[5] HMS AMBUSH (S120), ,დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ძალების გვერდი, გვ.1 https://www.royalnavy.mod.uk/our-organisation/the-fighting-arms/submarine-service/fleet-submarines/astute-class/hms-ambush (უკანასკლელად იქნა გადამოწმებული 12.05.2021)

[6] Ronald O'Rourke, Navy Virginia (SSN-774) Class AttackSubmarine Procurement: Background andIssues for Congress,აშშ-ს საზღვაო ძალების ისტორიის და მემკვიდრეობის სარდლობა,25 ოქტომბერი 2016 წ , გვ.1 https://www.history.navy.mil/research/library/online-reading-room/title-list-alphabetically/n/navy-virginia-ssn774-class-attack.html (უკანასკლელად იქნა გადამოწმებული 11.05.2021)

ფლოტი ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰყავს, მისი შემადგენლობიდან გამომდინარე 11 ავიამზიდი თავისი დამრტყმელი ჯგუფით , 300 ამდე სამხედრო საზღვაო ხომალდი .

ნებისმიერი ქვეყნის თუ სამხედრო ორგანიზაციის სამხედრო-საზღვაო ფლოტს აქვს თავისი მიზნები და ამოცანები რაც შეიძლება იყოს შემდეგი:

1. სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების დაცვა ოკეანეში სამხედრო მეთოდების გამოყენებით;

2. სამხედრო ორგანიზაციის ინტერესების დაცვა ოკეანეში. ასევე, მიზნების და ამოცანების განხორციელება სამხედრო მეთოდების გამოყენებით;

3. სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება რეგიონში ან გლობალურ დონეზე;

4. მტრის მხრიდან განხორციელებული აგრესიის მოგერიება ოკეანეში ,ზღვის მიმართულებით ან ხმელეთზე დისტანციური სახით ან სამხედრო დესანტირების გამოყენებით;

5. სამხედრო-საზღვაო ფლოტი ქმნის და ინარჩუნებს პირობების იმისთვის რომ სახელმწიფომ ან სამხედრო ორგანიზაციამ თავისი საზღვაო საქმიანობის უსაფრთხოება განახორციელოს;

6. სამხედრო საზღვაო ძალები უზრუნველყოფს ბრძოლას მეკობრეების წინააღმდეგ; სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის მონაწილეობას ჰუმანიტარულ მისიებში.

ზემოთ აღნიშნული მიზნებისა და ამოცანების განხორციელება აშესაძლებელია სრულყოფილი სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეშვეობით. ესაა საშუალება ოპერატიული რეაგირების რაიმე საფრთხეზე ან რაიმე ლოგისტიკური ,ჰუმანიტარული ამოცანის შესასრულებლად , სახელმწიფოსი ან საერთაშორისო ორგანიზაციის.

სამხედრო ფლოტის დიდი უპირატესობაა მობილურობის მაღალი ხარისხი და მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მიზნებისა და ამოცანების შესრულების შესაძლებლობა. თუ სახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაცია ფლობს ძლიერ და მრავალრიცხოვან სამხედრო-საზღვაო ფლოტს. ესაა დიდი უპირატესობის მქონე სხვა ასეთი საშუალების არმქონე სუბიექტებთან მიმართებით.

ამის საუკეთესო მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატები თავისი საზღვაო ფლოტით, რის დეტალურ ანალიზსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ. აქ კი _ ის უნდა ვთქვათ, რომ დღეს მსოფლიოში კონფლიქტის მრავალი კერაა: ეს იქნება ახლო აღმოსავლეთში, უკრაინაში თუ სხვაგან. არსებობს მრავალი უთანხმოება დიდ სახელმწიფოებს შორის ისეთი საკითხებზე, როგორიცაა ყვითელი ზღვის საკითხი, ან ჩრდილოეთ კორეა, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს არა მარტო რეგიონისთვის არამედ, ზოგადად, ცივილიზებული სამყაროსთვის მისი მზარდი ატომური ამბიციების გამო. ეს იმით არის განპირობებული, რომ კიმების რეჟიმმა შეინარჩუნოს თავისი ძალაუფლება. ჩრდილოეთ კორეის მიერ წარმოებული რაკეტების გამოცდები, რომელიცაა საშუალო და შორს მანძილზე მოქმედი ბალისტიკური რაკეტები, დიდი საფრთხეს წარმოადგენს, რადგან ჩრდილოეთ კორეა არაა დემოკრატიული სახელმწიფო. მისი ავტორიტარული რეჟიმი ყველაფერს გააკეთებს საკუთარი ძალაუფლების გამყარებისთვის, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები და მთელი ცივილიზებული სამყარო წინააღმდეგია იმის ,რომ ფხენიანს ატომური იარაღი გააჩნდეს.

პერიოდულად იძაბება ხოლმე სიტუაცია ამერიკასა და ჩრდილოეთ კორეას შორის. იმის პროგნოზირება, როგორ დამთავრდება ეს კონფლიქტი, დღეს შეუძლებელია. მაგრამ ეს არის მაგალითი იმისა, რომ ათასობით კილომეტრის იქით ამერიკიდან არსებულ ჩრდილოეთ კორეას აქვს დიდი შიში ამერიკული ფლოტის, რომელიც ინდოეთის ოკეანეშია ან ფხენიანთან ახლოს. ამით შესაძლებელია, საჭიროების შემთხვევაში მოქმედების შესაძლებლობა ჰქონდეს ამერიკასა და, ასევე, შეაკავოს ჩრდილოეთ კორეის თავდასხმა.

კონტინენტთაშორისი ბირთული ბალისტიკური რაკეტები მომაკვდინებელი იარაღია და მათი განეიტრალება ყველაზე ეფექტურია იმ ეტაპზე, როცა ამ რაკეტების უშვებენ. ამერიკის სამხედრო ფლოტის დამრტყმელი ჯგუფი, რომელიც სხვადასხვა სახის სამხედრო-საზღვაო ხომალდისგან შედგება, ჯერალდ ფორდის ან ნიმიცის კლასის ავიამზიდი მიუძღვის წინ. ისაა აღჭურვილი უახლესი რადარებითა და ფლობს რადიოლოკაციური ბრძოლისა და დაზვერვითი სახის შეიარაღებებსა და მოწყობილობებს, რომლებსაც, თუ ამერიკელების კოსმოსური დაზვერვის შესაძლებლობებს დავუმატებთ, დიდი შანსია,

ბალისტიკური რაკეტა აფრენის პროცესში განადგურდეს. ეს არის დიდი უპირატესობა სამხედრო-საზღვაო ფლოტის დამრტყმელი ჯგუფის, რომელიც შეიძლება, გადამწყვეტი აღმოჩნდეს მსგავსი კონფლიქტის დროს.

ესაა მაგალითი, თუ შესაძლო კონფლიქტის დროს, კონკრეტულად, ამ შემთხვევაში რა შედეგს მოიტანს სამხედრო-საზღვაო ფლოტი. ეს არის ჰიპოთეტური შემთხვევა, რომლის დროსაც, ვვარაუდობ, რომ შეიძლება ასე მოხდეს და შესაძლოა, ამ შედეგამდე მივიდეთ.

ჩრდილოეთ კორეასთან მიმართებით ძლიერ სამხედრო- საზღვაო ფლოტს უშუალოდ სამხედრო კონფლიქტში ჩართვის გარეშე რა უპირატესობა აქვს და რა შედეგის მიღწევაა შესაძლებელი.

როგორც აღვნიშნე ზემოთ, ჩრდილოეთ კორეასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დაძაბულობა პერმამენტულ ხასიათს ატარებს და წელიწადში რამდენჯერმე შეიძლება იყოს შემთხვევა, როდესაც ფხენიანის ბალისტიკური რაკეტების გამოცდის შედეგად ამერიკა იძლევა მყისიერ რეაქციას, რომელიც ამ დაძაბულობის მოხსნას განაპირობებს ხოლმე ყოველთვის და ამის შემდეგ ლიდერები ორივე სახელმწიფოს სიტყვიერი თავდასხმებით შემოიფარგლებიან. რა არის ის სიგნალი, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები ასეთ შემთხვევებში იყენებს ხოლმე? დიახ, ეს სიგნალი არის სამხედრო-საზღვაო ფლოტი, რომელიც ჩრდილოეთ კორეის შორიახლოს არის ხოლმე ყოველთვის. ფლოტის ფლაგმანური ავიამზიდი, რომელიც თავის ჯგუფთან ერთად გადაადგილდება, ყოველთვის იმდენად დიდი ძალაა, რომ მისი შორიახლოს ყოფნაც უკვე დიდი მნიშვნელობის არის და გადამწყვეტ როლს ასრულებს.

როცა სიტუაცია უკიდურესად იძაბება, მეორე დამრტყმელი ჯგუფი იწყებს მოძრაობას ჩრდილოეთ კორეისკენ რაც არის იმისი ნიშანნი, რომ ამერიკა ყოველთვის მზად არის მომაკვდინებელი დარტყმა განახორციელოს და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ერთი ან ორი დამრტყმელი ჯგუფი ავიამზიდებითურთ არის იმდენად ძლიერი სამხედრო ერთეული, რომ სახელმწიფოსაც კი ეშინია მისი მოქმედების.[7]

[7] North Korea crisis in 300 words,bbc, 21 aprili 2020 გვ.1 https://www.bbc.com/news/world-asia-40871848 (უკანასკლელად იქნა გადამოწმებული 24.05.2021)

რეალურად ,რომ ვთქვათ, მსოფლიოში არაერთი სახელმწიფოს სამხედრო პოტენციალს აღემატება აშშ-ს სამხედრო საზღვაო ფლოტის ავიამზიდების დამრტყმელი ჯგუფები თავისი სამხედრო არსენალით და შესაძლებლობებით. ქვემოთ, როდესაც, უშუალოდ, ფლოტზე ამერიკის ფლოტზე იქნება საუბარი განვიხილავ, სრულ შემადგენლობას ავიამზიდებისა და მათი დამრტყმელი ჯგუფის.[8]

სამხედრო-საზღვაო ფლოტი უკონტაქტო ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე კარგი საშუალებაა. ამის მაგალითია, ასევე, 2021-წელს, 9 აპრილს, გაკეთებული განცხადება ამერიკის შეერთებული შტატებიდან, რომ შავ ზღვაში შეიძლება, შემოვიდეს ამერიკული სამხედრო ხომალდები საჩვენებლად, რომ ამერიკა მხარს უჭერს უკრაინას და მის ტერიტორიულ მთლიანობას სუვერენიტეტს , უკრაინა რუსეთის დაპირისპირება გამწვავებულია; რომ რუსეთის ფედერაცია ახდენს უკრაინის საზღვრების სიახლოვეს დიდი რაოდენობით სამხედრო ძალისა და სამხედრო ტექნიკის მობილიზებას, რა დროსაც მსგავსი ნაბიჯი არის დიდი მნიშვნელობის. ჯერ არანაირი ქმედითი ღონისძიება არაა გადადგმული და მხოლოდ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია ვიცით, რომ თურქეთს გააფრთხილებს ამერიკა თავისი ხომალდების შემოსვლის შესახებ მონტროს დოქტრინის მიხედვით . მაგრამ ის აჟიოტაჟი რაც ამ განცხადებამ გამოიწვია უკვე საკმარისია.[9]

კიდევ ერთი მაგალითი, როდესაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ამერიკული გემები შემოვიდნენ, რამაც დიდი როლი ითამაშია ჩვენს სასარგებლოდ. რა თქმა უნდა ასეთ დროს გემების შემოსვლას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ის მხარე, რომელიც თავდასხმას ახორციელებს ყოველთვის მოერიდება უცხო ქვეყნასა და, მით უმეტეს, მსგავსი ძლევამოსილი ფლოტის მქონე ქვეყნის გემებზე თავდასხმას, რადგან ეს ომის გამოცხადების ტოლფასია.

---

[8] Ankit PandaWhat 3 US Supercarriers in the Asia-Pacific Means for North Korea, thediplomat.com, 30 ოქტომბერი 2017, გვ.1 https://thediplomat.com/2017/10/what-3-us-supercarriers-in-the-asia-pacific-means-for-north-korea/ (უკანასკლელად იქნა გადამოწმებული 24.05.2021)

[9] Barbara Starr and Jennifer Hansler,US considering sending warships to Black Sea amid Russia-Ukraine tensions,cnn,9 აპრილი 2021, გვ.1 https://edition.cnn.com/2021/04/08/politics/ukraine-us-black-sea/index.html (უკანასკლელად იქნა გადამოწმებული 24.05.2021)

შავ ზღვაში თუ ამერიკულ გემებს ვიხილავთ უკრაინის მხარდაჭერის მისანიშნებლად, ეს ამ გეების სიახლოვეს რუსული სამხედრო ხომალდების აქტიურობას შეამცირებს. ასევე, გაზრდის უკრაინის სამხედრო დაზვერვის შესაძლებლობებს, რადგან სამხედრო გემებს ყოველთვის ძლიერი სარადარო სისტემები აქვთ. ასევე, თუ ამერიკული საზღვაო გემები უკრაინულ პორტში აღმოჩნდებიან ამ პორტის დაბომბვის ალბათობა არის ძალიან მცირე რუსეთის მხრიდან სამხედრო შეტევის შემთხვევაში. როგორც ვთქვი, ამერიკულ გემზე თავდასხმა ეს არის ამერიკის შეერთებულ შტატებზე თავდასხმა ვინაიდან ამერიკული გემი არის ამერიკის ტერიტორია და ამერიკის გემზე თავდასხმა ასევე ნიშნავს ნატო-ს სახელმწიფოზე თავდასხმას თუ თავდასხმა განხორციელდა აგრესორის მხრიდან ეს ნიშნავს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მეხუთე პუნქტის ამოქმედებას კოლექტიური თავდაცვის შესახებ რაც გულისხმობს იმას რომ თავდასხმა ნატოს ერთ რომელიმე სახელმწიფოზე აღიქმება როგორც თავდასხმად ნატოში შემავალ ყველა ქვეყანაზე . ეს გარემოება არის დამაბრკოლებელი ნებისმიერი აქტიორისთვის და საზღვაო ფლოტის დიდი შესაძლებლობა ,რომ ომში ჩაურევლად განახორციელოს დახმარება კონკრეტულმა ქვეყნის.[10]

1.2. ნატოს სამხედრო საზღვაო ძალები

NATO, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, (North Atlantic Treaty Organization) სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, რომელიც დაარსდა 1949 წლის 4 აპრილს ევროსაბჭოთა გავლენისგან დასაცავად. ამ დროს ნატო-ს წევრი გახდა 12 წევრი: აშშ, კანადა, ისლანდია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, ნორვეგია, დანია, იტალია და პორტუგალია.

ნატო წარმოადგენს კოლექტიური თავდაცვის სისტემას, რომლის მიხედვითაც მისი წევრი სახელმწიფოები თანახმა არიან ორმხრივი თავდაცვის მიღებაზე ნებისმიერი გარეშე მტრის თავდასხმის საპასუხოდ. ნატო-ს შტაბ-ბინა მდებარეობს

[10] Peter Nicholls, UK warships to sail for Black Sea in May as Ukraine-Russia tensions rise- Sunday Times, reuters,18 აპრილი 2021 https://www.reuters.com/business/aerospace-defense/uk-warships-sail-black-sea-may-ukraine-russia-tensions-rise-sunday-times-2021-04-18/ (უკანასკლელად იქნა გადამოწმებული 20.05.2021)

ბრიუსელში, ხოლო მოკავშირეთა სარდლობის შტაბი ბელგიაში, მონსთან. ბოლოს წევრი ქვეყანა, რომელიც ნატო-ს დაემატა, იყო ჩრდილოეთ მაკედონია 2020 წლის 27 მარტს. ნატო ამჟამად ცნობს ბოსნია და ჰერცეგოვინას, საქართველოსა და უკრაინა, როგორც ასპირანტ წევრების. დამატებით 20 სახელმწიფო მონაწილეობს ნატო-ს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში. 15 სხვა ქვეყანა ჩართულია ინტენსიური დიალოგის პროგრამებში.

ნატო-ს ყველა წევრის სამხედრო დანახარჯები შეადგენს გლობალური სამხედრო დანახარჯების 70% -ს. წევრები შეთანხმდნენ, რომ მათი მიზანია 2024 წლისთვის მიაღწიონ ან შეინარჩუნონ თავდაცვითი მიზნობრივი ხარჯები, მათი მშპ-ს მინიმუმ 2%.

ნატო ეს მსოფლიოს უძლიერესი სამხედრო პოლიტიკური გაერთიანებაა, სადაც როგორც მინიმუმ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სახელმწიფოა აშშ, რაც უკვე განაპირობებს იმას, რომ ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის სამხედრო საზღვაო ძალები არის ნომერ პირველი მსოფლიოში. ამერიკის შეერთებულ შტატების სამხედრო საზღვაო ძალებს, ასევე, ემატება დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალები, რაც იმის თქმის საშუალებას მაძლევს, რომ ნატო-ს სამხედრო-საზღვაო გაერთიანება ერთად არის მსოფლიოში ყველაზე ძლევამოსილი ყველა მიმართულებით, რომლებიც შეიძლება, ჰქონდეს ამგვარ სამხედრო ძალებს: ეს იქნება გემების, წყალქვეშა ნავების თუ სხვა სამხედრო საზღვაო ერთეულები. მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები არის ნატო-ს რიგებში სახელმწიფო, რომელსაც უფრო მეტი ავიამზიდი ჰყავს ვიდრე მთელ მსოფლიოს, ერთად აღებულს, ნატო-ს ქვეყნების გამოკლებით. აშშ-ს სამხედრო ბიუჯეტი აღემატება ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის 29 ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტს.

რადგანაც ნაშრომი ეხება მხოლოდ აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალებს, ნატო-ს შემადგენლობაში მყოფი ალიანსის სხვა ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალებთან დაკავშირებით სტატისტიკურ ინფორმაცია მოცემულია დანართი #1-ში.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მთავარი სამხედრო სარდლობა

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს ორი უმთავრესი სარდლობა ჰყავს: ნატო-ს მოკავშირეთა ძალების სარდლობა(ინგ. The Supreme Allied Commander Europe, SACEUR) და მოკავშირეთა საზღვაო სარდლობა. (MARCOM-ი).

მოკავშირეთა საზღვაო სარდლობა არის ნატო-ს მთელი საზღვაო ძალების ცენტრალური სარდლობა, ხოლო MARCOM-ის მეთაური არის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მთავარი მრჩეველი სამხედრო საზღვაო - ძალების მიმართულებით ნატო-ს გაერთიანებული ძალების მთავარსარდლის დაქვემდებარებაში. ნატოს საზღვაო ძალების მეთაური აყალიბებს მართვით შტაბს, რომელიც პასუხისმგებელია ალიანსის სამხედრო-საზღვაო ოპერაციებზე.[11]

ნატო-ს მოკავშირეთა ძალების მთავარსარდალი (ინგ. The Supreme Allied Commander Europe, SACEUR) ნატოს სამხედრო ძალებში ყველაზე მაღალი თანამდებობაა.

ნატო-ს გაერთიანებული ძალების მოქმედი მთავარსარდალია ამერიკელი გენერალი ტოდ ვოლტერსი(Tod Daniel Wolters) 2019 წლის 3 მაისიდან.

მთავარსარდლის შტაბ-ბინა მდებარეობს კასტოში, მონსთან ახლოს, ბელგიაში.

ფუნქცია-მოვალეობები

მთავარსარდალია ნატო-ს ორიდან ერთი სტრატეგიული ხელმძღვანელი, გენერალური მდივანთან ერთად. ის იკავებს ევროპაში ნატო-ს გაერთიანებული ძალებისა და ოპერაციების მართვის უფროსის თანამდებობას. ასევე, პასუხისმგებელია ნატო-ს სამხედრო კომიტეტის წინაშე, რომელიც არის უმაღლესი სამხედრო ორგანო ალიანსში და შედგება ნატო-ს ქვეყნების გენერალური შტაბების უფროსებისგან.

მთავარსარდალი გასცემს რეკომენდაციებს ნატო-ს პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობასთან სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. გარდა ამისა, უფლება აქვს კონსულტაციის შესაბამის ნაციონალურ ორგანოებთან; ასევე, ვალდებულია ოფიციალური ვიზიტებით ეწვიოს ნატო-ს შემადგენლობაში მყოფ სახელმწიფოებს, იმ ქვეყნებს, სადაც ტარდება ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის სამხედრო ოპერაციებ.

მსგავსი სახის შეხვედრა 2020 წელს საქართველოს თავდაცვის მინისტრთან, ირაკლი ღარიბაშვილთან, შედგა. განიხილეს ნატო-საქართველოს შორის დიალოგი

[11] Supreme Allied Commander Europe,ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის გვერდი, გვ.1 https://shape.nato.int/saceur-2 (უკანასკლელად იქნა გადამოწმებული 28.05.2021)

და უსაფრთხოების საკითხები, რადგან საქართველო ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის სამშვიდობო მისიებში იღებს აქტიურ მონაწილეობას.

მთავარსარდალს, ამავე დროს, შეუძლია, საზოგადოებრივ საქმიანობაში იყოს ჩართული და პრესასთან ქონდეს აქტიური ურთიერთობა.

მთავარსარდალი პასუხისმგებელია ნატო-ს სამხედრო ოპერაციებზე ,მართვაზე და სამხედრო ოპერაციების ჩატარებაზე, მათ შორის სამხედრო ოპერაციებისთვის საჭირო ძალების რაოდენობასა და მათ მოხმობაზე ნატო-ს მოკავშირე სახელმწიფოებიდან, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სანქციითა და ნატოს სამხედრო კომიტეტის მითითებით.

ნატო-ს წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიის შემთხვევაში, მთავარსარდალი პასუხისმგებელია, ყველა სამხედრო მოქმედების ჩატარებაზე თავისი შესაძლებლობისა და უფლებამოსილების ფარგლებში უსაფრთხოების შენარჩუნებისთვისა და აღდგენისთვის ალიანსის ტერიტორიაზე.

სხვა ფუნქციები რომელიც მთავარსარდალს ეხება:

- მთელ ევროატლანტიკურ რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნების ხელშეწყობა, სამხედრო სწავლებების და დიპლომატიური ურთიერთობების მეშვეობით;
- სტრატეგიულ დონეზე ანალიზის განხორციელება მართვის უარყოფითი მხარეების გამოსავლენად და პრიორიტეტების განსაზღვრისთვის;
- ნატო-ს მიერ გამოყოფილი რესურსების მართვა სამხედრო თუ სასწავლო ოპერაციებისთვის;
- სასწავლო პროგრამების მომზადება, შექმნა და ჩატარება ნატო-ს სამხედრო შტაბისთვის, ალიანსის სამხედრო ძალებისთვისა და ნატო-ს პარტნიორი სახელმწიფოებისთვის.

დანიშვნის წესები და თანამდებობაზე ყოფნის თავისებურებები მოკავშირეთა გაერთიანებული ძალების მოცემულია დანართი#2-ში.

2010 წელს, ნატო-ს სამიტზე, ლისაბონში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ შექმნილიყო სარდლობის უფრო კომპაქტური და ეფექტური სტრუქტურა.

ამ გადაწყვეტილებამ მთავარი შტაბების რაოდენობა შეამცირა 11 -იდან 7-მდე, რის შემდეგაც MARCOM –ი გახდა ნატო-ს საზღვაო კომპონენტის დასახელება მხოლოდ.[12]

საზღვაო ოპერაციები

MARCOM –ი ხელმძღვანელობდა ნატო-ს ოპერაციას „აქტიური მცდელობა". (Active Endeavour) „აქტიური მცდელობა" (Active Endeavour) ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ოპერაცია იყო, რომელსაც ნატო-ს საზღვაო ძალები მეთაურობდა ხმელთაშუა ზღვაში. ეს ოპერაცია იყო მიმართული იმისკენ ,რომ ტერორისტების გადაადგილება აღმოეფხვრად ან მასობრივი განადგურების იარაღის.

საზღვაო მცველი (Sea Guardian)

„საზღვაო მცველი" (Sea Guardian) - ოპერაციის მიზანს წარმოადგენდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. მისიას ხელმძღვანელობს მოკავშირეთა საზღვაო სარდლობა, რომლის შტაბ-ბინაც გაერთიანებულ სამეფოში, ნორვუდში (Northwood) მდებარეობს სტრუქტურა შეგიძიათ იხილოთ დანართი#3.

იმისათის, რომ უკეთ გავერკვეთ ნატოს სამხედრო-საზღვაო უსაფრთხოებაში ქვემოთ მოყვანილია ალიანსის სამხედრო-საზღვაო სტრატეგია დანართი #4-ში.

1.3 აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალები და მათი როლი ნატო-ს უსაფრთხოებაში

ამერიკის შეერთებული შტატები არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სახელმწიფო თავისი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, რესურსული, თუ სამხედრო შესაძლებლობიდან გამომდინარე. ამერიკაა სახელმწიფო, რომელიც მსოფლიოს პოლიტიკაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ როლს თამაშობს და მსოფლიო პოლიტიკის კლიმატის ფიგურირებაშიც მნიშვნელოვანი წვლილი აქვს. რესურსები და ეკონომიკური მდგომარეობა არის გადამწყვეტი, როდესაც საქმე გავაქვს სახელმწიფოსთან დიდი პოლიტიკური წონით, აქ არ იგულისხმება მხოლოდ ბუნებრივი რესურსების ქონა, რაც რა თქმა უნდა, ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობს პოლიტიკური ძლევამოსილების საკითხში. რომ არ იყოს ასე, ხრიოკ უდაბნოზე დაფუძნებულ სახელმწიფოს პოლიტიკური წონა ვერ

ექნებოდა რესურსების არარსებობის გამო. ზოგადად მისი დაარსებაში დიდი სახელმწიფოების როლის მიუხედავად, დღეს შესაძლოა საერთოდაც არ არსებულიყო. საუბარი მაქვს, რა თქმა უნდა, ისრაელზე, თუმცა ადამიანურ-ინტელექტუალურ რესურსებს დიდი ძალა აქვს, რისი მაგალითიც ებრაელები არიან და რატომაც ისრაელი ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფოა მსოფლიოში და რეგიონში.

მეორე მხრივ, რუსეთის ფედერაცის, რომელსაც აქვს აურაცხელი რესურსები; მსოფლიოში ყველაზე დიდი ტერიტორიის მქონეა, სახელმწიფოს ნავთობის, გაზისა და სხვა მრავალრიცხოვანი ბუნებრივი რესურსი გააჩნია, მიუხედავად ამისა, სახელმწიფოში კორუფციაა უმაღლეს დონეზე, რაც მისი ინტელექტუალური რესურსის განვითარებას ხელს უშლის ისე, როგორც ამერიკასა და ისრაელშია.

აქედან გამომდინარე, ამერიკის შეერთებული შტატები არის ამ ორი რესურსის სინთეზი. მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკელებს ქონდათ ისეთი პოლიტიკური მიმართულება, რასაც შემდგომ „ტვინების გადინება“ ეწოდა.

ამერიკელები გერმანიიდან და საბჭოთა კავშირიდან გაქცეულ ან წასვლის სურვილის მქონე მეცნიერებს, თავისთან იხმობდნენ, დემოკრატიულ, კაპიტალისტურ სახელმწიფოში, რომელსაც ისეთი ფულადი რესურსები გააჩნდაა, მეცნიერისთვის ყველაზე სასურველი საქმის განხორციელება იყო ძალიან მარტივ . ამ პოლიტიკამ გაამართლა და ამერიკამ უცხოეთიდან დიდძალი ინტელექტუალური რესურსი მიიღო. წარმოშობით იაპონელი ამერიკაში მოღვაწე მეცნიერი მიჩიუ კოკუ ამბობს, რომ ამერიკის ძლევამოსილება იმ ადამიანებზე დგას, რომლებმაც გადმოიბირა აშშ და ვის გადაბირებასაც დღემდე ახერხებს მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოდან შეერთებული შტატები.

ამერიკის შეერთებული შტატები სახელმწიფო, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ერთ-ერთი დამფუძვნებელი ქვეყანაა. და მისი წევრი დღემდე. ჩრდილოატლანტიკური ალიანსია ატლანტიკისა (აშშ ,კანადა) და ევროპის 28 სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება.

აშშ ალიანსში ყველაზე ძლიერი სახელმწიფოა: ეკონომიკური, სამხედრო და სხვა მახასიათებლებით. ამ კავშირში ყველაზე ძლიერი სამხედრო შეიარაღების

მქონე ქვეყანაა. სამხედრო მიმართულების ყველა არსებულ პარამეტრში ამერიკის სამხედრო ბიუჯეტი აღემატება ნატო-ს დანარჩენი 29 სახელმწიფოს სამხედრო ბიუჯეტს. ამერიკას აქვს ნატო-ს ნებისმიერ სხვა სახელმწიფოზე უფრო მეტი სამხედრო გემი, ავიამზიდი, თვითმფრინავი, არტილერია და რა თქმა უნდა, მეტი ბირთული იარაღი. აქედან გამომდინარე, შეერთებული შტატები ნატო-ს ყველაზე ძლიერი სახელმწიფოა და ალიანსის სამხედრო ძლიერებაში მნიშვნელოვანი წვლილი ამერიკასია.

ძლევამოსილ სახელმწიფო, (Super state) როგორც ამას ამერიკელები ამბობენ, უნდა იყოს ისეთი შეიარაღებული ძალების მქონე, რომ მის ძლიერებაში ეჭვიც არავის აშეეპაროს. ამერიკის შემთხვევაში ზუსტად ისეთ სახელმწიფოსთან გავქვს საქმე, რომლის შეიარაღებული ძალები მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია. თუ ისეთ გარემოებას წარმოვიდგენთ, სადაც ამერიკის შეიარაღებულ ძალებს სხვა რომელიმე ერთ სახელმწიფოსთან უპირისპირდება, მაშინ ყველაზე ძლიერადაც მივიჩნევთ. ეს, რა თქმა უნდა, სუბიექტური მოსაზრებაა და მრავალი სხვა ფაქტის ანალიზსა და სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებას მოითხოვს.[13]

ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

1.სახმელეთო ჯარები;

2.სამხედრო-საჰაერო ჯარები;

3.სამხედრო-საზღვაო ძალები;

4. სამხედრო-კოსმოსური ძალები.(united states space force)

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძალები

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძალები შედგება: არმიისგან , საზღვაო ქვეითი კორპუსისგან, საზღვაო ძალებისგან, საჰაერო ძალებისგან, კოსმოსური ძალებისგან და სანაპირო დაცვისგან.

[13] superstate,dictionary.com, გვ.1 https://www.dictionary.com/browse/superstate (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.05.2021)

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტია არმიის მთავარსარდალი და ჯარის პოლიტიკის ფორმირებას ახორციელებს, ამერიკის თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტთან ერთად.

ამერიკის შეიარაღებული ძალების ექვსივე სამხედრო სამსახური შედის რვა უნიფიცირებულ სამხედრო სამსახურში.

კანონმა „აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების შესახებ“ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1947 წელს, მიიღეს, ამერიკის თანამედროვე სამხედრო სტრუქტურა შექმნა. კანონის მიხედვით, ეროვნული სამხედრო დაწესებულება, ასევე შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების საჰაერო ძალები და ეროვნული უსაფრთხოების საბჭო. 1949 წელს კანონში შევიდა ცვლილებები, რომლითაც ეროვნულ სამხედრო დაწესებულებას ეწოდა თავდაცვის დეპარტამენტი. შეიარაღებული, საზღვაო და საჰაერო ძალების დეპარტამენტი თავდაცვის ძალების დეპარტამენტად გაერთიანდა.

თუ აშშ-ს სამხედრო ძალების პერსონალის რაოდენობას გავითვალისწინებთ, ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანია.

აშშ -ს არმიის ბიუჯეტი უდიდესია მსოფლიოში. მაგალითად, 2019 წელს ამერიკის სამხედრო ბიუჯეტი 694 მილიარდ დოლარს შეადგენდა, 2020 წელს 721.5 მილიარდს. 2018 წელს მსოფლიოს სამხედრო დანახარჯების 36% ამერიკის შეერთებულ შტატებზე მოდიოდა.

ამერიკის სამხედრო ბიუჯეტი იძლევა შესაძლებლობას სახელმწიფოს ჰქონდეს შესაძლებლობების ფართო სპექტრი როგორც თავდაცვის, ისე თავდასხმის მიმართულებით. ასევე, ბიუჯეტი საშუალებას იძლევა თანამედროვე მოწინავე ტექნოლოგიებს ფლობდეს სამხედრო ძალები, რაც აშშ-ს არმიას დიდ უპირატესობას ანიჭებს, გაზარდონ მათი მოქმედების მასშტაბების მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.

მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ ამერიკას მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში 800-მდე სამხედრო ბაზა აქვს. ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალები მსოფლიოში ყველაზე დიდია. 2019 წლის მონაცემებით, 14061 საჰაერო აპარატს ითვლის. ასევე, ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალები არის მსოფლიოში

ერთ-ერთი ყველაზე დიდი, ხოლო 2021 წლის მონაცემებით, ერთადერთი დამოუკიდებელი კოსმოსური ძალების მქონე სახელმწიფოა.

ისტორია

ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ისტორია იწყება 1775 წლის 14 ივნისს, როდესაც კონტინენტური არმია შეიქმნა, სანამ დამოუკიდებლობის დეკლარაციით ამერიკის შეერთებული შტატები სახელმწიფო გახდა. კონტინენტალური ფლოტი, რომელიც შეიქმნა 1775 წლის 13 ოქტომბერსა, ასევე, კონტინენტური საზღვაო ქვეითი ძალები 1775 წლის 10 ნოემბერს, მეორე კონტინენტური კონგრესის მიერ, დაარსდა ახალი სახელმწიფოს დაცვისთვის ბრიტანეთის იმპერიისგან დასაცავად.

ამ ძალების დემობილიზაცია მოხდა 1784 წელს, მას შემდეგ, რაც პარიზის ხელშეკრულებამ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა დაამთავრა.

კონფედერაციის კონგრესმა დღევანდელი არმიის შექმნას საფუძველი ჩაუყარა 1784 წლის 3 ივნისს. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა დღეს არსებულ ფლოტს საფუძველი ჩაუყარა 1794 წლის 27 მარტს; საზღვაო ქვეითების სამხედრო კორპუსს კი _ 1798 წლის 11 ივლისს.

1787 წელს მიღებული კონსტიტუციით, კონგრესს მიეცა შესაძლებლობა არმიის შექმნისა და მხარდაჭერის. ასევე, ომის გამოცხადების უფლებამოსილება. სამხედრო ძალების მთავარსარდალი გახდა პრეზიდენტი.

ამერიკის შეერთებული შტატების სანაპირო დაცვა თავის ისტორიას იწყებს 1790 წლის 4 აგვისტოდან, როცა დაარსდა სამხედრო -საჰაერო ძალები, თუმცა, როგორც დამოუკიდებელი სამსახური, შეიქმნა 1947 წელს .

აშშ-ს კოსმოსური ძალები, როგორც დამოუკიდებელი სამსახური, 2019 წლის 20 დეკემბერს შეიქმნა. ეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძალების მეექვსე კომპონენტია. მისი შექმნის ისტორია იღებს სათავეს აშშ-ის კოსმოსური სარდლობის შექმნიდან, 1982 წლიდან. დამატებით მოკლე ისტორიული რაკურსი შეგიძლიათ იხილოთ დანართი #5-ში.

სამხედრო ძალების სტრუქტურა

აშშ-ს პრეზიდენტის ბრძანებულება შეიარაღებულ ძალებზე დადგენილია კონსტიტუციის II მუხლით, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტი დასახელებულია შეერთებული შტატების არმიის და საზღვაო ძალების მთავარსარდლად. სამხედრო ძალების შესახებ სტრუქტურულად ოცემულია დანართი #6-ში.

აშშ-ს შეიარაღებული ძალები ორი დეპარტამენტის კაბინენტის შორის არის განაწილებული: თავდაცვის დეპარტამენტი პასუხისმგებელია სამხედრო საკითხებზე, ხოლო შინაგანი უსაფრთხოების დეპარტამენტი _ სანაპირო დაცვაზე.

სამხედრო მართვის ჯაჭვი იწყება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტიდან თავდაცვის დეპარტამენტის უფროსამდე ან ქვეყნის უსაფრთხოების მდივნამდე ,რაც უზრუნველყოფს სამხედრო-სამოქალაქო კონტროლს.

თავდაცვის დეპარტამენტის ფარგლებში სამხედრო, საჰაერო და სამხედრო-საზღვაო დეპარტამენტები არიან სამოქალაქო სტრუქტურები. სამხედრო სტრუქტურები კი პასუხისმგებლები არიან ორგანიზებულობაზე, წვრთნასა და აღჭურვაზე.

შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტი მართალია, არ შედის ოპერატიული მართვის ჯაჭვში, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების არმიაში წარმოადგენს უმაღლეს სამხედრო ორგანოს. მას ხელმძღვანელობს შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც არმიის სამხედრო მეთაურია და აშშ-ს პრეზიდენტის მთავარი მრჩეველი სამხედრო საკითხებში. შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სხვა შტაბების უფროსებთან ერთად, არის კომენდანტი, საზღვაო ქვეითების, სამხედრო-საზღვაო ოპერაციების სამხედრო- საჰაერო ძალების, კოსმოსური ოპერაციებისა და ნაციონალური გვარდიის უფროსი. უფროსი რიგითი მრჩეველი თავმჯდომარის არის აშშ-ს სამხედრო ძალების ყველაზე მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურე.

სამხედრო ძალების მმართველობა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, თავდაცვის დეპარტამენტის უფროსი, ეროვნული უსაფრთხოების მდივანი და შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე

არიან აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წევრები, რომლებიც პრეზიდენტს უწევს კონსულტაციას ისეთ საკითხებში, როგორიც არის: ეროვნული უსაფრთხოება, შეიარაღებული ძალები და საგარეო პოლიტიკის საკითხები. ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველი და მისი მოადგილე, ასევე, შეიძლება, იყვნენ აშშ-ს შეიარღებული ძალების მოსამსახურეები.[14] ეროვნული უსაფრთხოების თავმჯდომარის კომიტეტში, ასევე, შედიან თავდაცვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტის მოადგილე და შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.[15] ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტში, რომელიც პრეზიდენტის კონსულტაციას ახდენს ეროვნული უსაფრთხოების საკითებში, შედის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, თავდაცვის დეპარტამენტის უფროსი, ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი და შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე.[16]

აშშ-ს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული საბრძოლო სარდლობა

შეერთებული შტატების შეიარღებული ძალები იყოფა ერთობლივ სარდლობად, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა სახის შეიარღებული ძალების გაერთიანებებს. მათ აქვთ მისია კონკრეტულ რეგიონში ან მთელ მსოფლიოში .

გაერთიანებული სარდლობის მეთაურები უშუალოდ ექვემდებარებიან თავდაცვის დეპარტამენტის უფროს ის კი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს.

აშშ-ს სამხედრო ძალებს 10 სარდლობა აქვს:

1. ევროპული სარდლობა (აშშ-ს ევროპული სარდლობა USEUCOM) ჩამოყალიბდა 1952 წელს. პასუხისმგებლობის არეალი _ ევროპის ქვეყნები. შტაბი: შტუტგარტი გერმანია;

[14] Tony Joseph,Structured self Development, აშშ-ს არმიის ვებგვრდი, 18 ოქტომბერი 2010, გვ.1 https://www.army.mil/article/46737/structured_self_development (უკანასკლელად იქნა გადამოწმებული 13.05.2021)

[15] ACTING SECRETARY OF THE ARMY, აშშ-ს არმიის ვებგვრდი, გვ.1 https://www.army.mil/leaders/usa/ (უკანასკლელად იქნა გადამოწმებული 13.05.2021)

[16] CHIEF OF STAFF OF THE ARMY, აშშ-ს არმიის ვებგვრდი, გვ.1 https://www.army.mil/leaders/csa/ (უკანასკლელად იქნა გადამოწმებული 13.05.202)

2. წყნარი ოკეანის სარდლობა (აშშ-ს წყნარი ოკეანის სარდლობა USPACOM) შეიქმნა 1947 წელს. პასუხისმგებლობის არეალი - იაპონია ,ინდოეთი, აღმოსავლეთ და სამხრეთ აზია ანტარქტიდა, წყნარი ოკეანე ,ინდოეთის ოკეანე. შტაბი: ჰონოლულუ ,ჰავაი;
3. ჩრდილოეთ სარდლობა, (U.S . Northern Command, USNORTHCOM) რომელიც 2002 წელს ჩამოყალიბდა, პასუხისმგებელია აშშ-ზე კანადაზე, მექსიკაზე, კუბაზე, ატლანტის ,წყნარ ოკეანესა და ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეზე. შტაბი: კოლორადო;
4. სამხრეთის სარდლობა (აშშ-ს სამხრეთული სარდლობა USSOUTHCOM) შეიქმნა 1947 წელს. შტაბი: ფლორიდა, მაიამი;
5. ცენტრალური სარდლობა (აშშ-ს ცენტრალური სარდლობა USCENTCOM) ჩამოყალიბდა 1983 წელს. პასუხისმგებლობის არეალი - ახლო აღმოსავლეთი, არაბეთის ნახევარკუნძული, ეგვიპტე, ირანი, პაკისტანი, ავღანეთი, შუა აზია, მაკ დილის საჰაერო ბაზა, ფლორიდა;
6. აფრიკის სარდლობა (აშშ-ს აფრიკის სარდლობა USAFRICOM) შეიქმნა 2007 წელს. პასუხისმგებლობის არეალი აფრიკის ქვეყნები, გარდა ეგვიპტისა. შტაბი: შტუტგარტი, გერმანია;
7. აშშ-ს სტრატეგიული სარდლობა (USSTRARCOM) ჩამოყალიბდა 1992 წელს. ის აერთიანებს სტრატეგიულ ბირთულ, სარაკეტო, თავდაცვისა და კოსმოსურ ძალებს. შტაბი: ნებრასკა;
8. აშშ-ს სპეციალური ოპერაციების სარდლობა (USSOCOM) შეიქმნა 1987. ის აერთიანებს შეიარღებული ძალების სხვადასხვა განყილების რაზმებს. შტაბი: მაკდილის საჰაერო ბაზა, ფლორიდა;
9. აშშ-ს ტრანსპორტირების სარდლობა (USTRANSCOM) შეიქმნა 1987 წელს. აერთიანებს ძალებს, რომლებიც უზრუნველყოფენ არმიის ტვირთის სტრატეგიულ ტრანსპორტირებას.(სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები, სატრანსპორტო გემები, ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად საჭირო ინფრასტრუქტურა) შტაბი: სკოტის საჰაერო ძალების ბაზა, ილინოისი;

10. აშშ-ს კიბერსარდლობა (USCYBERCOM) ჩამოყალიბდა 2009 წელს. 2017 წლის 18 აგვისტოს გახდა დამოუკიდებელი ორგანო.[17]

აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალები

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტი არის აშშ-ს სამხედრო ძალების სამხედრო-საზღვაო მიმართულება. ამერიკის შეერთებული შტატების ფლოტი არის მსოფლიოში ყველაზე დიდი და ძლევამოსილი, თავისი რესურსებისა და ტექნოლოგიური განვითარების კუთხით. მსოფლიოში არც ერთი სახელმწიფოს აქვს ამერიკის შეერთებული შტატების ფლოტი სიძლიერის მქონე საზღვაო ძალები. მსოფლიოში არ არსებობს სახელმწიფო, რომელსაც გააჩნია სამხედრო-საზღვაო ფლოტი ისეთი რამ, არა მხოლოდ ამერიკის ფლოტის განადგურება შეძლოს, არამედ აშშ-ს ავიამზიდების რამდენიმე დამრტყმელი ჯგუფისაც.(ცნობისთვის ამერიკას 11 ამდე ავიამზიდი გააჩნია თავისი დამრტყმელი ჯგუფით) ამერიკის ავიამზიდების ფლოტი არის მსოფლიოში უდიდესი და უახლოეს სახელმწიფოებზე, რომლებსაც ავიამზიდი გააჩნია, მინიმუმ 5-ჯერ მეტი ავიამზიდი ჰყავს შეერთებულ შტატებს. ამერიკის ფლოტის განკარგულებაში 290 საბრძოლო ხომალდი და 3700 თვითმფრინავია სხვადასხვა დანიშნულების.

მე-18 საუკუნეში, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც სახელმწიფოს ეყრებოდა საფუძველი, მიმდინარეობდა ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის ბრიტანეთის იმპერიის წინააღმდეგ. იქიდან გამომდინარე, რომ ბრიტანეთის იმპერია ამერიკას ოკეანიდან უტევდა. ოკეანეს იყენებდა, ასევე, იმისთვის ,რომ თავის ჯარისკაცებს დახმარებოდა ახალი დესანტითა და არსებული არმიის ნაწილების უზრუნველყოფა იარაღით. გაჩნდა საჭიროება, რომ დაარსებულიყო ფლოტი, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევდა ბრიტანეთის იმპერიას და ოკეანიდან მტრის უპირატესობას გაანეიტრალებდა.

ამისთვის კონტინენტურმა კონგრესმა შექმნა ფლოტი, რომელიც, რა თქმა უნდა, მას ემორჩილებოდა.

---

[17] USA ARMY COMMANDS აშშ-ს არმიის ვებგვერდი გვ.1 https://www.usar.army.mil/Commands/ (უკანსაკნელად გადამოწმებულ იქნა 21.05221)

აშშ-ს ფლოტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოს პოლიტიკაზე მოკავშირეების დაცვის მიმართულებით. 11 ავიამზიდი, რომლებიც ამერიკას გააჩნია, შესაძლებელია, თავის ნებისმიერ მოკავშირეს გაუწიოს დახმარება კრიზისულ სიტუაციებში, ჰუმანიტარული თუ სამხედრო დახმარების თვალსაზრისით. ამის საუკეთესო მაგალითია კორეის კონფლიქტი. მას შემდეგ, რაც 1950 წელს კორეაში დაიწყო ომი, ერთი მხრივ, ჩრდილოეთ კორეის საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მხრიდან, ხოლო მეორე მხრივ, სამხრეთ კორეის ამერიკისა და მოკავშირეების მონაწილეობით, რომელიც დასრულდა 1953 წელს საზავო ხელშეკრულებითა და კორეის ნახევარკუნძულის 38 პარალელზე ორ ნაწილად გაყოფით. აშშ წარმოადგენს სამხრეთ კორეის სტრატეგიულ პარტნიორს. ამერიკის აქვს სამხრეთ კორეაში სამხედრო ბაზა. მის მხარდაჭერას ამერიკული საზღვაო ხომალდები ახორციელებენ მუდმივად.

ჩრდილოეთ კორეა ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმის სახელმწიფოა, რომელსაც ბირთული იარაღის შექმნა აქვს გადაწყვეტილი და, დიდი ალბათობით, შესაძლოა, უკვე ფლობს კიდეც ბირთულ იარაღს. რაც დანამდვილებით ვიცით, ის არის, რომ მას გააჩნია ბალისტიკური რაკეტები, რომლებსაც ბირთული ქობინების შორ მანძილზე გადატანა შეუძლია.

როდესაც ბალისტიკური რაკეტების ტესტირება მიმდინარეობს ჩრდილოეთ კორეაში, ამერიკასა და ფხენიანს შორის იძაბება სიტუაცია. პირველი, ვისაც საფრთხე ემუქრება, არის სამხრეთ კორეა, რომლიც დედაქალაქისგან, სეულისგან, რამდენიმე კილომეტრშია ჩრდილოეთ კორეის არმიის არტილერია განთავსებული.

ამერიკული სამხედრო-საზღვაო ხომალდები კორეის დაცვის ყველაზე მოქმედი და ძლიერი საშუალებაა, რომელთა გამოჩენაც დაძაბულ სიტუაციას განმუხტავს ხოლმე.

აქ საზღვაო ფლოტის მეორე მნიშვნელოვან ფუნქციამდე მივდივართ, რასაც წარმოადგენს ძალის დემონსტრირება პოტენციურად მტრულად განწყობილი სახელმწიფოსთვის და საგარეო პოლიტიკის წარმოების მნიშვნელოვანი ატრიბუტია. მტრის წინააღმდეგ დიპლომატიური მეთოდები ასმაგად კარგად მოქმედებს თუ მის საზღვაო საზღვრებთან ახლოს ამერიკული ავიამზიდი არის

თავისი დამრტყმელი ჯგუფით, რომელსაც ბევრ სახელმწიფოზე უფრო დიდი ზარალის მიყენება შეუძლია, დამრტყმელი სამხედრო შესაძლებლობებით თუ ვიმსჯელებთ .

აშშ-ს საზღვაო ძალებს მართავს საზღვაო ძალების დეპარტამენტი, მისი უფროსია საზღვაო ძალების მდივანი, ხოლო აშშ-ს საზღვაო ძალების დეპარტამენტი ექვემდებარება შერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტს.[18]

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საზღვაო ფლოტის ბიუჯეტი შემცირდა, რაც გემების რაოდენობაზეც აისახა. 1922 წელს დაიდო ვაშინგტონის საზღვაო ხელშეკრულება, რომელიც ზღუდავდა სამხედრო ფლოტის ზომებს. . ხელშეკრულება დაიდო იტალიის, ამერიკის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიისა და საფრანგეთის მიერ. ავიამზიდების ერა დაიწყო ზუსტად ამ დროს და, ასევე, წყალქვეშა ნავებისაც.

1941 წელს პერლ ჰარბორზე ამერიკულ ფლოსტს დარტყეს იაპონელებმა, რამაც დიდი ზიანი მიაყენა აშშ-ს ფლოტს. თუმცა ამის შემდგომ ფლოტი უფრო გაიზარდა და მის განვითარებაში უფრო მეტი თანხები ჩაიდო. იაპონიამ ამერიკის ომში ჩაბმით, დიდი ზარალი განიცადა. ამერიკელებმა ბირთული იარაღი გამოსცადეს შემდგომ იაპონიაზე ხიროსიმასა და ნაგასაკში.

ატლანტის ოკეანეში ამერიკელებისთვის საფრთხეს წარმოადგენდა გერმანელების წყალქვეშა ნავები, რომლებიც სავაჭრო გემებსა და თანხმლებ ხომალდებს თავს ესმხოდნენ. 1943 წლისთვის ამ პრობლემის მოგვარება შეძლეს და დომინირების მოპოვება ამერიკელებმა დიდი რაოდენობის თანხმლები გემების აშენებით, ასევე, თვითმფრინავების, რომლებიც მუდმივად პატრულირებდნენ. ამერიკის ფლოტმა, ბრიტანულ ფლოტთან ერთად, მსხვილი სადესანტო ოპერაციების ჩატარება შეძლო 1943 წელს სიცილიაში, ნორმანდიაში 1944 წელსა და საფრანგეთში 1944 წელს.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ამერიკის ჯერ პოტენციური, ხოლო შემდეგ მოქმედი მტერი, გახდა საბჭოთა კავშირი. ამან გამოიწვია საზღვაო სტრატეგიის ცვლილება. საბჭოთა კავშირის წყალქვეშა ნავები, რომლებიც იმ დროს

[18] Navy Commissions Littoral Combat Ship USS Mobile,აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების ვებგვერდი, გვ.1 https://www.navy.mil (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 19.05.2021)

ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სამხედრო ერთეული იყო, მთავრი საფრთხე გახდა საზღვაო ფლოტისთვის.

ამერიკის მოკავშირეების მხარდაჭერა გახდა საჭირო, ვინაიდან საბჭოთა კავშირი სულ უფრო მეტ სახელმწიფოს აწითლებდა და კომუნისტურ იდეოლოგიის გავრცელებას ცდილობდა. ამისთვის დიდი ფლოტი იყო საჭირო. რომელიც მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში შეძლებდა მოქმედებასა და ამერიკის მეგობრი სახელმწიფოების, სტრატეგიული პარტნიორების მხარდაჭერას.

1950 წელს უკვე კორეის ომში გახდა სამხედრო ფლოტი საჭირო, რამაც აჩვენა რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ამერიკისთვის სამხედრო ფლოტი კორიის ომიდან ყველზე ცნობილი სადესანტო ოპერაციაა ინჩხონის პორტში, კორეაში, ამერიკული ფლოტის მეშვეობით დესანტის გადასხმა. ცივი ომის დროს სამხედრო ფლოტმა ყველა იმ ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა, რასაც მსოფლიოს მასშტაბით აშშ ახორციელებდა. ვიეტნამის ომში ფლოტის წვლილი არის კოლოსალური ლოგისტიკის. სამხედრო-მატერიალური მხარდაჭერის თვალსაზრისით, ამერიკულმა ფლოტმა დიდი სამუშაო გასწია .

აღსანიშნავია 1961 წელიც, როდესაც პირველი ატომური დამრტყმელი ავიამზიდი ენტერპრაიზი ააგეს ამერიკელებმა. ისაა თანამედროვე ეტაპზე არსებული ავიამზიდების საწყისი.

ენტერპრაიზს ბევრი კრიტიკოსი და მოწინააღმდეგე ჰყავდა თავიდან, თუმცა მან სრულიად გაამართლა მასზე გაცემული ავანსები და ამერიკის საბჭოთა კავშირზე უპირატესობა განაპირობა ფლოტის მიმართულებით. საბჭოთა კავშირმა ვერ შეძლო ამერიკის ფლოტის მსგავსად, საკუთარი ძლიერი, უმსხვილესი სადესანტო ოპერაციების განხორციელების უნარის მქონე ფლოტის მშენებლობა, რითაც ის მსოფლიოს მასშტაბით ბაზების მშენებლობასა და მოქმედებაში იყო შეზღუდული.

1960-იანი წლების შემდეგ, როდესაც ამერიკული ფლოტი კარიბის კრიზისში მონაწილეობას იღებდა, ვიეტნამის ომშიც მისი შესაძლებლობები ერთიორად გაიზარდა. აღიჭურა ახალი შეიარაღებით მართვადი რაკეტებითა და მუდმივად გამოჩნდა ამერიკული საზღვაო ხომალდები უკვე ინდოეთის ოკეანეში.

1980-იან წლებში ამერიკის ფლოტი იღებდა სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობას: ლიბანში, ლიბიაში, პანამაში, ირანში.

2003 წელს სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა ამერიკის ფლოტმა .

დღეს ამერიკის შეერთებული შტატების ფლოტში 290 სამხედრო საზღვაო გემია. ამერიკა მსოფლიოში უძლიერესი ფლოტს ფლობს, რომელსაც აქვს შესაძლებლობა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში განახორციელოს ოპერაციები და შესთავაზოს აშშ-ს შესაძლებლობების ფართო სპექტრი ეს იქნება სტრატეგიული შეიარაღების მხრივ, ბირთული შეკავების, სამხედრო-საზღვაო ოპერაციების განხორციელება, სამხედრო ჯარის მხარდაჭერა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მტრის წინააღმდეგ ელვისებური დარტყმის განხორციელება ,ძალის დემონსტრირება თუ ჰუმანიტარულ ოპერაციებში მონაწილეობის მიღება.

არ არსებობს მსოფლიოში ფლოტი, რომელიც უფრო მრავალრიცხოვან სადესანტო ოპერაციას განახორციელებს დესანტის სრული მხარდაჭერით. ეს იქნება მხარდაჭერა სარაკეტო ავიაციის, ჯავშან-ტექნიკის, სარადარო სისტემების, დაზვერვა-,თვალთვალი , მატერიალური-ტექნიკური სახის თუ სხვა .

ამერიკული ფლოტის ავიამზიდის დამრტყმელი ჯგუფი რომელიც შედგება სხვადასხვა სახის და კლასის ხომალდებისგან როგორიც არის ატომური ავიამზიდი ნიმიცის ან ჯერალდ ფორდის კლასის, ნაღმოსანი კრეისერები თუ წყალქვეშა ნავსებისგან, ფლობს შესაძლებლობას ნებისმიერ ფლოტს მსოფლიოში მიაყენოს კრიტიკული ზიანი .

დღეს ამერიკული ფლოტი არის დამოუკიდებელი საბრძოლო ერთეული, რომელიც ბევრი სახელმწიფოზე უფრო ძლიერია, თავისი შესაძლებლობებით , მოქმედების არეალითა და თანამედროვე შეიარაღებით .

თანამედროვე ფლოტის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის სხვადასხვა სისტემების განვითარებასა და ამერიკის სამხედრო ძალების სხვა მიმართულების განვითარებასაც. რა თქმა უნდა, იქიდან გამომდინარე, რომ ამერიკის დღევანდელი თანამედროვე ფლოტი ეს არის სხვადასხვა სამხედრო ძალის ერთობლიობა(მაგ,

სამხედრო-საჰაერო, კოსმოსური) და კომბინირებული მუშაობა, რაც იძლევა ფლოტის ეფექტურობას.[19]

ეს იმას ნიშნავს, რომ მაგალითად, ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალები რომ არ იყოს განვითარების უმაღლეს დონეზე, მაშინ ფლოტის განვითარების დონე და მისი ეფექტურობაც დაბალი იქნებოდა, იმიტომ, რომ ავიამზიდის დაცვა არის საჭირო მოწინააღმდეგის ძალებისგან რასაც უზრუნველყოფს სხვადასხვა სისტემა, მათ შორის ავიამზიდის საჰაერო თავდაცვის საშუალებები.[20] მაგალითად: სტელსის ტიპის ვერტიკალური აფრენის ფუნქციის მქონე მრავალფუნქციური გამანადგურებელი F-35 ან F-18, რომლებიც მტრის ავიაციის წინააღმდეგ იმოქმედებენ საჭიროების შემთხვევაში, სხვა თავდაცვის საშუალებებთან ერთად კომბინირებულად. როლის სტრუქტურა მოცემულია დანართი#7-ში.[21]

აშშ-ის საზღვაო ფლოტის ადმინისტრაციული ორგანიზები მიმართლებით შეიგიძლიათ იხილოთ დანართი #8-ში.

1.4 რუსეთის ფედერაციის სამხედრო- საზღვაო ძალები

ისტორია

რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების, როგორც დამოუკიდებელ სამხედრო ერთეული, არსებობას XVII საუკუნიდან იწყებს. იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფოს გაუჩნდა ტერიტორიების დაპყრობის სურვილი, სამხედრო-საზღვაო ფლოტი აუცილებელი გახდა.

პირველი საზღვაო ძალების მუდმივი დაჯგუფება შეიქმნა გემებიდან, რომლებიც 1695-1696 წლებში მიიღეს შეიარაღებაში. (აზოვის ფლოტი). ის განკუთვნილი იყო იმისთვის, რომ თურქული ციხე-სიმაგრე აზოვი აეღოთ. 1695 წლის 30 ოქტომბერს პეტრე პირველის განკარგულებით გამოიცა ბრძანება: „სამხედრო- საზღვაო ხომალდები უნდა გვყავდეს“, რაც გახდა პირველი კანონი სამხედრო-საზღვაო

[19] Naval History, საზღვაო ისტორიისა და მემკვიდრეობის სარდლობა გვ.1 https://www.history.navy.mil (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 19.05.2021)

[20] Naval Historian Receives Distinguished Award, საზღვაო ისტორიისა და მემკვიდრეობის სარდლობა, 17 მაისი 2021, გვ.1 https://www.history.navy.mil/news-and-events/news/2021/hornfischer-award.html (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 19.05.2021)

[21] The United States Navy, britannica.com გვ.1. https://www.britannica.com/topic/The-United-States-Navy უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 19.05.2021)

ძალების შესახებ რუსეთის ისტორიაში. ეს გახდა ოფიციალური თარიღი საზღვაო ძალების დაარსების.

1700-1721 წლებში, ჩრდილოეთის ომის დროს, მიიღეს ფლოტის ძირითადი მიზნები და ამოცანები, რომელიც დღემდე შეცვლილი ფორმით, მაგრამ არსებობს. ამ მიზნებს წარმოადგენდა: მოწინააღმდეგის სამხედრო-საზღვაო ძალების წინააღმდეგ ბრძოლა; , ბრძოლა საზღვაო კომუნიკაციებში; სანაპიროს დაცვა ზღვის მხრიდან; ,ქვეითი ჯარისთვის დახმარების გაწევა; დარტყმების განხორციელება და მტრის ტერიტორიაზე შეჭრა ზღვის მხრიდან; ამ მიზნებიდან გამომდინარე, შეიცვალა ფლოტის ჰოლი და მისადაგება.

ამავე პერიოდში შეიქმნა ბალტიის ფლოტი. მისი მშენებლობა დაიწყო 1702-1704 წლებში. ბალტიის ფლოტის მთავარი სამხედრო ბაზა განთავსებული იყო სანკ-პეტერბურგში. 1725 წლისთვის რუსულ ფლოტი შედგებოდა 130 იალქნიანი გემით. პეტრე პირველის სიკვდილის შემდეგ ფლოტის მდგომარეობა გაუარესდა. 1726 წელს მხოლოდ ერთი გემის აგება მოხერხდა, ხოლო 1727-1730 წლებში არცერთის. 1727 წელს ფლოტის შემადგენლობაში საბრძოლო მზადყოფნაში მხოლოდ 15 სამხედრო-საზღვაო გემი იყო.

პეტრე მეორის პერიოდში გაუარესდა ფლოტის ეკიპაჟის მომზადების ხარისხი. 1728 წლის აპრილში იმპერატორმა უმაღლესი საიდუმლო საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ ზღვაში მხოლოდ ოთხი ფრეგატი გასულიყო და კიდევ 5 მზადყოფნაში ყოფილიყო. დანარჩენი ხომალდები ხაზინის ფულის დაზოგვისთვის პორტებში უნდა დარჩენილიყვნენ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსული ფლოტი უფრო გაიზარდა და გაძლიერდა, რადგან უფრო აქტიური საგარეო პოლიტიკა მოითხოვდა ამას და, ამავე დროს, დაპირისპირება თურქეთთან შავ ზღვაზე ბატონობისთვის.

1770 წელს რუსულმა ფლოტმა თურქული გაანადგურა და ეგეოსი ზღვაში მოიპოვა უპირატესობა. 1771 წელს კი ქერჩის სრუტის მიმდებარე ტერიტორია დაიპყრეს დაა ციხე-სიმაგრე ქერჩი.

XIX საუკუნის ბოლოს რუსული ფლოტი სიდიდით იყო მესამე მსოფლიოში დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის შემდეგ. ის შედგებოდა ბალტიის, შავი ზღვის

ფლოტისაგან; კასპიისა და ოხოტის ფლოტილიისგან. 1802 წელს დაარსდა საზღვაო ძალების სამინისტრო.

ყირიმის ომისთვის რუსული ფლოტი საკმაოდ კარგ მდგომარეობაში იყო. ომის დასაწყისში შავი ზღვის ფლოტმა დიდი დარტყმა მიაყენა თურქულ ფლოტს 1853 წელს. მაგრამ ომში ბრიტანეთის-საფრანგეთს ფლოტის ჩართვის შემდეგ სიტუაცია კრიტიკულად შეიცვალა უარესობისკენ. რუსული იალქნიანი გემები სევასტოპოლში ჩაძირეს, ხოლო მეზღვაურები ქალაქის დასაცავად ხმელეთზე გადავიდნენ. ბალტიის ფლოტი გადაურჩა კოალიციურ ფლოტს, პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც 1856 წელს დაიდო, რუსეთს აეკრძალა ფლოტის ყოლა შავ ზღვაში.

1860-იან წლებში მოძველებულმა რუსეთის იმპერიის იალქნიანმა გემებმა მნიშვნელობა დაკარგა და ორთქლის გემებით შეიცვალა.

ყირიმის ომის შემდეგ და იქ ნაჩვენები ცუდი შედეგების გამო დაიწყო ორთქლის გემებზე მუშაობა სრული ტემპითა და პირველ ჯავშნიან გემებზე, რომლებსაც მძიმე არტილერიით აღჭურვავდნენ.

დროთა განმავლობაში ტექნოლოგიურმა განვითარებამ და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებმა ფლოტის განვითარებაზეც იმოქმედა. აქედან გამომდინარე, შეიცვალა ფლოტის მიზნები და ამოცანები. პირველ მსოფლიო ომამდე მთავარ საფრთხეს წარმოადგენდა სამხედრო გემები, მაგრამ შემდგომ გაჩნდა წყალქვეშა ნავების საჭიროება და 1906 წელს შეიქმნა ეს მიმართულებაც რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალებში.

შემდეგი ეტაპი იყო 1914 წელს საზღვაო ავიაციის პირველი განყოფილების შექმნა რომელიც 1916 წელს დამოუკიდებელი მიმართულება გახდა .

რუსეთს სამხედრო-საზღვაო ძალების მართვის ორგანოების შექმნას საფუძველი ჩაეყარა სამამულო ომის პერიოდში. 1938 წელს შეიქმნა სახალხო კომისარიატი, რომლის დაქვემდებარებაში იყო საზღვაო ძალების მთავარი შტაბი. დღევანდელი წყნარი ოკეანისა და სამხრეთის ფლოტი, როგორც მუდმივი დაჯგუფება, არსებობს 1932 წლიდან.

ყველაზე მეტად ფლოტი განვითარდა 1980 წელს. ამ დროს მის შემადგენლობაში 4 ფლოტი იყო და კასპიის ფლოტილია; მათ შემადგენლობაში კი _ 100 დივიზია, ასევე, წყალქვეშა ნავები და სამხედრო-საჰაერო ძალები.

გარდამტეხი პერიოდია 1991 წელი, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და მისი სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია გახდა.[22]

რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ძალები

თანამედროვე რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ შეიქმნა, რომლის სამართალმემკვიდრეც რუსეთია. საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ძალები უდევს საფუძვლად რუსეთის ფედერაციის საზღვაო ძალებს.

1991 წლის ბოლოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა:

ცენტრალური მმართველობის ორგანო - საზღვაო ძალების მთავრი შტაბი;

ფლოტები: ბალტიის, შავი ზღვის, ჩრდილოეთის, წყნარი ოკეანის;

ფლოტილია კასპიის;

სამხედრო-სასწავლო ცენტრები.

1992 წლის 14 თებერვალს ჩატარდა დსთ-ს სახელმწიფოების თავდაცვის მინისტრების შეხვედრა, რომლის შემდეგაც საბჭოთა კავშირის ფლოტი გახდა დსთ-ს სახელმწიფოების ფლოტი, ხოლო რუსეთის იურისდიქციის ქვეშ გადავიდა: ბალტიის შავი ზღვის, ჩრდილოეთისა წყნარი ოკეანის საბჭოთა ფლოტი.

ოფიციალურად რუსეთის ფედერაციის ფლოტი რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის ბრძანებით შეიქმნა 1992 წლის 7 მაისს.

დსთ-ს გაერთიანებული სამხედრო ძალების პროექტის ჩავარდნის შემდეგ დაიწყო პროცესი საბჭოთა კავშირის საზღვაო ძალების გაყოფის, რომლებიც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში იყო იმ მომენტისთვის.

შავი ზღვის ფლოტის გაყოფის პროცესი, რომელიც 1997 წლამდე გაგრძელდა უკრაინასა და რუსეთს შორის, რუსეთის იურისდიქციის ქვეშ გადავიდა 81%

[22] Военно-Морской Флот,რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ძალების ვებგვერდი, გვ.1 https://structure.mil.ru/structure/forces/navy/history.htm (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 19.05.2021)

სამხედრო საზღვაო გემების, საზღვაო გემების ბაზირების 3 პუნქტი და საზღვაო-ავიაციის ბაზირების 2 აეროდრომი და სხვა.

საბჭოთა კავშირის ბალტიის ფლოტის შემადგენლობიდან რუსეთს გადაეცა გემების ბაზირების პუნქტების 20%, აეროდრომების 70%...

თანამედროვე პერიოდი

თანამედროვე პერიოდში რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ფლოტი არის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მსოფლიოში. მის შემადგენლობაშია სხვადასხვა ტიპის და სხვადასხვა კლასის სამხედრო ხომალდები. აქ უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ დიდია ცდუნება შევადაროთ რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი მის მთავარ მოწინააღმდეგეს ამერიკის შეერთებულ შტატებს. ეს შედარება არ იქნება კორექტული, რადგან სამხედრო-საზღვაო ფლოტის განვითარება ყველა სახელმწიფოში რომელსაც მსგავსი სამხედრო ძალები გააჩნია, არის ინდივიდუალური და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებიდან გამომდინარე. აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფინანსურ მხარეს, რადგან სამხედრო-საზღვაო ძალები დიდძალ ფინანსურ ბიუჯეტს საჭიროებს. საბჭოთა კავშირი ისტორიული და პოლიტიკური კონიუქტურიდან გამომდინარე, ავითარებდა სამხედრო-საზღვაო ძალების სხვა მიმართულებასა და აშშ სხვას. მაგალითად, ამერიკელებისთვის მნიშნელოვანი გახდა ავიამზიდების აგება და ავიაციის განვითარება, ხოლო საბჭოთა კავშირი წყალქვეშა ნავებს უფრო ავითარებდა, აქედან გამომდინარე, რუსეთიც,მისი სამართალმემკვიდრე, ამ მიმართულებით შედარებით ძლიერია. უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკა საზღვაო სახელმწიფოა და მისი საზღვაო პოტენციალი არის მისი ძლიერების განმსაზღვრელი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. რუსეთია ამის საპირისპირო სახმელეთო სახელმწიფო, რომელსაც სახმელეთო კომპონენტი აქვს უფრო განვითარებული და ეს წარმოადგენს მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან მიმართულებას. ასევე, ამერიკას ფინანსური შესაძლებლობები უფრო მეტი აქვს, რაც მის სამხედრო ბიუჯეტზეც აისახება.

რუსეთის სტრატეგიულ შეიარაღებას ავითარებს უფრო მეტად. სამხედრო ფლოტის მთავარი პრობლემა უფრო ძლიერი სამხედრო ფლოტის არარსებობის

შემთხვევაში არის ბირთვული სტრატეგიული შეიარაღება, რასაც ნებისმიერი ფლოტისთვის შეუძლია კრიტიკული ზიანის მიყენება. რუსეთის ფედერაცია სტრატეგიული ბირთული შეიარაღების მხრივ, მსოფლიოში ერთ-ერთი ლიდერია აშშ-სთან ერთად . ასევე. სარაკეტო შეიარაღების მხრივ, რუსები ავითარებენ თავიანთ სამხედრო პოტენციალს.

რუსეთის ფედერაციის მთავარ სამხედრო-საზღვაო მიმართულებას წარმოადგენს წყალქვეშა ნავები. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს დაიწყო ამ მიმართულებისთვის უპირატესობის მინიჭება, მისი სტრატეგიული და ფარული მნიშვნელობის მოქმედების შესაძლებლობების გამო. მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა ამერიკის შეერთებული შტატების ავიამზიდების და წყალს ზედა ხომალდების რაოდენობა და ხარისხი უფრო კარგი ჰქონდა ამიტომაც მათ საპირწონედ წყალქვეშა ნავების შექმნა იყო აუცილებელი. წყალქვეშა ნავები ბირთვული სტრატეგიული შეიარაღების გადატანის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად მიაჩნდათ რუსებს. დღესაც ყველაზე განვითარებული სამხედრო-საზღვაო ერთეული წყალში რუსებისაა წყალქვეშა ნავები, თუმცა მათი უდიდესი ნაწილი საბჭოთა წარმოებისაა.

რუსეთის ფედერაციას გეგმებში აქვს 2023 წლამდე 20 ამდე სხვადასხვა სახის და დანიშნულების სამხედრო-საზღვაო გემის მიღება. არსებული წყალქვეშა ნავების ნაწილისა და სამხედრო-საზღვაო გემების მოდერნიზაცია. მაგრამ მთავარ სტრატეგიულ მნიშვნელობის მიმართულებას წარმოადგენს თანამედროვე ეტაპზე სარაკეტო შეიარაღების მოდერნიზაცია და ახალი ტიპის შორს მანძილზე მოქმედი რაკეტების შექმნის პროექტების დასრულება, რაც სამომავლოდ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი შეიძლება გახდეს ამერიკული ფლოტის და, კერძოდ, ამერიკული ავიამზიდების დამრტყმელი ჯგუფის წინააღმდეგ. საჰაერო დაცვის საშუალებები წარმოადგენს პრიორიტეტულ მიმართულებას. რომლებიც სამხედრო გემებზე არის განთავსებული.

ორგანიზაცია და სტრუქტურა

რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი შედგება 4 სხვადასხვა ფლოტისაგან: ბალტიის, შავი ზღვის, ჩრდილოეთის, წყნარი ოკეანის ფლოტი და კასპიის ფლოტილი .

რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში შედის:

სამხედრო გემები;

წყალქვეშა ნავები;

სამხედრო-საზღვაო ავიაცია;[23]

ფლოტის სანაპირო ჯარები;

საზღვაო ქვეითები;

სანაპირო სარაკეტო და საარტილერიო ძალები;[24]

რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მიზნები:

- რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების შეკავება;
- სამხედრო საშუალებებით სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვა: მისი მიწის ტერიტორიის მიღმა, შიდა წყლებში, ტერიტორიულ წყლებში, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და კონტინენტალურ შელფზე;
- მსოფლიო ოკეანეში საზღვაო საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად პირობების შექმნა და შენარჩუნება;
- ოკეანეებში რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების არსებობის უზრუნველყოფა, დროშისა და სამხედრო ძალების დემონსტრირება, გემების ვიზიტები;
- მსოფლიო საზოგადოების მიერ განხორციელებული სამხედრო, სამშვიდობო და ჰუმანიტარული ქმედებებში მონაწილეობის უზრუნველყოფა, რომლებიც სახელმწიფოს ინტერესებშია.[25]

---

[23] Объединение флота,რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ძალების ვებგვერდი, გვ.1 https://structure.mil.ru/structure/forces/navy/combined_fleet.htm (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 19.05.2021)

[24] Главное командование Военно-Морского Флота, ,რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ძალების ვებგვერდი, გვ.1 https://structure.mil.ru/structure/forces/navy/structure.htm (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 19.05.2021)

[25] Военно-Морской Флот, ,რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ძალების ვებგვერდი, გვ.1 https://structure.mil.ru/structure/forces/navy/task.htm (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 19.05.2021)

რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების საბრძოლო შემადგენლობა

წყალქვეშა ნავები

წყალქვეშა ნავები რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში არის 13 ატომური წყალქვეშა ნავი ბალისტიკური რაკეტებით; 27 ატომური წყალქვეშა ნავი მართვადი რაკეტებით და ტორპედოებით აღჭურვილი; 19 დიზელის წყალქვეშა ნავი; 8 სპეციალური დანიშნულების ატომური წყალქვეშა ნავი; 1 სპეციალური დანიშნულების დიზელის წყალქვეშა ნავი.

სამხედრო-საზღვაო გემები

რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაშია:

1. მხოლოდ ერთი ავიამზიდი ადმირალი კუზნეცოვი, რომელიც ამ ეტაპზე საბრძოლო მდგომარეობაში არაა და შეიძლება, ვერც ვერასდროს იყოს, მისი რემონტის თანხების გათვალისწინებით .
2. 85 - კორვეტი
3. 3-კრეისერი
4. 12-საესკადრო ნაღმოსანი
5. 11-ფრეგატი
6. 58-სადესანტო გემი
7. 18- სპეციალური დანიშნულების გემი
8. 3-საპატრულო გემი
9. 54-საპატრულო გემი
10. 48- გამნაღმველი გემი[26]

თავი II. 21-ე საუკუნეში ნატო-ს კოალიციური სამხედრო-საზღვაო ძალების როლი ბირთვულ შეკავების პოლიტიკაში

2.1 ნატოს ბირთვული შეკავებისა და თავდაცვის სტრატეგია

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც თავიდანვე შეიქმნა მშვიდობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. ასევე მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ

[26] Вооружение Подводных сил , ,რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ძალებისვებგვერდი, გვ.1 https://structure.mil.ru/structure/forces/navy/weapons/submarine.htm (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 17.05.2021)

საბჭოთა კავშირისგან, ევროპის სახელმწიფოების დაცვის მიზნით. საბჭოთა კომუნიზმი ევროპული სახელმწიფოების და ამერიკის შეერთებული შტატებისთვის მიუღებელი იყო. ასევე, ევროპულ და ამერიკულ დემოკრატიულ ღირებულებებთან შეუთავსებელი. აქედან გამომდინარე, ნატო-ს შექმნა ამ პრობლემების მოგვარებას ემსახურებოდა. ყველაზე მთავარი მიზანი, რაც ნატო-ს ამოძრავებდა და დღემდე ამოძრავებს, არის მისი წევრი სახელმწიფოების დაცვა ყველა ტიპის საფრთხისგან.

ნატო-ს მიზნის შესრულებას, რომელსაც წევრი სახელმწიფოების დაცვა და ჩრდილოატლანტიკურ რეგიონში მშვიდობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფას წარმოადგენს, სჭირდება შესაბამისი სტრატეგია და შესაძლებლობა იმისი, რომ თანამედროვე ეტაპზე არსებული გამოწვევების სრულ სპექტრზე რეაგირების მოხდენა იყოს შესაძლებელი.

საჭიროა ცვლად უსაფრთხოების გარემოში განვითარების მეშვეობით მოხდეს ნატო-ს შესაძლებლობების ადაპტაცია, რომ მუდამ მზად იყოს ალიანსი საჭიროების შემთხვევაში რეაგირებისთვის.

ცვლადი უსაფრთხოების გარემო ნატო-სთვის ნიშნავს, რომ ცივი ომის შემდეგ, დღეს, ყველაზე რთული პერიოდია. რუსეთის ფედერაცია, ნატო-ს მთავარი საფრთხე, მუდმივად აგრძელებს დესტაბილიზაციასა და მისი ქცევის პროგნოზირება შეუძლებელია. ამაზე მეტყველებს კონფლიქტების რაოდენობა რუსეთის ირგვლივ, რომელშიც მას ყოველთვის აქვს პირდაპირი წვლილი: ეს იქნება უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის შელახვა, მისი ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია თუ ყარაბახის კონფლიქტი, რომელიც აქტიურ ფაზაში შევიდა და ომით დასრულდა ორ სახელმწიფოს შორის, სადაც წაგებული რუსეთთან სამხედრო თავდაცვითი ხელშეკრულების მქონე სომხეთი დაზარალდა. საქართველოს წინააღმდეგ არსებული რუსეთის ქმედებებიც მეტყველებს მის დესტრუქციულ და ექსპანსიურ ნატურაზე. რუსეთს საქართველოს ტერიტორიები აქვს ოკუპირებული და დღემდე მცოცავი ოკუპაციის მეშვეობით ცდილობს, მეტი და მეტი ტერიტორიის მიტაცებას.

ტერორიზმის საფრთხე არის მუდმივი და 21-ე საუკუნეში ყველაზე რთული და მრავალრიცხოვანი კერების მქონე გამოწვევაა ტერორიზმი ნატო-სთვისა და მისი

მოკავშირეებისთვის. ისლამური სახელმწიფოს მაგალითზე შეიძლება კარგად დავინახოთ, რომ მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით არის შესაძლებელი ტერორიზმის დამარცხება. ნატო-ს კოალიციური სამხედრო-საზღვაო ძალები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას ისლამური სახელმწიფოს დაბომბვაში.

ჩინეთსა და მის აღზევებას მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების პრობლემად აღიქვამენ. ამერიკისა და ჩინეთის დაპირისპირებაზე იწერება სტატიები და მონოგრაფიები, მაგრამ ჩინეთი არა მარტო ამერიკისთვის წარმოადგენს საფრთხეს. ნატო-ს სამიტზე. კარგად აღინიშნა, რომ ჩინეთი მთავარი გამოწვევაა ალიანსი. ალიანსი ეს არის ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებების სახელმწიფოთა კავშირი. აქედან გამომდინარე, კომუნისტური ჩინეთის აღზევება და მისი იდეოლოგიური შეხედულებების გავრცელება არ შედის ალიანსის ინტერესებში. აქ არის სხვა ფაქტორიც ჩინეთი-ამერიკის დაპირისპირების. ამერიკა არის ალიანსის და მისი სახელმწიფოების მთავარი სტრატეგიული პარტნიორი, რომელიც ნატო-ს ყველაზე დიდი სახელმწიფოა ტერიტორიული, ეკონომიკური, თუ სამხედრო მახასიათებლებით.

ალიანსის სამხედრო ბიუჯეტში ამერიკას ყველაზე მეტი თანხა შეაქვს. აქედან გამომდინარე, ამერიკის დასუსტება და მისი მთავარი მოწინააღმდეგის ჩინეთის გაძლიერება ნატო-ს საფრთხეს უქმნის.

ასევე ახლო-აღმოსავლეთში რთული ვითარება რომელიც ნელ-ნელა უფრო მწვავდება. ნატო-ს უსაფრთხოებისთვის საფრთხეს წარმოადგენს , ვინაიდან უკონტროლო მიგრაციას იწვევს რომელიც დიდ პრობლემას წარმოადგენს ევროპის ქვეყნებისთვის.

ნოტო-ს თავდაცვის სტრატეგიას აქვს თავისი მნიშვნელოვანი მიმართულებები და პრიორიტეტები.

ნატო-ს წევრი სახელმწიფოების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა

ნატო-ს მთავარ მიზანს წევრი სახელმწიფოების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს: ეს იქნება პოლიტიკური თუ საომარი საშუალებების დახმარებით. კოლექტიური თავდაცვას აქვს ცენტრალური როლი ალიანსში, როგორც ეს არის აღნიშნული ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-

5 პუნქტში. მთავარ პასუხისმგებლობას ალიანსის წარმოადგენს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიის და მოსახლეობის დაცვა გარეშე მხრიდან თავდასხმისგან .

შეკავება არის ნატოს სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი, რომელიც მიმართულია კონფლიქტების თავიდან აცილებისთვისა და წევრი სახელმწიფოების დაცვაზე; მიღებული გადაწყვეტილებებისა და ქმედებების თავისუფლება; ნატო-ს პრინციპებისა და ღირებულებების მხარდაჭერა, რომელსაც იცავს ნატო: პიროვნების თავისუფლება, დემოკრატია, ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა . საზოგადოების თავისუფლება

ზემოაღნიშნული ღირებულებები ნატო-ს თავდაცვის უნარიანობით უნდა იქნას გამყარებული.

შეკავება და თავდაცვა

ალიანსის თავდაცვასა და შეკავებას უზრუნველყოფს ნატო-ს კოალიციური სამხედრო ძალები. კოალიციური სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ძალები .

უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს ბირთვული და არაბირთვული სარაკეტო თავდაცვა, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ. ღნიშნული ძალების მხარდაჭერა ხდება სამხედრო თუ არასამხედრო საშუალებებით.

მოქმედების გეგმა მზადყოფნისთვის ბირთვული თუ სხვა სახის თავდასხმიდან უელსში 2014 წელს განიხილეს. ეს იმიტომ მოხდა, რომ ალიანსი მზად იყოს ნებისმიერი საფრთხისთვის თანამედროვე პერიოდში და ამ საფრთხეზე სწრაფი რეაგირებისთვის. 2016 წელს ნატო-ს სახელმწიფოთა მეთაურები შეთანხმდნენ შეკავებისა და თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერებაზე, რაც ნატო-ს მოქმედების ფართო სპექტრს განაპირობებს ნებისმიერი საფრთხის წინააღმდეგ ტერიტორიის, მოსახლეობის, საჰაერო სივრცის თუ საზღვაო კომუნიკაციების დაცვა.

ამ შეთანხმების ფარგლებში ოთხი მრავალფუნქციური სამხედრო დაჯგუფება იქნა დისლოცირებული ლატვიაში, ლიტვაში, პოლონეთსა და ესტონეთში. თავდაცვის გაძლიერების ღონისძიებები გატარდა ნატო-ს ტერიტორიის ევროპის ნაწილებში.

ნატო-ს თავდაცვისა და უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენს სამხედრო წვრთნები, რომლებსაც ის ხშირად ატარებს იმისთვის,

რომ არასაომარ მდგომარეობაში კოალიციური სამხედრო ძალები მზად იყვნენ ნებისმიერი საფრთხისთვის; ასევე, ოპერატიული თავსებადობა იყოს უმაღლეს დონეზე ნატოს წევრი სახელმწიფოების სამხედრო ძალებს შორის.

2018 წელს ბრიუსელში ნატო-ს ხელმძღვანელებმა მიიღეს გეგმა „საფრთხეებზე რეაგირების შესახებ 360 გრადუსზე“ ირგვლივ. ამ გეგმის ფარგლებში ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს დაევალათ, ნებისმიერ დროს სრულ მზადყოფნაში იყოს სწრაფი რეაგირების სტრატეგიის ფარგლებში: 30 ქვეითი ბატალიონი, 30 სამხედრო-საჰაერო ძალების ესკადრილია, 30 სამხედრო-საზღვაო ხომალდი იმისთვის, რომ მათ 30 დღის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ დროში მოახდინონ დედამიწის ნებისმიერ წერტილში რეაგირება საფრთხეზე.

ალიანსი რუსეთის ფედერაციის მიერ სარაკეტო პოტენციალის გაზრდასა და მათ შორის ბალისტიკური რაკეტების შორ და საშუალო მანძილზე მოქმედებას, რომლებსაც ბირთული ქობინების გადატანა შეუძლიათ, უყურებს როგორც საფრთხესა და აღიქვამს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უსაფრთხოებისა და თავდაცვის წინაღმდეგ მიმართულ ქმედებად.

ამ საფრთხეებზე ალიანსის პასუხი არის საკუთარი პოტენციალის გაზრდა და სრულყოფა ახალ ტექნოლოგიებში ინვესტიციის სახით როგორიც არის: მეხუთე თაობის გამანადგურებლები. ასევე, ანტისარაკეტო სისტემების სრულყოფა და განვითარება, დაზვერვის სრულყოფა.

ნატო-ს სტრატეგიის ფარგლებში კიბერ სივრცე წარმოადგენს სფეროს, სადაც თავდაცვა ისეთი უნდ აიყოს, როგორც ხმელეთზე, წყალში ან ჰაერში. ამ მიმართულებით ბელგიაში ნატო-ს კიბერ თავდასხმების წინააღმდეგ ახალი ცენტრის გახსნა არის აღსანიშნავი და სხვადასხვა ქვედანაყოფების შექმნა კიბერ დანაშაულისა და საფრთხის წინააღმდეგ, რომლებიც დაეხმარებიან ნატოს იმ წევრ სახელმწიფოებს ვისაც ეს სჭირდება .

ნატო-ს სახელმწიფოების ლიდერების შეხვედრაზე 2019 წელს ლონდონში ალიანსმა კოსმოსი გამოაცხადა ოპერაციების მეხუთე სფეროდ. კოსმოსში არსებული სატელიტებიდან და თანამგზავრებიდან მიღებული ინფორმაცია ნატო-ს დაზვერვისთვის, ოპერაციებისთვის, მისიებისთვის, ტერორიზმთან

ბრძოლისთვის, კრიზისული რეაგირებისთვის კოლექტიური თავდაცვის სისტემისთვის არის დიდი მნიშვნელობის. 2020 წლის ოქტომბერში ნატო-მ მიიღო გადაწყვეტილება კოსმოსური ცენტრის გახსნის შესახებ გერმანიაში.

ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი ითვალისწინებს არსებულ ვითარებასა და იმას, რომ ახალი ტექნოლოგიები არის ის სფერო, რომლებიც დიდი უპირატესობის მომტანია იმ ვითარებაში, როდესაც მსოფლიოში ტექნოლოგიური განვითარება ცვლის ომის წარმოების სურათს და უკვე დღეს შეუძლებელია უსაფრთხოების და თავდაცვის უზრუნველყოფა ტექნოლოგიურად განვითარებული ტექნიკის გარეშე. ნატო-ს ამოცანა ყოველთვის იყო ტექნოლოგიური უპირატესობა, რომელიც მისი მოწინააღმდეგეების შეკავებას უზრუნველყოფდა. ინოვაციები, ხელოვნური ინტელექტის, ატომური სამხედრო სისტემები, ბიოტექნოლოგიები ცვლიან ომის წარმოების მეთოდებსა და აუცილებელია, ადაპტაცია, ტექნოლოგიური განვითარება.

ამ მიზნების შესასრულებლად ალიანსს აქვს ახალი სტრატეგია ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საკითხში.

უსაფრთხოებაში და თავდაცვაში ინვესტიციები

ინვესტიციები სამხედრო სფეროში არის ერთ-ერთი პრობლემა, რომლის გადაწყვეტაზეც ნატო მუშაობს. რადგან ნატო-ს ყველა წევრი სახელმწიფო არ ასრულებს 2014 წელს მიღებულ გადაწყვეტილებას, რომ სამხედრო საქმეში მშპ-ს 2% დახარჯონ სახელმწიფოებმა სამხედრო სფეროზე და მის განვითარებაზე. აქ აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატები რომელიც ნატოს წევრ სახელმწიფოებში ყველაზე მეტს ხარჯავს. ნატო-ს 29 წევრი სახელმწიფო ერთად რომ ავიღოთ ამერიკის მიერ თავდაცვაზე დახარჯული ბიუჯეტი მეტია, ვიდრე მათი ერთად. მნიშვნელოვანია, დათქმა ,რომ ნატო-ს წევრი სახელმწიფოების მიერ თავდაცვაზე დახარჯული თანხების 20% დაიხარჯოს ახალ ტექნოლოგიებზე. ასევე, ნატო-ს სახელმწიფოებმა უნდა იმუშავონ იმაზე,რომ მათი სამხედრო პოტენციალი ალიანსის სტანდარტებს შეესაბამებოდეს.

2014 წლიდან წარმატებული ნაბიჯები იდმება, რათა ნატო-ს მიერ სამხედრო ხარჯების გაღება იყოს მის წევრ სახელმწიფოებზე სამართლიანად განაწილებული. თუმცა ეს ნაბიჯები არასაკმარისია, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი

პრეზიდენტის დონალდ ტრამპის განცხადებები, რომ ნატოს სახელმწიფოები საკმარის თანხებს არ ხარჯავენ სამხედრო შეიარაღებისა და თავდაცვის გაუმჯობესებისთვის. 2021 წელი არის მეშვიდე წელი, როდესაც ნატო-ს სახელმწიფოების სამხედრო ბიუჯეტი იზრდება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ 2014 წლიდან ამერიკის წვლილი სამხედრო ხარჯების გაზრდაზე დახარჯული თანხიდან არის 190 მილიარდი.

ბირთვული და ანტისარაკეტო თავდაცვა და შეკავება

ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის ბირთვულ თავდაცვას უპირატესი მნიშვნელობა აქვს, იქიდან გამომდინარე, რომ ალიანსის შექმნა განაპირობა კომუნისტური საბჭოთა კავშირის მხრიდან არსებულმა საფრთხემ. 1949 წლის დასაწყისში, როდესაც მიიღეს მე-5 პუნქტი, რომელის მიხედვითაც, ალიანსის ერთ რომელიმე წევრზე თავდასხმას აღიქმება, როგორც ალიანსის ყველა სახელმწიფოზე თავდასხმა საბჭოთა კავშირის მხრიდან. ექსპანსიური გადაწვეტილების მიღების შემთხვევაში ბირთვული იარაღი გამოიყენებდნენ. იქნებოდა რომელიმე მხარის მხრიდან . დღეს საბჭოთა კავშირი აღარ არის, მაგრამ სახეზე გვაქვს ალიანსის მთავარი საფრთხე, რუსეთის ფედერაცია, რომელიც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეა და მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ ირთულ არსენალს ფლობს. მნიშვნელოვანი ფაქტია ,რომ რუსები ნატო-ს წინაღმდეგ შესაძლო კონფლიქტის შემთხვევაში უპირატესობას ფლობენ სახმელეთო ბაზირების ბირთვულ შეიარაღების მიმართულებით, ვინაიდან მათ უფრო განვითარებული აქვთ ეს სფერო. თუ რუსულ შეიარაღებას გადავხედავთ ბალისტიკური და ბირთვული მიმართულებით, სერიოზულ ძალას დავინახავთ, ვისთვისაც ანგარიშის არ გაწევა არ შეიძლება და საპასუხო ზომები რუსეთის საფრთხისგან თავის დასაცავად აუცილებლად უნდ გატარდეს.

ალიანსის ბირთვული შეკავების პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე დაფუძნებულია ორ დოკუმენტზე:

2010 წლის სტრატეგიული კონცეფცია, რომელიც ნატო-ს წევრი სახელმწიფოების ხელმძღვანელები მიერ იქნა მიღებული ლისაბონის სამიტზე 20 ნოემბერს;

2012 წლის შეკავების და თავდაცვის პოლიტიკის მიმოხილვა.

ნატო-ს თავდაცვისა პოლიტიკისა და დაგეგმარების კომიტეტი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვაშია უმაღლესი ორგანო. ის ნატო-ში პასუხისმგებელია ალიანსის სარაკეტო საფრთხისგან თავდაცვაზე. ასევე, კოორდინაციას ახდენს სარაკეტო თავდაცვისა და მისი განვითარების მიმართულებით. ნატო-ს სამხედრო ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბირთვულ დოქტრინაზე. ასევე, ოპერატიულ მოქმედებაზე, წვრთნასა და დაგეგმარებაზე ბირთული პოლიტიკის. საჰაერო და სარაკეტო თავდაცვის კომიტეტი პასუხისმგებელია ანტისარაკეტო და საჰაერო თავდაცვის პოლიტიკის ზოგად ასპექტებზე.

ნატო-ს ანტისარაკეტო თავდაცვის საფუძველი არის მისი წევრი სახელმწიფოების ნებაყოფლობითი სურვილი, რომლის ფარგლებშიც მათ შეაქვთ წვლილი ანტისარაკეტო თავდაცვის საქმეში: საკუთარ ტერიტორიაზე სამხედრო-ბაზების განთავსება, რომელიც აუცილებელია ანტისარაკეტო თავდაცვისთვის; თანხების გაღება ანტისარაკეტო ტექნოლოგიების განვითარებისთვის; საკუთარი სამხედრო-საზღვაო ხომალდების მზადყოფნა თავდაცვისთვისა და ანტისარაკეტო თავდაცვის პროგრამაში ჩართვისთვის; საკუთარი ანტისარაკეტო, სახმელეთო თუ საჰაერო საშუალებების ნატო-ს ბირთვული და ანტისარაკეტო თავდაცვის გეგმაში გამოყენება. ამის მაგალითია ესპანეთში სამხედრო ბაზაზე ანტისარაკეტო საშუალებების განთავსება. გარა ამისა, ასეთივეა პოლონეთში, რუმინეთში, თურქეთში და ნატოს სხვა ქვეყნებში.

2010 წელს ლისაბონის სამიტზე გადაწყვიტეს, რომ შექმნილიყო ნატო-ს ტერიტორიული სარაკეტო თავდაცვის სისტემა. 2012 წელს ჩიკაგოს სამიტზე გაცხადდა, რომ ანტისარაკეტო თავდაცვის მიმართულებით წარმატებას მიაღწიეს. წარმატება მდგომარეობს, რომ ანტისარაკეტო თავდაცვა მოიცავს ნატო-ს სახელმწიფოების მთელს ტერიტორიას. მას შეუძლია, შეზღუდული ბალისტიკური რაკეტების თავდასხმის მოგერიება სრულიად.

ნატო-ს ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემის მთავარი ფუნქციებია: დაგეგმარება, მონიტორინგი, ინფორმაციის გაცვლა-ჩაჭრა, მიღებული შედეგების მართვა.

როდესაც საქმე ეხება ბალისტიკური რაკეტის განეიტრალებას, იქ წუთებსა და წამებსაც აქვს დიდი მნიშვნელობა. შეიძლება გადამწყვეტიც იყოს ეს მცირე დრო, ამიტომაც დაგეგმარებას და წინდახედულ მოქმედებას, დიდი ღირებულება გააჩნია. როდესაც ბალისტიკური რაკეტის განეიტრალებაა საჭირო, წინასწარ უნდა დაიგეგმოს, ქმედებების განხორციელებას აპირებს თავდაცვა და წინასწარ განისაზღვროს სავარაუდო მიმართულებები, საიდანაც ყველაზე მაღალი რისკია ბალისტიკური რაკეტით თავდასხმის. აქედან გამომდინარე, თავდაცვის საშუალებები ისე უნდა იყოს გადანაწილებული ტერიტორიაზე, რომ შესაძლო საფრთხეების განეიტრალების ყველაზე დიდი შანსი იყოს.

მონიტორინგი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა. მონიტორინგი ნატო-ს სახელმწიფოებს აქვთ სატელიტები და თანამგზავრები, რომლებიც კოსმოსიდან ახორციელებენ დაკვირებასა და ბალისტიკური რაკეტის გაშვების მომენტის შესახებ შეუძლიათ ინფორმაციის მიწოდება ოპერატიული რეაგირების ცენტრისთვის, ხმელეთსა და სამხედრო-საზღვაო ხომალდებზე და პატრულირებენ ნატო-ს ტერიტორიებს. განთავსებულია სარადარო სისტემები, რომლებსაც ასევე შეუძიათ ბალისტიკური რაკეტის გაშვების დაფიქსირება.

ინფორმაციის გაცვლა ანტისარაკეტო სისტემის ეფექტურობისთვის აუცილებელია. ეს განაპირობებს იმას, რომ სწრაფი რეაგირება გახდეს შესაძლებელი ბალისტიკური რაკეტის გასანეიტრალებლად; სწორი ინფორმაცია რაკეტის გაშვებისა ტრაექტორიის შესახებ; მიზნამდე მიღწევის დროის ცოდნა უმნიშვნელოვანესია და გადამწყვეტი, რათა განაიტრალდეს.

ინფორმაციის გაცვლის მეშვეობით რეალურ დროში ხდება ბალისტიკური რაკეტის შესახებ ხელმისაწვდომი სრული ინფორმაციის გადაცემა შეიარაღებულ ანტისარაკეტო სისტემებზე, რომლებიც შემდგომ ოპერატიულ რეაგირებას მოახდენენ ხოლმე.

მიღებული შედეგების მართვა, თუ რეალური საფრთხე დადგა და ბალისტიკური საკონტინენტთაშორისო ბირთვული იარაღი გამოიყენეს, დიდი რაოდენობით, სამწუხაროდ, როგორი განვითარებული და თანამედროვეც არ უნდა იყოს შეიარაღება და სარაკეტო თავდაცვა, შეუძლებელია ყველა რაკეტის გაუნეიტრალებელყოფა, მით უმეტეს ბირთვულ, ბალისტიკურ რაკეტებზე.

2021 წლის მაისში ისრაელი-პალესტინის დაპირისპირებაც კმარა იმისთვის, რომ დავრწმუნდეთ ზემოთქმულის სისწორეში. ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე ანტისარაკეტო თავდაცვითი სისტემა, რომელიც ისრაელს გააჩნია არ იქნა საკმარისი იმისთვის, რომ პალესტინიდან მომავალი ტერორისტული დაჯგუფების ჰამასის მიერ გაშვებული რაკეტების სრულიად განეიტრალება მომხდარიყო.

რამდენიმე დღის განმავლობაში ხორციელდებოდა ჰამასის მხრიდან ისრაელის ტერიტორიის დაბომბვა და მიუხედავად იმისა, რომ რაკეტების დიდი ნაწილის განადგურება მოხერხდა, ზოგიერთმა მაინც მიაღწია მიზანს .

ეს არის მარტივი მაგალითი, რომ, თუ რაოდენობაზე საქმე, მაშინ ჰამასის ტექნოლოგიური განვითარების დაბალ დონეზე მყოფი უმართავი რაკეტებიც საფრთხეა.

თუკი დავუშვებთ იმას, რომ პოტენციურად ნატო-სა და რუსეთს შორის მოხდეს კონფლიქტი, იქ საუბარი იქნება ათასობით საშუალო და შორს მანძილზე მოქმედ რაკეტაზე, მათ შორის ბირთული ქობინების მქონეზე, რომლებსაც შეუძლიათ, ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირონ და შეუძლებელია გარჩევა ბალისტიკური რაკეტის გაშვების შემდეგ ის ბირთვული ქობინის მქონეა თუ არა, ამიტომაც პრიორიტეტის მინიჭება, რომელი რაკეტა განადგურდეს შეუძლებელია. ამიტომაც არის, რომ მთელი ცივილიზებული სამყარო: ევროპა, ამერიკა _ ცდილობს, შეზღუდოს მსოფლიოში შორსა და საშუალო მანძილზე მოქმედი ბალისტიკური რაკეტების წარმოება.

ქვემოთ სანამ ვისაუბრებ იმაზე თუ რა მექანიზმია და რა საშუალებები აქვს ნატოს ბალისტიკური რაკეტების მოსაგერიებლად, საჭიროდ მივიჩნევ, რუსეთის შემადგენლობაში არსებული სახმელეთო და საჰაერო ბაზირების ბალისტიკურ რაკეტებსა და მათ გადატანებზე ვისაუბრო მოკლედ.

რუსეთის ფედერაციას სახმელეთო ბაზირების შეიარაღება აქვს განვითარებული მაღალ დონეზე. რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს სახელმწიფოს, რომელიც ფლობს ბირთვული ტრიადის სამივე კომპონენტს: საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო-სამხედრო შეიარაღებ .

რუსეთის ფედერაციის არსენალშია: საბჭოთა კავშირის დროს წარმოებული მძიმე ბალისტიკური საკონტინენტთაშორისო ბირთვულ ქობინიანი რაკეტა „ვოევოდა“ (Р-36М2) 46; ერთეული ტექნიკური მახასიათებლები: სიგრძე 34,4 მეტრი, დიამეტრი 3 მეტრი, მასა 211 ტონა , მოქმედების მანძილი 11 ათასი კილომეტრი;

„ ярс “ სახმელეთო ბაზირების მობილური და შახტ ური ბალისტიკური რაკეტა „Тополь-М „ ის მოდიფიკაცია; (ტექნიკური მახასიათებლები უცნობია)

„сармат“ მეხუთე თაობის საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა ტექნიკური მახასიათებლები: სასტარტო მასა 169 ტონა;

ту-160 ზებგერითი მძიმე სტრატეგიული ბომბდამშენი, რომელსაც ბირთული დარტყმის განხორციელება შეუძლია ჰაერიდან. საბჭოთა კავშირში შეიქმნა და ექსპლუატაციაში შევიდა 1987 წელს. დღეს, სულ მცირე, 16 ერთეულს ფლობს რუსეთი;

რუსული ფლოტის ფლაგმანური წყალქვეშა ნავი „ясень“ პროექტი 885 (08850) К-560 2014 წელს შევიდა ექსპლუატაციაში რუსეთის ჩრდილოეთის ფლოტის შემადგენლობაში. მას 8 ვერტიკალური გამშვები შახტა აქვს ბალისტიკური რაკეტებისთვის.

თუ რუსეთის ბირთულ ტრიადას გავითვალისწინებთ განსაკუთრებით სახმელეთო ბაზირების ბალისტიკურ რაკეტებს სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის თუ სამხედრო ალიანსისთვის მსგავსი სამხედრო შეიარაღება, ამიტომაც სავსებით გასაგებია ალიანსის მიერ რუსეთის მთავრ საფრთხედ აღქმა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ ,რომ რუსეთი არადემოკრატიული სახელმწიფოა, რომელისთვისაც საერთაშორისო სამართალი არ წარმოადგენს ძლიერ შემაკავებელ ბარიერს თავისი მიზნების განხორციელებისთვის. 2014 წელს უკრაინის ტერიტორიის ოკუპაციის შემდეგ საერთაშორისო სანქციებს დაუწესეს რუსეთს, თუმცა არც სანქციებია დიდი წინააღმდეგობა რუსეთის ექსპანსიური მისწრაფებებისთვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნატო-ს ანტისარაკეტო და ბირთვული შეკავებას კრიტიკულად მნიშვნელოვანი როლი უკავია უსაფრთხოებისა და მშვიდობის უზრუნველყოფაში, ვინაიდან პირველი დარტყმის მოგერიება გამარჯვების საწინდარია ბირთვული სახელმწიფოების დაპირისპირების დროს.

ნატო-ს ანტისარაკეტო და ბირთვული დაცვის მექანიზმი შედგება ალიანსის შეიარაღებაში არსებული სამხედრო ანტისარაკეტო თავდაცვითი საშუალებების ერთიანობისა და კომბინირებული მუშაობისგან. მისი მუშაობის პრინციპი გამომდინარეობს სხვადასხვა სახის შეიარაღების კომბინირებული ურთიერთქმედებისგან. ესენია: სახმელეთო ბაზირების ანტისარაკეტო შახტები, სახმელეთო ბაზირების ანტისარაკეტო თვითმავალი სამხედრო შეიარაღება სამხედრო-საზღვაო ხომალდებისგან, რომლებიც პატრულირებენ და რომლებზედაც ანტისარაკეტო გამშვები შახტებია და რადარები, სამხედრო-საჰაერო თვითმფრინავებისგან, რაზედაც რადარები დამონტაჟებული. ამავე დროსაა, რადიოლოკაციური ბრძოლის საშუალებები, დაზვერვის, უპილოტო და სამხედრო-საჰაერო საშუალებები, რომლებიც დაზვერვას ახორციელებენ და ინფორმაციის შეგროვებას; წყალქვეშა ნავები და მართვის ცენტრები, სადაც ყველა ზემოთ ხსენებული საშუალებისგან ინფორმაცია იკრიბება მუშავდება, ანალიზი ხდება და შემდგომი რეაგირება. ყველა ეს საშუალება აუცილებელია და გადამწყვეტ როლს თამაშობს ანტისარაკეტო დაცვის სისტემაში.[27] ნატო-ს ანტისარაკეტო და ბირთვული თავდაცვის სქემა - მოცემულია დანართი #9-ში.

დანართ #10 -ზე არის ასახული ნატო-ს ანტისარაკეტო სისტემების კომბინირებული ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფს თავდაცვას სარაკეტო თავდასხმისგან და მასზე სწრაფი რეაგირებას ახდენს. მისი ეფექტურობა და ინოვაციურობა ისაა, რომ დაზვერვისა და ინფორმაციის მიღების მრავალი წყარო გააჩნია.[28] როგორიც არის: კოსმოსური სატელიტების, საზღვაო რადარების მქონე გემების, წყალქვეშა ნავებისა, სახმელეთო და (ხმელეთზე არსებული რადარის და დაზვერვის სისტემები) საჰაერო სისტემების.[29]

---

[27] ბალისტიკური რაკეტებისგან თავდაცვის არქიტექტურა,ნატო-ს ვებგვერდი, გვ.1 https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_2016_07/20160711_160709-bmd-def-architecture.pdf (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 19.05.2021)

[28] ბირთული შეიარაღება ნატო- ს ვებგვერდი, გვ.1. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_50068.htm#:~:text=Nuclear%20weapons%20are%20a%20core,will%20remain%20a%20nuclear%20alliance. (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა19.05.2021)

[29] Ballistic missile defence – NATO,ნატო-ს ვებგვერდი გვ.1 https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_49635.htm (უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 19.05.2021)

2.2 ალიანსის ბირთვული შეკავების პოლიტიკაში აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მნიშვნელობა

ამერიკის შეერთებული შტატები ალიანსის ყველაზე დიდი და ძლიერი სახელმწიფოა, ხოლო ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტი ალიანსის კოალიციურ სამხედრო-საზღვაო ძალებსა და მსოფლიოში კი უძლიერესი.

ამერიკას ყველაზე დიდი წვლილი აქვს ალიანსის კოალიციურ სამხედრო-საზღვაო ძალებში. ის, სხვებისგან განსხვავებით, უფრო დიდ თანხას ხარჯავს სამხედრო შეიარაღებასა და გაერთიანების შემადგენლობაში. ამერიკაა ყველაზე მეტი საბრძოლო სამხედრო გემის მფლობელი სახელმწიფო. ნატო-ს პოზიცია ბირთვული შეკავების საკითხში ეყრდნობა ამერიკის შეერთებული შტატების ბირთულ არსენალს, რომელიც ევროპის ქვეყნებშია განთავსებული. ამავე დროს, ალიანსის სხვა წევრი სახელმწიფოებისა და აშშ-ის სამხედრო-საზღვაო შესაძლებლობებსა და ინფრასტრუქტურას.

ალიანსის კოალიციურ სამხედრო-საზღვაო ძალების უდიდესი ნაწილი და ამ ძალების სიძლიერის მთავარი მიზეზი _ ამერიკის შეერთებული შტატების ფლოტი. ბირთული შეკავების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ძალის დემონსტრირებას, რათა მოწინააღმდეგემ დაინახოს, რა შესაძლებლობებს ფლობს ის, ვისზეც შეიძლება თავდასხმა განახორციელოს. ძალის დემონსტრირების მთავარ ამოცანას წარმოადგენს იმისი ჩვენება მოწინააღმდეგისთვის, რომ თავდასხმის შემთხვევაში ის კრიტიკულ დანაკარგებს მიიღებს და მას არ უღირს ომში ჩაბმა ან რაიმე დარტყმის განხორციელება, ვინაიდან ეს გამოიწვევს მისთვის კატასტროფულ შედეგებს. რა წარმოადგენს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კოალიციური სამხედრო-საზღვაო ძალების დემონსტრაციის საშუალებას?! რა თქმა უნდა, მისი ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტი. ამერიკის ფლოტის ყველაზე ძლიერ ძალის დემონსტრირების საშუალებას კი _ წყალზე წარმოადგენს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ავიამზიდების დამრტყმელი ჯგუფი.

ავიამზიდის დამრტყმელი ჯგუფი _ სამხედრო-საზღვაო გემების ოპერატიული გაერთიანება, რომლის სათავეში დგას ბირთულ ძრავიანი ავიამზიდი. ავიამზიდი მარტო არასდროს მოქმედებს, არამედ ყოველთვის დამრტყმელ ჯგუფთან ერთად.

მაგალითად:

ფლაგმანური ატომური ავიამზიდი ნიმიცის ან ჯერალდ ფორდის ტიპის, რომელზეც სამოცდაათზე მეტი საჰაერო ხომალდის განთავსება შეიძლება;

ჯერალდ ფორდის ტიპის ავიამზიდი აღჭურვილია RIM-162 ESSM - Raytheon -ის ფირმის ორი კონტეინერით, თითოს 32 რაკეტის გაშვება შეუძლია;

ასევე, აღჭურვილია ახლო რადიუსის თავდაცვითი სარაკეტო ზენიტური სისტემით; **RAM** (*Rolling Airframe Missile)*

Phalanx CIWS- საზენიტო საარტილერიო კომპლექსი; (წუთში 3000 გასროლის განხორციელება შეუძლია)

ასევე, რაკეტებით მიწა-ჰაერი, წყალქვეშა ნავსწინააღმდეგო ჭურვი (სიღრმის ბომბი) ტორპედოებითაა აღჭურვილი;

2.ორი სარაკეტო კრეისერი ტიპი,(***Ticonderoga- class of guided-missile cruisers)*** რომლებიც აღჭურვილია მართვადი და ტომაჰავკის ტიპის რაკეტებით;(**Tomahawk).**

3.წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგოდ მიმართული გემის ტიპის(***the Arleigh Burke class destroyers***) ხომალდები, ორი ან სამი (რაოდენობა დამრტყმელი ჯგუფის მიზნის მიხედვით იცვლება და მიესადაგება) ამ ტიპის ნაღმოსნები წყალქვეშა ნავების წინაღმდეგ აღჭურვილია ტორპედოებით და დაბალ სიღრმეზე მოქმედი ბომბებით;

4.ლოს ანჯელესის(***Los Angeles class)*** ტიპის ორი წყალქვეშა ნავი **Tomahawk**-ის ტიპის რაკეტებით და ტორპედოებით, მათი მიზანია, წყლის ზედა სამიზნეებისა და წყალქვეშა ნავების განადგურება.

ავიამზიდის დაცვასა და დამრტყმელ პოტენციალს, ასევე, უზრუნველყოფს შემდეგი საჰაერო თავდაცვითი და თავდასხმით ავიაცია:

1.F/A-18 (HORNET-ქართულად კრაზანა)მოიერიშე მრავალფუქნციური თვითმფრინავი(აბრევიატურა A-ნიშნავს Attack მოიერიშე ხოლო F –fighter გამანადგურებელი), რაოდენობა 48 -ერთეული .

2.F-35 Lightning II მრავალფუქნციური გამანადგურებელი მეხუთე თაობის, რომელიც დღეს, ასევე, ამერიკული F-22 RAPTOR თან ერთად, საუკეთესოა თავის კლასში .

3.რადიო ელექტრონული წინააღმდეგობისთვის განკუთვნილი თვითმფრინავი PROWLER;

4.რადიოლოკაციური დაზვერვისთვის განკუთვნილი თვითმფრინავი E-2 Hawkeye;

5.სატრანსპორტო C-2;

ასევე, ამერიკული ავიამზიდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დაცვითი კომპონენტია მრავალფუქნციური საბრძოლო-საინფორმაციო მართვითი სისტემა "იჯის".(Aegis combat System) ესაა სამიზნის აღმოჩენის, დამიზნების და ცეცხლის მართვის ინტეგრირებულ სისტემას, რომლის მთავარი ამოცანაა საზღვაო ხომალდის საცეცხლე სისტემების გაერთიანება, ინფორმაციის ანალიზი, დამუშავება და მართვა. სისტემას, ამავე დროს, შეუძლია, დამრტყმელი ჯგუფის შემადგენლობაში მყოფი სხვა საშუალებებისგან (გემები, თვითმფრინავები, გამანადგურებლები) მიიღოს ინფორმაცია და მათი გამშვები დანადგარების დამიზნება განახორციელოს. სისტემას შეუძლია 320 კილომეტრის რადიუსში საჰაერო-კოსმოსური სამიზნეების აღმოჩენა და მათზე რეაგირება.

ანტისარაკეტო დაცვის ეს სისტემა, ასევე, წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს ევროპის ანტისარაკეტო თავდაცვითი სისტემის ფარგლებში, ვინაიდან ამ სისტემის განთავსება ხდება ისეთი ტიპის სამხედრო-საზღვაო გემებზე, როგორიც არის : სარაკეტო კრეისერი (***Ticonderoga- class of guided-missile cruisers)*** *და* საესკადრო ნაღმოსანი ტიპი,(***the Arleigh Burke class destroyers***) რომლებიც ნატო-ს კოალიციური ძალების ტერიტორიულ წყლებში პატრულირებენ, სწავლებსა და და მისიებში იღებენ მონაწილეობას ალიანსის ეგიდით.[30]

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალებს ალიანსის ბირთვული შეკავების პოლიტიკაში მისი დამრტყმელი პოტენციალის გამო დიდი წვლილი აქვს, რაზეც მეტყველებს ამერიკის ფლოტის სიძლიერე და შემადგენლობა. როდესაც საუბარია ბირთვული თავდაცვაზე, ესაა ანტისარაკეტო

[30] გიგა გოგუა,ფლოტი როგორც მშვიდობის საშუალება,22 მაისი 2020, გვ.1 https://conservative.ge/ფლოტი-როგორც-მშვიდობის-ს/?fbclid=IwAR0qyYEq1Ki48hmKRSvafAsmqZ4y84R_xMV6mZ5E30cm8Zf1F0dVZOj6WH (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 24.05.2021)

სისტემების კომბინირებული გაერთიანება, რომელშიც უდიდეს როლს ასრულებს სისტემა "იჯის,,(Aegis combat System) ის ამერიკულ კრეისერებსა და ნაღმოსნებზეა განთავსებული და ნატო-ს ანტისარაკეტო დაცვის სისტემის შემადგენელი ნაწილია.

შეერთებული შტატები სამხედრო-საზღვაო ძალების მონაწილეობით, ნატო-ს ანტისარაკეტო სისტემის გაძლიერების პროგრამას ახორციელებს და ამის მაგალითია ოთხი ამერიკული ესმინეცის შესვლაა ესპანეთის პორტში. პირველი მათგანი იყო USS Donald Cook 2014 წელს. ამ ტიპის სამხედრო-საზღვაო გემს შეუძლია, „იჯის"(Aegis combat System) გამოყენებით ბალისტიკური რაკეტის აღმოჩენა და მისი განადგურება ჰაერში SM-3 რაკეტების მეშვეობით. ეს რაკეტები ერთ-ერთი მთავარი ელემენტი ევროპის ანტისარაკეტო დაცვის. მსგავსს ხომალდებს შეუძლიათ, ერთდროულად 200 მიზნის კონტროლი 200 საზღვაო მილის მანძილზე. ეს უზრუნველყოფს შორ მანძილზე ბალისტიკური რაკეტების აღმოჩენასა და მეთვალყურეობას, ასევე, ადრეულ გაფრთხილებას სხვა დამცავი სისტემებისთვის, რაც საფრთხეზე რეაგირების დროს ამცირებს.

ამერიკული საზღვაო გემის Donald Cook - ის ესპანეთის პორტში შემოსვლა და ასევე, სახვა მსგავსი ტიპის კიდევ სამი ამერიკული სამხედრო-საზღვაო გემის შემოსვლა არის საკმაოდ დიდი პოტენციალი ევროპის მოქალაქეების დაცვისთვის. ევროპისანტი სარაკეტო დაცვის პროგრამის ფარგლებში ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალებმა ალიანსის წევრის, ესპანეთის, სამხედრო-საზღვაო გემები აღჭურვა „იჯისით".(Aegis combat System) ეს ზრდის ევროპის ქვეყნების ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტთან ურთიერთქმედების ხარისხს და დადებითად მოქმედებს ანტისარაკეტო დაცვაზე.[31]

[31] Europe's missile shield grows – thanks to the US Navy,ნატოს ვებგვერდი, გვ.1 https://www.nato.int/cps/en/natohq/news_107082.htm?selectedLocale=en (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 24.05.2021)

თავი III. ნატო-ს კოალიციური სამხედრო-საზღვაო ძალების როლი შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში

3.1 რუსეთის საზღვაო ძალები შავ ზღვაში და არსებული კონფლიქტები

შავი ზღვა რუსეთისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სფეროა და მისი ისტორიის განმავლობაშიც ასე იყო. მას დღეს შავ ზღვაში აქვს სტრატეგიულ-ტაქტიკური გაერთიანება საკუთარი სამხედრო-საზღვაო ძალების, რომელიც არის საბჭოთა კავშირისა და რუსეთის იმპერიის შავი ზღვის ფლოტების მემკვიდრე; რუსეთის საზღვაო ძალები შავ ზღვაში მისი სტრატეგიული და ტაქტიკური მიზნების განხორციელების საშუალებაა. შავი ზღვის ფლოტი კასპიის ფლოტილიას თან ერთად შეადგენს სამხრეთი სამხედრო ოლქის ნაწილს .

სხვადასხვა დასახული მიზნისა და ამოცანის შესასრულებლად რუსეთის შავი ზღვის ფლოტის შემადგენლობაშია: დიზელის ძრავიანი წყალქვეშა ნავები , სხვადასხვა დანიშნულების სამხედრო-საზღვაო გემები, ნაღმების საწინააღმდეგო და დამრტყმელი ავიაცია, საზღვაო ქვეითები.

რუსეთის შავი ზღვის ფლოტის მთავარი შტაბი მდებარეობს სევასტოპოლში.

მოკლე ისტორია

რუსეთის შავი ზღვის ფლოტი დააარსდა 1783 წელს ეკატერინე II- ის ბრძანებით. მისი შემადგენლობაში შევიდა აზოვისა და დნეპრის ფლოტილიების გემები, რომლებსაც რუსეთ-თურქეთის ომის დროს იყენებდნენ 1768-1774 წლებში.

1783 წლის 13 მაისს აზოვის ფლოტილიის 11 გემი ყირიმის ნახევარკუნძულს მიადგა სადაც სევასტოპოლი დააარსდა შავი ზღვის ფლოტის მთავარი ბაზა .1804 წლიდან კი მთავარი სამხედრო პორტი გახდა სევასტოპოლი. 1784 წელს აქ მოვიდა დნეპრის ფლოტილიის 17 გემი.

1785 წელს შეიქმნა შავი ზღვის ფლოტის ოფიციალური შემადგენლობა, რომელშიც სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების 54 გემი შედიოდა, მათ შორის 20 ფრეგატი, 24 სატრანსპორტო გემი და 13500 მოსამსახურე. ასევე, შეიქმნა შავი ზღვის ფლოტის მართვით ორგანო.

1787 წელს თურქებმა რუსებს ულტიმატუმი წაუყენეს, რომ მათ დაეტოვებინათ ყირიმის ნახევარ კუნძული რაზეც უარი მიიღეს და დაიწყო

რუსეთ-თურქეთის ომი. ამ ომში შავი ზღვის ფლოტმა დიდი როლი ითამაშა და თურქული ფლოტი დაამარცხა, იმისდა მიუხედავად, რომ რაოდენობრივად ბევრად მცირე იყო.

1833 წლიდან რუსეთის შავი ზღვის ფლოტისა და სამხედრო პორტების (ნიკოლაევისა და სევასტოპოლის) ხელმძღვანელი ხდება კონტრ-ადმირალი მიხაელ პეტრეს ძე ლაზარევი. ამავე წელს ის ვიცე ადმირალი გახდა.

ყირიმის ომში წაგებამ და საფრანგეთის 1856 წლის სამშვიდობო ხელშეკრულებამ, რომელმაც ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა რუსეთის იმპერია, მას დააკარგვინა შესაძლებლობა სამხედრო გემები და ბაზები ჰქონოდა შავ ზღვაში.

პირველი მსოფლიო ომისთვის რუსეთს საკმაოდ ძლიერი შავი ზღვის ფლოტი გააჩნდა და სრულიად აკონტროლებდა ამ რეგიონს. 1917 წლისთვის რუსეთის შავი ზღვის ფლოტში 177 სამხედრო საზღვაო გემი ირიცხებოდა, მათ შორის 2 ლინ კორის ტიპის. თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციამ დიდი დარტყმა მიაყენა რუსეთის შავი ზღვის ფლოტს.

1921 წლიდან იწყება საბჭოთა კავშირის შავი ზღვის ფლოტის შექმნა. 1929-1937 წლების შუალედში 500-მდე სამხედრო-საზღვაო გემის მშენებლობა და ექსპლუატაციაში მიღება მოხდა. ასობით სამხედრო საჰაერო თვითმფრინავების ,შეიქმნა სამხედრო-საჰაერო ძალები აკვატორიის დაცვითი ღონისძიებები ჩატარდა ამიტომაც მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელების თავდასხმა სრულიად ვერ გაანადგურა შავი ზღვის ფლოტი. გერმანელებთან ბრძოლის დროს 700-ზე მეტი მოწინააღმდეგის ხომალდი იქნა ჩაძირული.

შავი ზღვის ფლოტისთვის სერიოზული დარტყმა გახდა საბჭოთა კავშირის დაშლა მისი თანმდევი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალმა სახელმწიფოებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს, რომლის გამოც მათ ტერიტორიებზე დისლოცირებული საბჭოთა კავშირის შავი ზღვის ფლოტის ნაწილები გაიყო. ყველაზე დიდი ნაწილი რუსეთის შემდეგ შავი ზღვის ფლოტს, უკრაინას შეხვდა, მის შემადგენლობაში გადავიდა:30 სამხედრო-საზღვაო გემი, ერთი წყალქვეშა ნავი, 6 სპეციალური დანიშნულების გემი, 90 სამხედრო-საჰაერო თვითმფრინავი. რუსეთს დარჩა 338 სამხედრო-საზღვაო გემი და 106 თვითმფრინავი

რუსეთსა და უკრაინას შორის დადებული შეთანხმების თანამხმად, რუსეთს არენდით გადაეცა სევასტოპოლი.

2014 წელს კი რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ ომი წამოიწყო და ყირიმის ანექსია მოახდინა. საომარი მოქმედებები დღემდე მიმდინარეობს დონეცკსა და ლუგანსკში. ყირიმი რუსების მიერ არის ანექსირებული .

შავი ზღვის ფლოტის საბრძოლო შემადგენლობ :

სარაკეტო კრეისერი- 1;

საპატრულო გემები- 5; (მეექვსე რეზერვში)

სადესანტო გემები -7;

დიზელის ძრავიანი წყალქვეშა ნავები- 6;

სარაკეტო კატერები -10;

ნაღმსაწინააღმდეგო გემები -15;

სადაზვერვო გემი-3.

არსებული კონფლიქტები

შავი ზღვის რეგიონი რუსეთისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის არის და ის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით შეეცდება ამ რეგიონში თავისი პოზიციების გამყარებას, რისი მაგალითებიც საქართველოს ტერიტორიებისა და უკრაინის ტერიტორის ყირიმის ანექსია. რუსეთი არის სახელმწიფო, რომელსაც სურს, მსოფლიოში მოწინავე ადგილის დაკავება და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის როგორც მისი მოწინააღმდეგის გაფართოების აღკვეთა შავი ზღვის რეგიონის მიმართულებით. ასევე ევროპის უდიდესი სახელმწიფოს, რუსეთის შემდეგ ტერიტორიის გათვალისწინებით, უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების აღკვეთა. უკრაინის ალიანსში გაწევრიანება და ევროპული ღირებულებების ძლიერ სახელმწიფოდ გადაქცევა, რუსეთს არ სურს მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სუვერენული უკრაინის ტერიტორიის დაიპყრო. გარდა უკრაინისა, რუსეთს სხვა შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოების დასუსტებება სჭირდება, რომ მათი ნატო-სკენ ინტეგრაციის შანსები ნულის ტოლი გახდეს.

რუსეთისთვის, როგორც აგრესიული მილიტარიზებული სახელმწიფოსთვის, რომლისთვისაც ომი საკუთარი მიზნების მისაღწევად არის

ჩვეულებრივი ინსტრუმენტი და საერთაშორისო სამართალი, არ წარმოადგენს დამაბრკოლებელ ან ღირებულ გარემოებას. მნიშვნელოვანია, შავი ზღვა, როგორც ერთადერთი თბილი ზღვა, რომლის პორტებიც წელიწადის ნებისმიერ დროს არის ხელმისაწვდომი და არ იყინება. ასევე, შავ ზღვას რუსეთისთვის მნიშვნელოვანი სატრანზიტო ფუნქციაც გააჩნია.

რუსეთ-უკრაინის 2014 წლის ომი

რუსეთის მიერ შავი ზღვის რეგიონში არსებული სახელმწიფოების დასუსტება და შავი ზღვის რეგიონის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიწების ხელში ჩაგდება, სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის ანექსიით გადაწყვიტა. რუსეთის ფედერაციისთვის სევასტოპოლი უმნიშვნელოვანესია. გარდა ამისა, შავი ზღვა არის თბილი ზღვა, რომლის პორტებიც არ იყინება და ხელმისაწვდომია წელიწადის ნებისმიერ დროს. ეს გარემოება რუსეთისთვის ყირიმს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიად უსახავდა.

ყირიმის ანექსიას წინაპირობები ჰქონდა, რადგან ამ ტერიტორიაზე რუსულენოვანი მოსახლეობაა ჭარბობს. რუსეთმა დაიწყო პროვოკაციების მოწყობა თავისი აგენტურის დახმარებით ყირიმის ქალაქებში ახდენდნენ ანტიუკრაინულ დემონსტრაციებს, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების ბლოკადასა, სადაც შეიყვანას ჯარისკაცები სანომრე და საიდენტიფიკაციო ნიშნების გარეშე .

რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ყირიმის ბაზიდან საიდენტიფიკაციო ნიშნების გარეშე სამხედრო ფორმირებებმა გამოიყენეს: უკრაინაში არსებული მძიმე მდგომარეობა, ხელისუფლების შეცვლის პროცესი და ევრომაიდანის მოვლენები _ ამ ყველაფრის მეშვეობით მათ დაიკავეს ყირიმის ნახევარკუნძული. ასევე, შეიქმნა შეიარღებული ბანდფორმირება რომელიც საკუთარ თავს ყირიმის დაცვას უწოდებდა.

ყირიმის ანექსიით რუსეთმა არაერთი ხელშეკრულება დაარღვია. მაგალითად, ბუდაპეშტის 1994 წლის მემორანდუმი, რომლითაც ის უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას ცნობდა, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და დიდი ბრიტანეთთან ერთად, რომლებიც ასევე ხელმომწერები იყვნენ ამ მემორანდუმის.

ბუდაპეშტის მემორანდუმით, ატომური იარაღის დათმობით, უკრაინას უსაფრთხოება და თავისი სუვერენული ტერიტორიის ხელშეუხებლობა უნდა მიეღო. 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, უკრაინამ მემკვიდრეობით მისგან 176 საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა მიიღო, რითაც ბუდაპეშტის შეთახმებით დათმო.

2014 წელს, 16 მარტს, ჩატარდა უკანონო რეფერენდუმი ყირიმსა და ქალაქ სევასტოპოლში ნახევარკუნძულის სტატუსის შესახებ. რუსეთმა ყირიმი თავის ტერიტორიის ნაწილად გამოაცხადა. არც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, არც ევროკავშირმა და, რა თქმა უნდა, არც უკრაინამ, არ ცნო ეს მოქმედება.

რეფერენდუმი სრულიად უკანონო იყო, რადგან რუსეთმა გააყალბა. 2014 წლის 6 მარტს სატელევიზიო არხის ART –ს ვებგვერდზე ჩატარდა „ონლაინ“ რეფერენდუმი, რომლის დროსაც შესაძლებელი იყო საკუთარი აზრის გამოხატვა, ყირიმის რუსეთთან შეერთებასთან დაკავშირებით. გამოკითხვამ აჩვენა, რომ უმრავლესობა წინაღმდეგი იყო ყირიმის რუსეთთან შეერთების. 7 მარტს ყირიმში მყოფმა რუსულმა სამხედროებმა გათიშეს ტელეარხი ART-ი ინტერნეტიდან.

ყირიმს რეფერენდუმის ჩატარების მომენტისთვის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი ჰქონდა.

უკრაინული კანონმდებლობის მიხედვით, „რეფერენდუმი ტერიტორიული სტატუსის შეცვლის შესახებ“ შეიძლება იყოს მხოლოდ ერთიანი უკრაინული. რეფერენდუმის ჩასატარებლად არსებობს პროცედურა, რომლის მიხედვითაც საკითხი უკრაინის მასშტაბით უნდა იყოს საერთო სახალხო განხილვის საგანი, რომ თითოეულმა ადამიანმა გაიგოს რას აძლევს ხმას.

განხილვა უნდა გაგრძელდეს არანაკლებ ერთი თვეს და უნდა გაიმართოს დებატები თემასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, სახალხო გამოკითხვა პროცედურულად და არც უკრაინაში არც ყირიმში არ ჩატარებულა. რეფერენდუმის ჩატარებისთვის საჭიროა გარკვეული რაოდენობის ხმები, არაფერი მსგავსი, არც უკრაინაში არც ყირიმში ყოფილა. ჩნდება ლეგიტიმური და ლოგიკური კითხვა, რომელი ქვეყნის კანონებით ჩატარდა რეფერენდუმი?

რუსეთში რეფერენდუმი ხელისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხთან დაკავშირებით აკრძალულია კანონით.

ამ ყველაფერსაც თუ გავითვალისწინებთ, რეფერენდუმი და ხმის მიცემა რომელიც იარაღის მუქარის ქვეშ ჩატარდა, არ შეიძლება ლეგიტიმური იყოს.

2008 წლის აგვისტოს ომი

შავი ზღვის რეგიონის კიდევ ერთი სახელმწიფო, ვის დასუსტებასაც რუსეთი ცდილობს, საქართველოა. ჯერ კიდევ საბჭოთა დროიდან საქართველოს წინააღმდეგ გატარდა რიგი დივერსიული ოპერაციები, რომლებიც სეპარატიზმის გაღრმავებასა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შემდგომში დარღვევას ემსაურებოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი და სრული განუკითხაობა. ეკონომიკური თვალსაზრისით, ქვეყანა ურთულეს მდგომარეობაში იყო. საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, მკვლელობის შემდეგ (რაც დღემდე არ არის სრულიად გამოძიებული), ქვეყანას სათავეში ედუარდ შევარდნაძე ჩაუდგა.

შევარნაძის პერიოდი საქართველოს ისტორიაში არის ბნელი ერა,პ ირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით: უშუქობა, ტოტალური კორუფცია, განუკითხაობა, სიღარიბის მაღალი დონე... დემოკრატიაზე და ადამიანის უფლებებზე საუბარი ზედმეტია... შევარდნაძის ეპოქა 2003 წელს დასრულდა და სახელმწიფოს სათავეში მიხეილ სააკაშვილი ჩაუდგა.

რუსეთის ფედერაციას დიდი ხანია გეგმებში ჰქონდა და აქვს საქართველოში დესტაბილიზაცია, ვინაიდან ქვეყანა ევროპულ გზას დაადგა და პრიორიტეტად ჩრდილოატლანტიკურალიანსში გაწევრიანება გაიხადა. ეს რუსეთის სტრატეგიულ გეგმას, შავი ზღვის რეგიონში პოზიციები ჰქონდეს მყარი, მაქსიმალურად ეწინააღმდეგება. ასევე, მისი მეზობელი სახელმწიფოს ალიანსში გაწევრიანება რუსეთისთვის დიდი პრობლემაა, რადგან ეს გაერთიანებაა არის სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია და მას საკუთარი სტანდარტები აქვს.

ნატო-საქართველოს ურთიერთობას საფუძველი ჩაეყარა 1992 წელს, როდესაც საქართველო შეუერთდა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს.(NACC), 1997 წლიდან ეწოდა ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო.(EAPC) თანამშრომლობა გაფართოვდა 1994 წელს ნატო-ს "პარტნიორობა მშვიდობისათვის" (PfP) პროგრამასთან შეერთებით, რომლის მიზანსაც

წარმოადგენდა ნატო-სა და ინდივიდუალურ პარტნიორ ქვეყანას შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება .

2004 წელს საქართველო გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც შეიმუშავა ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა IPAP.

2006 წელს ნატო-მ საქართველოს ინტენსიური დიალოგის (ID) დაწყება შეთავაზება, რომლის მეშვეობით ალიანსში გაწევრიანების კრიტერიუმებს გაცნობდა ქვეყანა.[32]

ჩრდილოატლანტიკური ალიანსისკენ სქართველოს მსგავსი ინტენსიური სწრაფვა რუსეთისთვის სულაც არ იყო კარგის ნიშანი. ნატო-ს წევრი საქართველოს დასუსტება და მის წინააღმდეგ ღონისძიების განხორციელება ბევრად რთული რამ არის, ვიდრე მის გარეშე. ნატო მხოლოდ დაცვის გარანტიებს არ იძლევა, ნატო არის დემოკრატიული სახელმწიფოების კლუბი და ნატო-საქართველოს ურთიერთობის ფარგლებში, რაც ზემოთ არის აღნიშნული, მრავალი დადებით ნაბიჯი გადაიდგა სახელმწიფოს დემოკრატიული და სამხედრო ძლიერების მიმართულებით. ნატოში გაწევრიანება შემდგომ ევროკავშირში გაწევრიანებისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯია რაც რუსეთის ინტერესებში რომელიც ექსპანსიონისტურია და შავ ზღვაზე ჰეგემონობას შავი ზღვის რეგიონების დასუსტების და მათ სახელმწიფოებში დესტაბილიზაციის გზით აპირებს კარგი რა თქმა უნდა არ იყო.

2008 წელი გახდა გარდამტეხი დრო როდესაც რუსეთმა თავისი გეგმის განხორციელება დაიწყო. 7 აგვისტომდე, როდესაც დაიწყო საომარი მოქმედებები, რუსეთის ფედერაცია აქტიურად ემზადებოდა ამ ომისთვის და ამას სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაც. აღნიშნავს. მაგალითად, საერთაშორისო კომისიის დასკვნაში აღნიშნულია, რომ 7 აგვისტოს საომარი მოქმედებების დაწყებას წინ უძღოდა ფართომაშტაბიანი მოქმედებები და პროვოკაციები რუსეთის მხრიდან. მაგალითად, რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონებში სრულიად უკანონოდ

[32] საქართველო ნატო-ს ურთიერთობები, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, გვ.1 https://mfa.gov.ge/ (ევროპული-დაევროატლანტიკური-ინტეგრაცია/საქართველო-NATO-ს-ურთიერთობები.aspx უკანასკნელად გადამოწმებულ ინა 16.05.2021)

პასპორტიზაციის დაწყება. ასევე, 5 დღიანი ომის დაწყებამდე ცხინვალში შეიარღებული ძალები შევიდნენ, რომლებიც არ იყვნენ სამშვიდობოები.[33]

2008 წელს რუსეთმა საქართველოსთან ომით მისი ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა. დღემდე მცოცავი ოკუპაციის საშუალებით ცდილობს, დაისაკუთროს უფრო მეტი ტერიტორიია.

რუსეთთან კონფლიქტი საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციით არ დასრულებულა. დღემდე „კეთილი მეზობელი" აქტიურად ცდილობს, დესტაბილიზაციას ჰიბრიდული ომის მეშვეობით. დღემდე საქართველოს მოქალაქეები ეწირებიან რუსეთის ოკუპაციას. აი, იგივე მდგომარეობაა უკრაინაშიც, დონეცკსა და ლუგანსკში.

რუსეთი უკრაინის ტერიტორიისა და სუვერენიტეტის ხელყოფითაა დაკავებული. დღემდე მიმდინარეობს შეტაკებები, რომლებიც პერიოდულად მწვავდება.

3.2 ნატო-ს სამხედრო საზღვაო ფლოტის მონაწილეობა სამშვიდობო მისიებსა და ტერორიზმთან ბრძოლაში

MARCOM –ი ხელმძღვანელობდა ნატო-ს ოპერაციას „აქტიური მცდელობა" (Active Endeavour) სამხედრო-საზღვაო ოპერაცია „აქტიური მცდელობა" (Active Endeavour) იყო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მოქმედება, რითიც ნატო-ს საზღვაო ძალები მეთაურობდა ხმელთაშუა ზღვაში. ეს ოპერაცია იყო მიმართული იმისკენ ,რომ ტერორისტების გადაადგილებინაა აღმოეფხვრათ ან მასობრივი განადგურების იარაღის.

ეს ოპერაცია უზრუნველყოფდა საზღვაო სივრცის უსაფრთხოებას. ეს იყო ნატო-ს მიერ ერთ-ერთი პირველი სამხედრო გადაწყვეტილება, რომელიც

[33] საერთაშორისო კომისიამ აგვისტოს ომის დაწყების თაობაზე დასკვნა გამოაქვეყნა,რადიო თავისუფლება,ეკა წამალაშვილი, 3 იანვარის 2009, გვ.1 https://www.radiotavisupleba.ge/a/1840484.html?fbclid=IwAR0bmyTmaFAmPVvzqB47yh3d6RWkEDk3isTHORHp0EPyT9neOA7wKwGeUiA(უკანასკნელად გადამოწმებულ ინა 16.05.2021)

ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის მეხუთე პუნქტს ეფუძნებოდა „კოლექტიური თავდაცვის შესახებ“; პირველი სამხედრო ოპერაცია, რომელიც ირიბად იყენებდა მეხუთე პუნქტს.

ოპერაცია დაიწყო 2001 წლის 4 ოქტომბერს. ამ დროს ნატო-ს სამხედრო-საზღვაო ძლები წვრთნებში ხმელთაშუაზღვაში მონაწილეობდნენ.(Destined Glory 2001) ესპანეთის სანაპიროებთან ისინი გადანაწილეს სამხედრო ოპერაციისთვის. ამ სამხედრო-საზღვაო ოპერაციაში ნატო-ს სხვადასხვა საზღვაო ძალა მონაწილეობდა, შემდგომ კი _ ნატოს მუდმივი საზღვაო ჯგუფი 1, (SNMG1) ნატოს მუდმივი საზღვაო ჯგუფი 2(SNMG2).

2003 წლის 4 თებერვალს ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გაეფართოებინა ოპერაცია „აქტიური მცდელობა“ (Active Endeavour) მასში ჩაერთო პუნქტი არასამხედრო ხომალდების თანხლების განხორციელება, გიბრალტარის სრუტის გავლით მათი უსაფრთხოებისთვის.2003 წლის 29 აპრილს სწრაფი რეაგირების ჯგუფმა ენდევორმა (Endeavour) , NAC-ის(ჩრდილო- ატლანტიკური საბჭო) გადაწყვეტილებით საზღვაო ოპერაციის ეფექტიანობის გასაზრდელად დაიწყო ისეთი გემების აბორდაჟი, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, რომლებზეც იყო საფუძვლიანი ეჭვი ტერორისტულ საქმიანობაში მონაწილეობაზე და ტერორისტების ადგილზე ყოფნაზე. ამ გადაწყვეტილების ფარგლებში 160 -ზე მეტი გემის შემოწმება მოხდა.

„აქტიური მცდელობაში“ (Active Endeavour) მონაწილეობდნენ ნატო-ს სამხედრო-საზღვაო ძალების წყალქვეშა ნავები, რომელთა ეფექტურობამ დაზვერვითი საქმიანობის და ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

15 სექტემბერს მოხდა უპრეცენდენტო შემთხვევა და ნატო-ს ოპერაციაში ჩართვის უფლება მისცეს საზღვაო გემს.

„აქტიური მცდელობის“ (Active Endeavour) დაწყების დღიდან მისი ხომალდები მეთვალყურეობდნენ 100 000-ზე მეტი საზღვაო ხომალდს. (2010 წლის მონაცემებით) გარდა ამისა, 100 მეტ ხომალდზე ჩაატარეს ნებაყოფლობითი შემოწმება; მოახდინეს 480-ზე მეტი მოკავშირეთა გემების თანხლება გიბრალტარის სრუტით და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა 2004 წლამდე.

2001 წლის 4 დეკემბერს ოპერაციის ფარგლებში გადააარჩინეს 84 სამოქალაქო პირი.

2002 წლის 2 იანვარს ესპანურმა ფრეგატმა. (Frigate Exstremadura ნ) ასევე ბრიტანული გემი და საბერძნეთის საზღვაო დაცვის სამსახური ხმელთაშუა ზღვაში დაეხმარნენ გემის მეზღვაურებს, რომლებიც იძირებოდნენ.

ოპერაციის განმავლობაში იყო არალეგალური მიგრაციის თავიდან არიდება ,ტერორისტული საქმიანობაში შემჩნეული გემების დაპატიმრება ,კონტრაბანდის გადატანის აღმოფხვრა , სამაშველო ოპერაციები რა დროსაც ათობით ადამიანის გადარჩენა მოხერხდა , დიდი რაოდენობით სადაზვერვო ინფორმაციის მიღება .

დროთა განმავლობაში ოპერაციაში მონაწილე სამხედრო ხომალდების რაოდენობა შემცირდა და დარჩა რამდენიმე ფრეგატის ტიპი და ასევე წყალქვეშა ნავი, რომლებიც პატრულირებდნენ ხმელთაშუა ზღვაში .

ამ დროის განმავლობაში მიღებულმა გამოცდილებამ და შეგროვებულმა ინფორმაციამ ცხადყო, რომ უკვე აღარ იყო საჭირო დიდი ძალების კონცენტრირება, ამიტომაც შეიქმნა სარეზერვო ძალები, რომლებიც რთული მდგომარეობისთანავე შეძლებდნენ ოპერატიულ რეაგირებასა და ნებისმიერი საფრთხის ნეიტრალიზებას. ასევე, ნატო-მ არაწევრ სახელმწიფოებთანაც ითანამშრომლა ამ ოპერაციის ფარგლებში მათ შორის საქართველოსთანაც. ოპერაცია „აქტიური მცდელობა“ (Active Endeavour) 2016 წელს დასრულდა და ჩაენაცვლა სამხედრო-საზღვაო ოპერაციით სახელწოდებით „საზღვაო მცველი“.(Sea Guardian).

„აქტიური მცდელობა“ (Active Endeavour) ოპერაციაში უშუალოდ მონაწილე სახელმწიფოები: ალბანეთი, ბულგარეთი, კანადა, ხორვატია, დანია, ესტონეთი, გერმანია, საბერძნეთი, იტალია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, ესპანეთი, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები....

ნატო-ს არაწევრი სახელმწიფოები რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა: საქართველო, ისრაელი, მაროკო, ახალი ზელანდია, რუსეთი, უკრაინა.

საზღვაო მცველი (Sea Guardian)

„საზღვაო მცველი“ (Sea Guardian) გამოირჩეოდა იმით, რომ მასში ნატოს მეხუთე პუნქტი არ იყო ნახსენები. მასზე გადასვლა ვარშავის სამიტზე გადაწყვიტეს 2016

წელს. ოპერაციის მიზანს ასევე წარმოადგენდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ მისიას დღეს ხელმძღვანელობს მოკავშირეთა საზღვაო სარდლობა რომლის შტაბბინაც გაერთიანებულ სამეფოში, ნორვუდში,(Northwood) მდებარეობს.

სპეციალური დავალების მიღების შემთხვევაში სხვადასხვა სახის საზღვაო ოპერაციების შესრულებაც შეუძლია, გარდა ამისა, ასევე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების ხელის შეშლა და კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის დაცვა.[34]

3.3. ნატო-ს სამხედრო-საზღვაო ძალების მნიშვნელობა შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფაში

შავი ზღვა მისი ადგილმდებარეობიდან და გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველთვის იყო დიდი სახელმწიფოების დაპირისპირების საბაბი. თუ გავიხსენებთ რუსეთ-თურქეთის ომებს შავ ზღვაში, დავინახავთ, როგორი ბრძოლები მიმდინარეობდა ყირიმის გამოც, რაც დღემდე გრძელდება. რა თქმა უნდა, სხვა სახელმწიფოებს შორის, უკრაინას და რუსეთს შორის, რადგან რუსეთმა ყირიმის, უკრაინის, ტერიტორიის ანექსია მოახდინა.

ალიანსისთვის შავი ზღვა სტრატეგიული მნიშვნელობის არეალი გახდა მას შემდეგ, რაც რუმინეთი და ბულგარეთი ნატო-ს წევრი სახელმწიფოები გახდნენ 2004 წელს. აქედან იწყება პერიოდი, როდესაც ნატო უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შავი ზღვის რეგიონს. მანამდეც, 1951 წელს, თურქეთი, როგორც შავი ზღვის სახელმწიფო, შეუერთდა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს . 2004 წელი არ იყო ის თარიღი, როდესაც ნატო-ს წევრი სახელმწიფო პირველად გახდა შავი ზღვის რეგიონის ქვეყანა.

აქ ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია ის ,რომ საქართველო და უკრაინა რომლებსაც დიდი სურვილი აქვთ ალიანსში გაწევრიანების და ნატოს პარტნიორი სახელმწიფოები არიან ასევე შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოებია აქ არის

[34]NATO'smaritimeactivities,ნატოსვებგვერდი,გვ.1https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_70759.htm(უკა ნასკნელად გადამოწმებულ იქნა 21.05.2021)

კორელაცია , რატომ არის ორივე შავი ზღვის რეგიონის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სახელმწიფოების ტერიტორია ოკუპირებული (საქართველო) და ანექსირებული(უკრაინა) .

კორელაცია ზუსტად ისაა, რომ რუსეთს არ სურს შავი ზღვის რეგიონში ნატო-ს გაფართოება, რადგან რუსეთი ეს უზარმაზარი სახელმწიფო ალიანსს მთავარ მოწინააღმდეგედ მიიჩნევს.

ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად , ამიტომაც ის დესტრუქციული მეთოდებით, ჰიბრიდული ომის გამოყენებით და როცა ამას საჭიროდ თვლის კონვენციური ომითაც შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც ნატოს წევრები არ არიან ,რომ ალიანსის როლი არ გაიზარდოს შავი ზღვის რეგიონში.

რუსეთის ამ მცდელობების მიუხედევად, გარდაუვალია, რომ შავი ზღვა არ იყოს ნატო-ს პრიორიტეტი უსაფრთხოების სისტემიდან გამომდინარე, რაც ალიანსს გააჩნია და რისთვისაც აუცილებელია შავ ზღვაში საჭირო სამხედრო-საზღვაო ხომალდების არსებობა, რომლებიც ნატო-ს უსაფრთხოების სიტემის შემადგენელი ნაწილია. აქედან გამომდინარე, შავ ზღვაში ხშირია ალიანსის სამხედრო-საზღვაო ხომალდების შესვლის ფაქტი მაგალითად: 2021 წლის 28 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო გემი ნატო-ს ეგიდით USS Porter შევიდა შავ ზღვაში დაგეგმილი ოპერაციების განსახორციელებლად უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმესა და სწავლებების ჩასატარებლად მოკავშირე სახელმწიფოებთან. USS Porter-ი მესამე სამხედრო-საზღვაო ხომალდია, რომელიც შავი ზღვის რეგიონში შემოვიდა უახლოესი თვეების განმავლობაში; ასევე სამხედრო-საზღვაო ხომალდი Donald Cook –თან და საწვავის ტანკერთან ერთად.[35]

რას წარმოადგენს ნატო-ს ინტერესები შავ ზღვაში ?

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, ნატოს თავდაცვითი სისტემა, რაშიც შავი ზღვა თავის როლს თამაშობს. ასევე, უნდა გავითვალისწინოთ, რუსეთის

[35] NATO Allied ships, aircraft patrol the Black Sea,ნატოს ვებგვერდი, გვ.1 https://www.nato.int/cps/en/natohq/news_180887.htm?selectedLocale=ru&fbclid=IwAR299qLQY9buEvBeX_gUJSyjdItfMhiEaB2NB1o09GqACabprno2r-3lnso(უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 23.05.2021)

დესტრუქციული ქმედებები შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოების წინააღმდეგ, როგორიცაა: უკრაინა და საქართველო, არასტაბილურობას უწყობს ხელს შავ ზღვაში და რეგიონის უსაფრთხოებას უქმნის საფრთხეს. აქედან გამომდინარე, მოხდა, რომ 2008 წლის ომის დროს არსებული არასაკმარისი ზეწოლის პოლიტიკა რუსეთზე შეიცვალა. გარკვეულწილად, როდესაც ახალი სამხედრო მოქმედებები წამოიწყო რუსეთმა, 2014 წელს უკრაინის წინააღმდეგ დ ამისი სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა შელახა ევროპამ შემოიღო სანქციები პაკეტი რა თქმა უნდა რუსეთისთვის ეს სანქციები არ გახდა დაბრკოლება რომლის წინააღმდეგობის გამო უკრაინის ტერიტორიების ანექსიას ვერ მოახდენდა ის მაგრამ ,უნდა აღინიშნოს, რომ რეაქცია საკმაოდ მკაცრი იყო რაც ასევე მნიშვნელოვანია.

უკრაინაში დღემდე დაძაბულია ვითარება და 2021 წლის ივნისის დასასრულს და მაისის თვის დასაწყისში რუსეთმა უკრაინის საზღვრებთან თავისი არმიის მობილიზება მოახდინა იყო ომის საშიშროებაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ დიდი ბრიტანეთი გააგზავნიდა შავ ზღვაში თავის სამხედრო-საზღვაო ხომალდებს ,უკრაინის მხარდაჭერის გამოსახატავად .

ალიანსის სახელმწიფოების და ამერიკის შეერთებული შტატების მკაცრი პოზიციის და განცხადებების როლი რამდენად დიდია იმაში ,რომ 2021 წელს რუსეთმა არ გადადგა სამხედრო ინტერვენციის კენ ნაბიჯები უკრაინაში ძალიან რთული სათქმელია მაგრამ, დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ თუ რუსეთს მსგავსი გეგმა გააჩნდა ამ განცხადებების და მხარდაჭერის გამოცხადების შემდეგ აშშ-ს და ნატოს სახელმწიფოების მხრიდან ამან რაღაც ზეგავლენა ნამდვილად მოახდინა .

უკრაინის წინააღმდეგ აგრესიის და ყირიმის ანექსიის შემდეგ რუსეთმა იქ თავისი სამხედრო შესაძლებლობების ზრდა განახორციელა 2015-2016 წელს შავი ზღვის რუსეთის ფლოტმა მიიღო პირველი ექვსი დაგეგმილი წყალქვეშა ნავიდან KILO-კლასის და პირველი ექვსი დაგეგმილი ფრეგატიდან კლასი ადმირალი გრიგორევიჩის (Адмирал Григорьевич) რამაც გაზარდა ჰაერსაწინააღმდეგო სარაკეტო თავდასხმის საშუალებები და ფრთოსანი რაკეტების რაოდენობა რუსეთის შავი ზღვის ფლოტის .ნატოს ინტერესებშია საპასუხო რეაქცია და შავი

ზღვის რეგიონში თავისი ძალების გაზრდა რუსეთთან პირდაპირ პროპორციულად.

ასევე იქიდან გამომდინარე, რომ შავი ზღვა არის მნიშვნელოვანი სატრანზიტო კორიდორი დიდი პრობლემაა და გამოწვევა მიწოდების უსაფრთხოება ასევე გაზის იმპორტი არის მნიშვნელოვანი მიმართულება შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებისთვის ნატოს სახელმწიფოებში , ეს გარემოებები აფართოებს ნატოს ინტერესებს .

ალიანსის კიდევ ერთი ინტერესი შავი ზღვის რეგიონის მიმართულებით არის ამ სივრცის საკომუნიკაციო ხაზი ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს შორის , და ამ საკომუნიკაციო ხაზის უსაფრთხოებას რეგიონში და რეგიონის გარეთაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ალიანსის და მისი სახელმწიფოების პრიორიტეტია ეკონომიკური ინტეგრაცია და თავისუფალი ვაჭრობა, რაც ეკონომიკური სტაბილურობას და განვითარებას უწყობს ხელს .

შავი ზღვის უსაფრთხოებაში ნატოს როლი

ტერორიზმის საფრთხემ და ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის ესკალაციამ აქვე მომწიფდა სირიის კონფლიქტი შავ ზღვას დიდი მნიშვნელობა შესძინა ვინაიდან სირიის კონფლიქტის უშუალო მონაწილე სახელმწიფო თურქეთია .

ტერორიზმის საფრთხე რა თქმა უნდა ნატოსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტულია და შავი ზღვის რეგიონი ნატოს გემებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიაა ვინაიდან იგივე ისლამურ სახელწმიფოს თუ ავღღებთ სადაც კოალიციურ სამხედრო-საზეღაო ძალებს დიდი როლი აქვთ. მათ გაანადგურეს ისლამური სახელმწიფო და ნატოს კოალიციური სამხედრო- საზღვაო ძალების მეშვეობით იბომბებოდა ისლამური სახელმწიფოს პოზიციები .

ასევე აღსანიშნავია ის რომ რუსეთის დესტრუქციულმა მოქმედებამ შავ ზღვაში რიტაც ის რეგიონის უსაფრთხოებას უქმნის საფრთხეს ნატოში შავ ზღვაზე კომუნიკაცია და დიალოგი უფრო გახშირდა და უფრო მაღალ დონეზე მიმდინარეობდა და მიმდინარეობს მაგალითად: ნატოს 2017 წლის რეზოლუცია სტაბილურობა და უსაფრთხოება შავი ზღვის რეგიონში , ასევე შავი ზღვა იყო ნახსენები 2016 ვარშავის ნატოს სამიტის კომუნიკეში.

ალიანსი შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოა და მისი წევრი სამი სახელმწიფოთი არის წარმოდგენილი რაც ნიშნავს იმას ,რომ შავი ზღვის უსაფრთხოებაში მას დიდი როლი აქვს და უნდა ჰქონდეს ვინაიდან რუსეთისთვის არანაირი პრიორიტეტი ამ რეგიონის უსაფრთხოება არ არის და პირიქით ის მთავარი მოქმედი აქტიორია რომელიც უსაფრთხოებას შავ ზღვაში უქმნის საფრთხეს და მდგომარეობის დესტაბილიზაცია უწყობს ხელს ეს დღემდე გრძელდება როგორც საქართველოში მცოცავი ოკუპაციით ასევე უკრაინაში დონეცკში და ლუგანსკში . ამ ყველაფრის გათვალისწინებით რა თქმა უნდა შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოებაზე ნატო გავლენას ახდენს ნატოს მიერ ჩატარებული წვრთნები რომელთა სიხშირემ იმატა და აშშ-ს სამხედრო საზღვაო ხომალდები რომლებიც ნატოს ეგიდით შავ ზღავში არიან დიდ როლს თამაშობს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთოხების საქმეში.

ასევე ნატოს ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემა რომლის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს შავ ზღვაში ნატოს ეგიდით მისი წევრი სახელმწიფოების სამხედრო-საზღვაო ხომალდები და სამხედრო-საჰაერო ძალებ რომლებიც პატრულირებას ახორციელებენ და დაზვერვას .

ასევე ნატოს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების სახმელეთო კომპონენტის გაზრდის მიმართულებით რუმინეთში კრაიავოში არის ბაზა რაც რა თქმა უნდა ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონის უსაფრთხოებაში ნატოს წვლილის თვის . ნატოს სამხედრო-საზღვაო მართვის ცენტრში არის შავი ზღვის მიმართულება რომელიც რეგიონში არსებულ პრობლეებს განიხილავს და ასევე რეგიონში ნატოს მოკავშირე სამხედრო ძალებთან აქვს კომუნიკაცია .

ალიანსის წვრილი შავი ზღვის უსაფრთხოებაში დიდია და მას ამ მიმართულებით მოქმედების ფართო სპექტრი აქვს ,როგორიც არის : ანტისარაკეტო თავდაცვა ,საზღვაო თავდაცვა , სახმელეთო თავდაცვაა , რეგიონის ქვეყნების მხარდაჭერა და დახმარება სხვადასხვა სფეროში ეს იქნება სამხედრო თუ ეკონომიკური, საზღვაო თავდაცვის კომპონენტი ნატოს სახელმწიფოების სამხედრო-საზღვაო გემების მეშვეობით რომლებიც მუდმივად შემოდიან შავ ზღვაში , საჰაერო პატრულირება და დაზვერვა ეს იქნება თვითმფრინავების თუ უპილოტო საფრენი აპარატების მეშვეობით.

დასკვნა

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი არის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, სადაც 30 სახელმწიფოა გაერთიანებული. ალიანსის მიზნებისა და ამოცანების განხორცელებაში უდიდესი როლი მიუძღვის მის კოალიციურ სამხედრო საზღვაო ძალებს , მათ შორისკი უდიდესი და უძლიერესი საზღვაო ფლოტი ამერიკის შეერთებული შტატებს გააჩნია, რომლის შესაძლებლობები და სიძლიერე აღემატება ნატოს 28 სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ძალებს ერთად აღებულს. ასევე აშშ ხარჯავს ყველაზე მეტ თანხებს ალიანსის სამხედრო სიძლიერის საქმეში. მსოფლიოში 21- საუკუნეში ვითარება ელვისებურად იცვლება და ჩნდება საფრთხეები, რომლებიც სწრაფ რეაგირებასა და მობილურობის მაღალ ხარისხს საჭიროებენ.

ასეთ საფრთხეს წარმოადგენს ტერორიზმი ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ. კოალოციური სამხედრო-საზღვაო ძალების როლი იყო დიდია. ისინი ამერიკის, სფრანგეთისა და სხვა ნატო-ს სახელმწიფოების სამხედრო-საზღვაო გემების სშუალებით ახდენდნენ მასირებულ სარაკეტო შეტევას ისლამური სახელმწიფოს ტერიტორიებზე.

ასევე, სამხედრო-საზღვაო ფლოტს დიდი როლი აქვს ალიანსის ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემაში. ის წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს ბალისტიკური რაკეტების წინააღმდეგ ბრძოლაში,რისთვისაც აშშ-ს სამხედრო-საზღვაო გეები აღჭურვილი შესაბამისი სარადარო სისტემებით მუდმივად არიან ალიანსის საზღვაო ტერიტორიაზე.

რა უპირატესობა აქვს ნატო-ს კოალიციურ სამხედრო-საზღვაო ძალებს მისი მოწინააღმდეგის ფლოტთან შედარებით?

სამხედრო-საზღვაო ძალებზე როდესაც ვსაუბრობთ, აუცილებელია გამოვყოთ რამდენიმე მახასიათებელი, რომლებიც განაპირობებს მის სიძლიერეს. ეს მახასითებლებია: 1.ტექნოლოგიური განვითარება, 2. რესურსები, 3.ოპერატიული შემადგენლობა, 3. რაოდენობა და ხარისხი.

ყველა ამ მახასიათებელს თუ გავითვალისწინებთ, მაშინ ნატო-ს კოალიციური სამხედრო-საზღვაო ძალები მსოფლიოში არის უკონკურენტო. არ არსებობს

მსოფლიოში სამხედრო-საზღვაო ძალები, რომელიც რომელიმე მახასიათებელში ალიანსის კოალიციურ სამხედრო საზღვაო ძალებს აჯობებს .

ნატო-ს საზღვაო ძალები ეს არის მისიწევრი 30 სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ძალების ერთიანობა, ეს იმას ნიშნავს ,რომ : ა) ნატოს კოალიციური სამხედრო საზღვაო ძალები შემადგენლობის მხრივ არის ყველაზე დიდი და მრავალრიცხოვანი; ბ)ნატოს წევრი სახელმწიფოებში არიან ისეთი ქვეყნები როგორიც არის: აშშ,დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ეს სახელმწიფოები არიან. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ტექნოლოგიური განვითარების მიხედვით მოწინავე სახელმწიფოები, მეტიც, აშშ-ს მსოფლიოში ყველაზე ტექნოლოგიურად განვითარებული ფლოტი ჰყავს, უახლესი ავიამზიდებიდან დაწყებული, წყალქვეშა ნავებით დამთავრებული.

ნატო-ს სამხედრო-საზღვაო ძალების ყველაზე დიდი უპირატესობა არის მისი წევრი სახელმწიფო აშშ, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ფლოტი გააჩნია. აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალებია სამხედრო ერთეული, რომელსაც ნებისმიერი ამოცანის შესრულება შეუძლია მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში .

შეუძლია თუ არა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ნატო-ს კოალიციურ სამხედრო-საზღვაო ძალებს ამოცანების შესრულება?

კოალიციური სამხედრო-საზღვაო ძალები მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანია. ეს იმის საშუალებას იძლევა, რომ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მან ამოცანები შესრულოს. აშშ, როგორც ნატო-ს წევრი სახელმწიფო, ნებისმიერ დროს მზად არის ალიანსისთვის საჭირო ამოცანების შესასრულებლად, აშშ-ს ფლოტის განკარგულებაში 300 ამდე სხვადასხვა სახის სამხედრო-საზღვაო ხომალდია, მათ შორის 11 ბირთული ავიამზიდი რომლებიც მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ნებისმიერი ამოცანის შესასრულებლად ყოველთვის სრულ მზადყოფნაში არიან. ნატო-ს მიერ შესასრულებელ ნებისმიერ ამოცანას ეს იქნება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, თუ ალიანსის წინააღმდეგ აგრესიის მოგერიება, ყველაზე თანამედროვე სამხედრო-საზღვაო ხომალდები და წყალქვეშა ნავები ყოველთვის მზად არიან გამოწვევის მისაღებად . ასევე, უნდა აღინიშოოს, რომ ნატო-ს წევრი აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთელ მსოფლიოში აქვს

ბაზები და ჰყავს საკმარისი რაოდენობს ავიამზიდები, რომ მსოფლიო ოკეანეებში მინიმუმ ერთი ავიამზიდი თავისი დამრტყმელი ჯგუფით ჰყავდეს აშშ კი მხოლოდ ერთი, ნატოს წევრი სახელმწიფოა, მის გარდა ნატოში 29 ქვეყანაა საკუთარი სამხედრო-საზღვაო ძალებით.

არის თუ არა ნატო-ს კოალიციური სამხედრო-საზღვაო ძალები უფრო ძლიერი ვიდრე მისი მთავარი მოწინააღმდეგის რუსეთის ფლოტი?

ალიანსის მთავარი გამოწვევა არის რუსეთის ფედერაცია ეს არაერთხელ აღინიშნა ნატო-ს სამიტებზე. თავის მხრივ, რუსეთიც ალაინსს მის მათავარ მოწინააღმდეგედ განიხილავს იქიდან გამომდინარე ,რომ ალინსის და მისი სახელმწიფოების იდელოგია,პოლიტიკა განსხვავდება ტოტალიტარული რეჟიმის მქონე რუსეთის ფედერაციაზე, რომლის მიზანს წარმოადგენს რეგიონში დესტრუქციული მოქმედებები, იმისთვის, რომ უფრო მეტი ტერიტორიის დაბყრობა შეძლოს რადგან მას მილიტარისტული ექსპანსიური ხასიათის ამოცანები აქვს დასახული. ამის გამოვლინებასაც ჩვენ ვნახეთ უახლოეს დროში, 2008 წელს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციით და 2014 წელს უკრაინის ტერიტორიის ანექსიით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აქტუალურია სამხედრო-საზღვაო შესაძლებლობების შედარება ორ მოწინააღმდეგ ბანაკს შორის, თუმცა აქ პასუხი არის ერთმნიშვნელოვანია, ვინაიდან მსოფლიოში მხოლოდ ერთი სახელმწიფო არსებოობს, რომელსაც გააჩნია საკმარისი ფინანსური, ტექნოლოგიური შესაძლებლობა, რათა, სხვა ერთად აღებულ, რამოდენიმე სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ფლოტებს შევადაროთ მისი საზღვაო ძალები და ეს სახელმწიფო ამერიკაა.

რაც შეეხება რუსეთს, მას არ გააჩნია ისეთი სამხედრო-საზღვაო ფლოტი, რომელიც შეიძლება ნატო-ს წევრი სახელმწიფოების საზღვაო ფლოტებზე ძლიერი იყოს, თუნდაც რომელიმე ერთი მახასიაებლით. ეს იმის ბრალია, რუსები მთავარ აქცენტს წყაქვეშა ნავებზე აკეთებენ. მათ საკმაოდ მაღალი დონის წყალქვეშა ნავები აქვთ და რაოდენობაც საკმაოდ დიდი.

თუმცა მეორესმხრივ ალიანსის, რიგ სახელმწიფოებს შედარებისთვის არანაკლები თუ უფრო ძლიერი არა აქვთ წყალქვეშა ნავების მიმართულება განვითარებული.

თუ ავიღებთ ალიანსის სახელმწიფოებს ცალკეულად მაგალითად. 68 წყალქვეშა ნავის ფლობს მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები, ხოლო რუსეთის ფედერაცია მხოლოდ 64-ს თუ ალიანსის სხვა სახელმწიფოების წყალქვეშა ნავებს მოვიყვანთ, მაგალითად, განსხვავება იმდენად დიდი იქნება, რომ არამხოლოდ უპირატესობას ფლობს ალიანსი არამედ სრულიად დომინირებს.

თუ სამხედრო-საზღვაო ძალების ძლიერებასა სხვა მახასიათებლებს ავიღებთ, მაგალითად, ავიამზიდების რაოდენობას თავისი დამრტყმელი ჯგუფითურთ, აქ რუსეთის ფედერაციის ნატო-ს კოალიციური ძალებთან შეფარდება გვაჩვენებს ალიანსის დომინანტურ მდგომარეობას, ვინაიდან ნატო-ს რამდენიმე სახელმწიფოს გააჩნია ავიამზიდი. მაგალითად: აშშ-ს, საფრანგეთს, იტალიას, დიდ ბრიტანეთს, მხოლოდ აშშ-ს როგორც ნატო-ს წევრი სახელმწიფოს ავიამზიდების რაოდენობა რუსეთის ფედერაციისას 11 ჯერ აღემატება. რუსებს მხოლოდ ერთი ავიმზიდი ჰყავთ ადმირალი კუზნეცოვი და ისიც მწყობრიდან არის გამოსული გაურკვეველი ვადით.

რაც შეეხება სხვა მახასიათებლებს, მაგალითაად: ნაღმოსაან გემებს, კრეისერებს, ფრეგატებს, სადესანტო გემებს, ნაღმსაწინააღმდეგოს, აქაც ნატო-ს კოალიციური სამხედრო-საზღვაო ძალების უპირატესობა კოლოსალურია. თუ გემბანის ავიაციაზე გვაქვს საუბარი, აქ არა მხოლოდ კოლოსალურად დიდისხვაობაა ალიანსის კოალიციური ძალების სასარგებლოდ, არამედ ტექნოლოგიურ განვითარების დონეც ბევრად მაღალია, ამერიკელებს უკვე მეხუთე თაობის ავიაცია აქვთ განთავსებული თავიანთ ავიამზიდებზე, როგორიცაა: F-35 მრავალფუნქციური ბომბდამშენი ვერტიკალური აფრენის ფუნქციით, ასევე დიდ ბტითანეთს ყავს F-35 ის ესკადრილია.

აქედან გამომდინარე, ალიანსის სამხედრო-საზღვაო ძალები უფრო ძლიერია, უფრო მრავალრიცხოვანი და უფრო ტექნოლოგიურად განვითარებული ვიდრე მისი მოქინააღმდეგე რუსეთის ფედერაცია.

კვლევის შედეგი: ნაშრომში დასმული ჰიპოთეზა; 1 და ჰიპოთეზა 2 კვლევის შედეგად დადასტურებულია ისეთი მძლავრი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსისთვის, როგორიც ნატო-ა მობილური და ძლიერი სამხედრო-საზღვაო

ფლოტი აუცილებელია. ალიანსის ფუნდამენტურ მიზანს წარმოადგენს მისი წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა ნებისმიერი სახის საფრთხისგან. როგორც ეს 9/11 -ის ტერაქტმა გვაჩვენა ,რომელიც პირველი შემთხვევა იყო როდესაც ნატო-ს კოლექტიური დაცვის სისტემა ამოქმედდა რომელიც მის მეხუთე პუნქტშია გაწერილი. 21-ე საუკუნეში მრავალი სახის საფრთხე არსებობს, მათ შორის ტერორიზმი და მასზე ადეკვატური პასუხის გასაცემად არის საჭირო ძლიერი სამხედრო-საზღვაო ძალები. ასევე, მნიშვნელოვანია ავღანეთში ტერორიზმის წინააღმდეგ მისია და ისლამური სახელმწიფო, რომლის დამარცხებაშიც ალიანსის კოალიციურ სამხედრო-საზღვაო ძალებს დიდი როლი აქვს.

დიდი მნიშვნელობია აქვს სამხედრო-საზღვაო ძალებს ალიანსის პარტნიორი სახელმწიფოებისა და მისი წევრი სახელმწიფოების მხარდაჭერისთვის.

ასევე ძლიერი სამხედრო-საზღვაო ფლოტი აუცილებელია ძალთა ბალანსისთვის მის მთავარი მოწინააღმდეგესთან, რუსეთის ფედერაციასთან. ამისგან მომავალი საფრთხეც ალანსს აიძულებს, ძლიერი ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემები გააჩნდეს, რომლის მთავარ ელემენტს წარმოადგენს სამხედრო საზღვაო ფლოტი .

განიყენებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, ძალთა ბალანსის თეორია გამოყენებულია ნატო-სა და მისი მთავარი მოწინააღმდეგის, რუსეთის ფედერაციის კონტექსტში. ალიანსი შეიარღების გაძლიერებას ახდენს, რათა შენარჩუნდეს ძალთა ბალანსი რუსეთის ფედერაციასთან.

რეალიზმის თეორია გამოყენებულია სახელმწიფოთა ეგოსიტური ბუნების კონტექსტში. ვინაიდან სახელმწიფოებს მხოლოდ თავიანთი ინტერესები და თვითგადარჩენა ამოძრავებთ, საჭიროა შეირაღების გაზრდა, რომ ინტერესთა კონფლიკტის დროს თავის დაცვა შეძლონ.

მანჰაიმის საზღვაო ძალის თეორია გამოყენებულია სამხედრო-საზღვაო შეიარაღების ისტორიის და მნიშვნელობის რაობის განსასაზღვრად.

ბირთული შეკავების თეორია გამოყენებულია ალიანსის ბირთვული შეკავების და უსაფრთხოების კონტექსტში.

გეოსტრატეგიული ბაანსის თეორია გამოყენებულია ,რეგიონის გეოპოლიტიკის კონტექსტში და შავ ზღვაში არსებული კონფლიკტების ანალიზის საქმეში.

ბიბლიოგრაფია

1. არტი რ. ჯერვისი რ. ,,საერთაშორისო პოლიტიკა: მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი - 2011.
2. აკობია ე., „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, სოციალურმეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2006, გვ. 22
3. ბურკაძე, ხ., &კორეპანოვი, ა. ნატო ღიაკარი. თბილისი: გამომცემლობა საარი. (2010).
4. გზამკვლევი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ.. თბილისი: სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ. (2017)
5. გ.მაღრაძე ვ.მაისაია "21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და თანამშრომლობითიუსაფრთხოების თეორია მითი და რეალობა- რეგიონალური
6. ვაშაკიძე, რ.. ნატოს გეოსტრატეგია 21-ესაუკუნეში: ღია კარის პოლიტიკა შავი ზღვისრეგიონის მიმართ. თბილისი. (2009)
7. მაისაია ვ., გუჩუა ა.,. „ნატო და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორები („ისლამური სახალიფო“, „ალ- კაიდა“ და „თალიბანი“) - მეოთხე თაობის ომის სტრატეგია და მისი რეგიონული და ეროვნული უსაფრთხოების გეოპოლიტიკური ასპექტები (2010-2019 წლები)“, გამომცემლობა ,,თბილისელები პრინტი“, თბილისი, 2020.
8. მეძმარიაშვილი ე., შუბლაძე თ., აბაშიძე ზ. [და სხვ.], ,,ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი“, თბილისი - 2017
9. მაკა ბულისკერია, ,,რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომისსაერთაშორისო შეფასების ისტორიისათვის““, იაკობ გოგებაშვილის სახელობისთელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, 2016; გვ 47-82
10. ქარუმიძე, ვ. საერთაშორისო ორგანიზაციები.თბილისი: საგანმანათლებლო კავშირისაზოგადოება ცოდნა. (2003).
11. ჩიტაძე ნ. ,,გეოპოლიტიკა“, გამომცემლობა უნივერსალი. თბილისი - 2011.

12. ჩიტაძე ნ. „ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი“, თბილისი -2008. 16) ჩიტაშვილი მ. „სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი“. თბილი- 2004.
13. ჯენტელსონი ბ. „ამერიკის საგარეო პოლიტიკა: არჩევანის დინამიკა 21-ე საუკუნეში“, ილიას სახელმწიფო უნივესიტეტის გამომცემლობა, თბილისი - 2015.
14. Russia, the West, and the Ukraine Crisis –Elias Götz – 2018 ;
15. THE NEW NATO-RUSSIA MILITARY BALANCE: IMPLICATIONS FOR EUROPEANSECURITY - R I C H A R D S O KO L S K Y – 2017 Soft Power: The Means To Success InWorld Politics Paperback – April 26, 2005
16. Henry Kissinger, „Nuclear War and Foreign Policy“. New York: Harper & Brothers, 1957.
17. „U.S. Strategic Nuclear Forces: Background, Developments, and Issues“, Congressional Research Service. Updated January 3, 2020.
18. Durkalec J., European security without the INF Treaty, “NATO Review”, 2019.
19. Kimball D., The Intermediate-Range Nuclear Forces (INF) Treaty at a Glance, Arms Control Today, August 2019.
20. “Strategic Concept” for the Defence and Security of The Members of the NATO Adopted by the Head of State and Government, Lisbon, 2010, retrieved from (https://www.nato.int/lisbon2010/strategic-concept-2010-eng.pdf)
21. Gerald R Ford Class – US Navy CVN 21 Future Carrier Programme,სამხედრო ბლოგი naval-technology.com- გვ.1 (https://www.naval-technology.com/projects/gerald-r-ford-class/ უკანასკლელად იქნა გადამოწმებული 24.05.2021)
22. HMS QUEEN ELIZABETH (R08) ,დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ძალების გვერდი, გვ.1 https://www.royalnavy.mod.uk/our-organisation/the-fighting-arms/surface-fleet/aircraft-carriers/hms-queen-elizabethუკანასკლელად იქნა გადამოწმებული 21.05.2021
23. KYLE MIZOKAMI, Watch China's First Aircraft Carrier Recover a Fighter Jet,სამხედრო ბლოგი-popularmechanics.com 28 აპრილი 2021,გვ.1 https://www.popularmechanics.com/military/navy-ships/a36166209/watch-china-aircraft-carrier-liaoning-recover-fighter-jet/ უკანასკლელად იქნა გადამოწმებული 24.05.2021
24. Supreme Allied Commander Europe,ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის გვერდი,გვ.1https://shape.nato.int/saceur-2უკანასკლელად იქნა გადამოწმებული 28.05.2021

დანართი #1.

ქვეყანა	ხომალდის ტიპი	მდგომარეობა	სიჩქარე(კვანძი)	რაოდენობა
ბელგია	1.Karel Doorman class 2. Tripartite class	მწყობრშია	15 15	1.Karel Doorman class-2 Tripartite class-5
ბულგარეთი	1.Frigate 2. Corvette 3.Minehunter	მწყობრშია		Frigate-4 Corvette-3 Minehunter-12
ალბანეთი	-	-	-	-
კანადა	1.Frigate 2. Kingstone Class 3. victoria class submarine	მწყობრშია		Frigate-12 Kingstone class-12 victoria class submarine-3
ხორვატია	1.Karal-class Missile boat 2. patrol boat "Mirna" 3. Minehunter	მწყობრშია		Karal-class Missile boat-5 patrol boat "Mirna"-4 Minehunter-1
დანია	1.Frigate	მწყობრ	15	Frigate-7

		შია		
ესტონეთი	-	-	-	-
საბერძნეთი	1.Frigate Anzac class (MEKO 200) 2.Frigate Standard 3. submarine 209/1100 4. submarine 209/1200 5.submarine 214 6.La Combattante-class missile boat III 7.Artillery boats 8.Mine ships 9.Landing ships	მწყ ობრ შია		1.Frigate Anzac class (MEKO 200)- 4 2.Frigate Standard-10 3. submarine (209/1100)-4 4. submarine (209/1200)-4 5.submarine (214) - 1 6. La Combattante-class missile boat III - 18 7.Artillery boats-12 8.Mine ships-4 9.Landing ships-12
უნგრეთი	-	-	-	-
ისლანდია	-	-	-	-
ლატვია	1. Minelayer 2.Minehunter	მწყ ობრ შია		1.Minelayer-2 2.Minehunter
ლიეტუა	1.Vidar-class minelayer			1.Vidar-class minelayer-1

დანია	2.Hunt-class mine 3.countermeasures vessel Flyvefisken-class patrol vessel			2.Hunt-class mine-2 3.countermeasures vessel Flyvefisken-class patrol vessel -4
ლუქსემბურგი	-	-	-	-
მონტენეგრო	Frigate			Frigate-1
ჩრდილოეთ მაკედონია	-	-	-	-
ნორვეგია	1.Submarine Branch 2. Frigate			1.Submarine Branch-6 2. Frigate-7
რუმინეთი	1.Multipurpose Frigate Multipurpose corvette Missile corvette Torpedo boats Minesweeper			1. Multipurpose Frigate-3 2.Multipurpose corvette-4 3.Missile corvette -3 4.Torpedo boats-3 5.Minesweeper-5
სლოვაკეთი	-	-	-	-
სლოვენია	-	-	-	-
პოლონეთი	1.submarines			1.Submarines-3

	2. Frigate 3. corvettes 4. fast-attack craft 5. mine destroyers 6. mine layers			2.Frigate-2 3.Corvettes-2 4.fast-attack craft-3 5.mine destroyers-21 6. mine layers-5
პორტუგალია	1.submarines 2.multi purpose frigate 3. corvettes			1. submarines-2 2. multi purpose frigate-2 3. corvettes-3
ჰოლანდია	1.submarines 2. Frigate 3.Minesweeper 4. Landing ships			1. submarines-4 2. Frigate -6 3. Minesweeper-10 4. Landing ships-7
ესპანეთი	1.Frigate 2. submarines 3. Landing ships 4.corvettes			1. Frigate-11 2. submarines-4 3. Landing ships-19 4. .corvettes-4
იტალია	1. submarines 2. aircraft carrier 3.Destroyer 4. Frigate 5.corvettes 6. Landing			1. submarines-8 2. aircraft carrier-2 3. Destroyer-2 4. Frigate-22 5.corvettes-8 6. Landing ships-3

	ships			
საფრანგეთი	1.aircraft carrier 2. Frigate 3. corvettes 4. Landing ships 5. submarines 6. Destroyers			1.aircraft carrier-1 2. Frigate-21 3. corvettes-9 4. Landing ships-4 5. submarines-9 6. Destroyers
გერმანია	1. Frigate 2.corvettes 3.submarines 4. Minesweepers			1. Frigate-9 2.corvettes-5 3.submarines-6 4. Minesweepers-19
თურქეთი	1. Frigate 2.corvettes 3.submarines			1. Frigate-15 2.corvettes-10 3.submarines-13
დიდი ბრიტანეთი	1. Frigate 2.submarines 3. Minesweepers 4. Landing ships 5. Destroyers 6. aircraft carrier			1. Frigate-13 2.submarines-14 3. Minesweepers-16 4. Landing ships-2 5. Destroyers-6 6. aircraft carrier-2
ამერიკის შეერთებული შტატები	1.Nuclear aircraft carriers 2. Cruisers 3. Minesweepers 4.submarines 5. Landing ships 6. Destroyers 7.corvettes 8.patrol craft			1. Nuclear aircraft carriers-11 2. Cruisers-22 3. Minesweepers-69 4.submarines-70 5. Landing ships-8 6. Destroyers-92 7.corvettes-21 8.patrol craft

დანართი #2.

დანიშვნის წესები და თანამდებობაზე ყოფნის თავისებურებები

მოკავშირეთა გაერთიანებული ძალების მთავარსარდლის კანდიდატს ნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, ამტკიცებს ამერიკის სენატი და ჩრდილოატლანტიკური საბჭო. ვინაიდან ნატო-ს გენერალური მდივანი არის ევროპიდან, მთავარსარდალს, ტრადიციულად, ნიშნავენ ამერიკიდან გენერლის ან ადმირალის სამხედრო წოდებით. თანამდებობაზე ყოფნის პერიოდი არ არის შეზღუდული, მაგრამ, ზოგადად, ეს პერიოდი ერთიდან რვა წლამდე მერყეობს ხოლმე.

ისტორია

პირველი მთავარსარდალი მოკავშირეთა გაერთიანებული ძალების გახდა აშშ-ს არმიის გენერალი დუაიტ ეიზენჰაუერი, რომელიც დანიშნა ამერიკის პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა.(ოფიციალურად დაინიშნა 2 აპრილს, 1951 წელს) ეიზენჰაუერი მიიჩნევდა, რომ ნატო-ს ბიუჯეტში ფულის შეტანა უნდა განხორციელებულიყო ალიანსის წევრი სახელმწიფოს შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ის იყო ჯარისკაცების რაოდენობის გაზრდის მომხრე, ეიზენჰაური ფიქრობდა, რომ თავის მმართველობა უნიკალურია, რადგან მან პირველად შეიქმნა მრავალნაციონალური არმია არა იმისთვის, რომ ომი ეწარმოებინა_ არამედ თავდაცვის განსახორციელებლად აგრესორის საწინააღმდეგოდ. ეიზენჰაუერმა იმის გამო ,რომ აშშ-ს პრეზიდენტად იყრიდა კენჭს რესპუბლიკური პარტიიდან, თანამდებობა დატოვა 1952 წელს.

30 მაისს, 1952 წელს, პრეზიდენმა ტურმენმა მთავარსარდლის თანამდებობაზე დაინიშნა მეტიუ რიდვეი, (Matthew Bunker Ridgway) რომელმაც თითქმის ნულიდან შექმნა კოორდინირებული ნატო-ს მართვითი სტრუქტურა. ის იყო ძალების გაფართოების, წვრთნის, მომზადების გაუმჯობესებისა და სტანდარტიზაციისთვის. მის მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, ვინაიდან

ირგვლივ მხოლოდ ამერიკელ ოფიცრებს ნიშნავდა თანამდებობაზე და ბოლოს ეს გახდა მის თანამდებობიდან მოხსნის ერთ-ეთი მთავარი საბაბი.

11 ივლისს, 1953 წელს, ეიზენჰაურმა სარდლის პოსტზე ალფრედ გრიუნერი, (Alfred Gruenther) დანიშნა. ამ თანამდებობაზე ყოფნისას ალფრედმა დიდი წვლილი შეიტანა ბირთული იარაღის რაოდენობის გაზრდაში ევროპის ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის შეკავებისთვის. აქტიურად მონაწილეობდა დიპლომატიურ საქმიანობაში.

20 ნოემბერს, 1956 წელს, მთავარსარდალი გახდა ლორის ნორსტადი, (Lauris Norstad) პირველი გენერალი ამერიკის საჰაერო ძალებიდან. ლორისი თანამდებობაზე დანიშნა ეიზენჰაუერმა. კენედის გაპრეზიდენტების შემდეგაც შეინარჩუნა პოსტი მისი შესანიშნავი მუშაობის გამო და, ასევე, ბერლინის 1961 წლის კრიზისში მმართველობის გამო. 1961 წელს ის თანამდებობიდან გადადგა.

იმავე წელს კენედიმ თანამდებობაზე დანიშნა ლიმან ლემინცერი. (Lyman Louis Lemnitzer) მას რთულ საერთაშორისო ვითარებაში მოუწია თანამდებობაზე ყოფნა. მან თანამდებობაზე ყოფნისას შეიმუშავა ახალი სამხედრო დოქტრინა „მოქნილი რეაგირება“, რომლის მთავარი აზრი ნატო-ს ბირთულ იარაღზე დამოკიდებულების შემცირება იყო. ასევე, მის დროს შარლ დე გოლის მეთაურობით, საფრანგეთი ნატო-ს შემადგენლობიდან გავიდა და ვარშავის ხელშეკრულების ძალების შეიჭრა ჩეხოსლოვაკიაში.

ნატო-ს გაერთიანებული ძალების მოქმედი მთავარსარდალია ამერიკელი გენერალი ტოდ ვოლტერსი(Tod Daniel Wolters) 2019 წლის 3 მაისიდან.[36]

მოკავშირეთა საზღვაო სარდლობა (MARCOM) არის ნატო-ს მთელი საზღვაო ძალების ცენტრალური სარდლობა. Marcom- ის სარდალი არის ალიანსის მთავარი მრჩეველი სამხედრო-საზღვაო ძალების მიმართულებით. ის განაგებს საზღვაო ოპერაციების წარმართვას. მისი შტაბ-ბინა განლაგებულია ლონდონის ჩრდილო-დასავლეთით, ნორვუდში.

ისტორია

[36] 1949-1952: CREATING A COMMAND STRUCTURE FOR NATO,ნატოს ვებგვერდი, გვ.1 https://shape.nato.int/page14612223.aspx (უკანასკლელად იქნა გადამოწმებული 10.05.2021)

სამეფო ფლოტის მთავარსარდალმა მიიღო პასუხისმგებლობა ნატო-სგან და გახდა მისი აღმოსავლეთ არეალის(CINCEASTLANT) მეთაური, 1953 წელს, როცა შექმნა ნატო-ს სამხედრო სარდლობის სტრუქტურა .

აღმოსავლეთ ატლანტიკის მთავარსარდლის სახელწოდება შეცვლვალა მოკავშირეთა საზღვაო კომპონენტის სარდლობით 2004 წელს, ხოლო 2010 წლიდან მოკავშირეთა საზღვაო სარდლობა ნორვუდში,(Northwood) რომელიც მოკავშირეთა გაერთიანებულ სარდლობის დაქვემდებარებაშია.

დანართი #3.

სტრუქტურა

პოლიტიკური დაგეგმარების დონე:



დანართი #4.

ალიანსის სამხედრო-საზღვაო სტრატეგია

I

შესავალი

21-ე საუკუნე გამოირჩევა მყისიერი ცვალებადობით საერთაშორისო არენაზე არსებული სიტუაციის. ეს იწვევს სახელმწიფოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, და არასამთავრობო საერთაშორისო აქტორებს შორის ურთიერთობის ახალი საფეხურების წარმოშობას;

21-ე საუკუნე გამოირჩევა საერთაშორისო ვაჭრობის სირთულეებით, მზარდი პოტენციური საფრთხეებით როგორც სახელმწიფოებრივი, ისე არასახელმწიფოებრივი აქტორების მხრიდან.

იმ ვითარებაში როდესაც ხდება იარაღის გავრცელება, მათ შორის თანამედროვე შეიარაღები, (მაგ: ზუსტი საშუალო, მოკლე ან შორ მანძილზე მოქმედი ტაქტიკური რაკეტები, ბიოლოგიური იარაღი, ბაქტერიოლოგიური იარაღი, თანამედროვე თვითმფრინავები, წყალქვეშა ნავები) ჩრდილოატლანტიკური ალიანსი შესაძლოა, სირთულეებს წააწყდეს იმ სფეროებსა და იმ მისიების შესრულებაში, რომლებშიც ყოველთვის დომინირებდა.

არსებული ვითარება და სტრატეგიული კონტექსტი საჭიროებს ნატო-ს მიზნების მხარდაჭერას უახლოესი ათწლეულის განმავლობაში და სამხედრო-საზღვაო ძალების მხარდაჭერის გადაფასებას.

იქიდან გამომდინარე, რომ ალიანსის სამხედრო-საზღვაო ძალებს აქვთ კრიტიკულად მნიშვნელოვანი როლი ალიანსის ინტერესების დაცვაში, მთელი სპექტრი შესაძლოა, პრობლემებში აღმოჩნდეს: ეს იქნება თავდაცვა თუ უსაფრთხოება. ასევე, საზღვაო ძალები ასრულებენ საერთო ოპერაციების მხარდაჭერას სამხედრო-საზღვაო მისიებს. რესურსებით ამარაგებენ ნატო-ს ძალებს. ეს ყველაფერი კი ძალიან მნიშვნელოვანია ალიანსის მიზნებისა და ამოცანების შესრულებისთვის, ამიტომაც არის ნატოს საზღვაო სტრატეგიაში აღნიშნული. საზღვაო არეალი ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის ერთობლივი ოპერაციებისთვის შესანიშნავი ადგილია.

ნატო-ს არსებულ სტრატეგიაში ალიანსის არსებულ სტრატეგიულ კონცეფციასთან სრული მიმართებით არის ახსნილი ის მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც სამხედრო-საზღვაო ძალები გადაწყვეტენ ალიანსისთვის მნიშვნელოვან კრიტიკულ პრობლემებსა და გამოწვევებს რომლებიც ეხლა დგას დღის წესრიგში ან მომავალში იქნება. ასევე, სტრატეგიაში მოცემულია ის როლი, რასაც საზღვაო ძალები ასრულებენ ახლა და შესაძლოა მოუწიოთ შეასრულონ მომავალში საზღვაო არეალში, რათა ხელი შეუწყონ ალიანსის დაცვასა, უსაფრთხოებასა და, ამავე დროს, ა მისი ღირებულებების გავრცელებას.

ეს როლები არის განმარტებული III თავში იმაზე დაყრდნობით, რა სტრატეგიული შესაძლებლობების სპექტრი შეუძლია შესთავაზოს სამხედრო-საზღვაო ძალებმა ნატო-ს, მაგალითად :

- კოლექტიური თავდაცვა;
- სტრატეგიული შეკავება;
- კრიზის მენეჯმენტი;
- ერთობლივი თავდაცვა: თანამშრომლობა, დიალოგი და პარტნიორობა;
- საზღვაო თავდაცვა.

ნატო-სა და საზღვაო ძალების შემდგომი ტრანსფორმაცია აუცილებელია, ალიანსის სამხედრო-საზღვაო სტრატეგიის ფარგლებში არსებული მოთხოვნების შესასრულებლად.

ეს გარდაქმნა განხორციელდება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის თავდაცვითი დაგეგმარების კონტექსტში. სტრატეგია არ ისახავს მიზნად დაუყონებლივ გარდაქმნას საზღვაო ძალების შესაძლებლობებს, არამედ ეს უნდა მოხდეს თანდათან, გეგმის მიხედვით, დადგენილ პერიოდში.

II საზღვაო უსაფრთხოების გარემო

მსოფლიო ოკეანე სახელმწიფოებს აერთიანებს, ეკონომიკური ,სოციალური ,სავაჭრო ,ფინანსური და პოლიტიკური კავშირების ქსელში. ამის ყველაზე თვალსაჩინო მტკიცებულება არის სტატისტიკა. მაგალითად, დედამიწის 70% წყლით არის დაფარული. მოსახლეობის 80% ცხოვრობს სანაპიროდან მინიმუმ 100 კილომეტრში. მსოფლიო ვაჭრობის 90% მიმდინარეობს საოკეანო-საზღვაო

ტრანსპორტირებით და აქედან 75% ხორციელდება ძალიან სუსტად დაცული არხებით და სრუტეებით.

საზღვაო არეალი მოიცავს: საზღვაო გზებს, პორტებს, სრუტეებსა, სხვა ინფრასტრუქტურას, მილსადენებს, ნავთობის, ბუნებრივი აირისა პლატფორმებსა და ,ტრანსნაციონალურ საკომუნიკაციო კაბელებს.

მსოფლიო ვაჭრობა ეყრდნობა უსაფრთხოებასა და იაფ საზღვაო სატრანსპორტო გადაზიდვებს, რომლებიც მგრძნობიარეა შეფერხებების მიმართ. მცირე შეფერხებაც კი _ სერიოზულად აისახება მსოფლიოს და წევრი სახელმწიფოების ვაჭრობასა და ეკონომიკაზე.

ოკეანეში მნიშვნელოვანი რესურსებია. კლიმატის ცვლილებებმა შესაძლოა, ამ რესურსების მოპოვება გააადვილოს და ახალი უფრო მიმზიდველი საზღვაო გზები გააჩინოს.

თავისუფლების ხელშეწყობა, ნაოსნობის, საზღვაო-სატრანსპორტო მარშუტების, კრიტიკული ინფრასტრუქტურის, ენერგიის წყაროების, საზღვაო რესურსების დაცვა და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება _ ყველაფერი ეს არის წევრი სახელმწიფოების ინტერესების სფერო. ამავე დროს, მსოფლიო ოკეანე ხდება სულ უფრო და უფრო ხელმისაწვდომი არეალი საერთაშორისო კრიმინალისთვისა და საერთაშორისო ტერორიზმისთვის, რომლებიც ახორციელებენ მასობრივი განადგურების იარაღისთვის საჭირო მასალების გადაზიდვას: იარაღისა ნარკოტიკების ტრანსპორტირებას. საზღვაო არეალში დანაშაულებრივი აქტივობის ზრდა ახშირებს მეკობრეების თავდასხმებს, რაც უსაფრთხოებას უქმნის დიდ საფრთხეს. ეს ყველაფერი ზემოქმედებს საზღვაო გადაზვიდებსა და ვაჭრობაზე.

III საზღვაო ძალების წვლილი ალიანსის უსაფრთხოებაში

ზემოთ აღწერილი ქმედებებს საზღვაო ოპერაციებსა და გარემოებებს სტრატეგიულ საზღვაო გარემოში, შეაქვს და მომავალშიც შეიტანს დიდ წვლილს ალიანსის უსაფრთხოებაში.

საზღვაო ძალების წვლილი ალიანსის უსაფრთხოებაში არის შემდეგი მიმართულებებით:

- შეკავება და კოლექტიური თავდაცვა;
- კრიზისული მართვა;
- ერთობლივი უსაფრთხოება;
- საზღვაო უსაფრთხოება.

ამ მიმართულებების წვლილი გამომდინარეობს და იქნება იმგვარად, რაგვარადაც ამას მოითხოვს საჭიროება და როგორადაც შესაძლებელს ხდის რესურსები, რომლებიც ალიანსს გააჩნია ამათუ იმ მიმართულებით.

ალიანსმა შემდგომი ტრანსფორმაცია უნდა განიცადოს, რაც გაზრდის ეფექტურობას, პარტნიორებს შორის თანამშრომლობის ხარისხს. ასევე, საზღვაო საზოგადოებებთან მათ შორის ყოვლისმომცველი პროგრამის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, თანამშრომლობის ხარისხს გაზრდის არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან საზღვაო სფეროში სამართალდამცავ ორგანიზაციებთან, პარტნიორ თუ არა პარტნიორ სახელმწიფოებთან, იმის გათვალისწინებით,რომ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება და განხორციელება არ შეუძლია რომელიმე ერთ ორგანიზაციას მარტო.

ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად ნატოს სამხედრო-საზღვაო ძალები უნდა იყოს სწრაფი, მოქნილი, უნივერსალური, კარგად აღჭურვილი, სწრაფი რეაგირების შესაძლებლობის მქონე სტრატეგიულ მანძილზე. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ქმედებები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართალს.

კოლექტიური თავდაცვა და შეკავება მათ შორის ბირთული შეკავებაა, ალიანსის მოვალეობების ქვაკუთხედი. შეკავება, მათ შორის ბირთული, ეყრდნობა გამოცდილ ხერხებს: სრულ მზადყოფნას ნებისმიერი საფრთხის წინააღმდეგ, ეფექტურ სტრატეგიულ კომუნიკაციებს...

ნატო-ს სამხედრო-საზღვაო ძალები, მისი შესაძლებლობები, რაც უზრუნველყოფს, სწრაფ რეაგირებას, ლეტალურობას, ხმელეთის ნებისმიერ მანძილზე მოქმედებასა და ზღვაო ძალებისთვის დამახასიათებელ მოქნილობას, არის ნატოს შეკავების პოლიტიკის მთავარი კომპონენტი.

ნატო-ს საზღვაო ძალების დღევანდელი და პოტენციური როლი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვაში, ასევეა, ნატო-ს რეაქციის მთავარი ერთეული, მასობრივი განადგურების იარაღისა და მისი მიწოდების საშუალებების წინააღმდეგ.

ალიანსის გადაწყვეტილებების თანახმად, ნატო-ს სამხედრო-საზღვაო ძალების წვლილი შეკავებაში და კოლექტიურ თავდაცვა მოიცავს შემდეგ კონკრეტულ დადგენილ და განსაზღვრულ მიმართულებებს:

- ბირთული შეკავების ხელშეწყობას არსებული ბირთული სტრატეგიის ფარგლებში;
- სწრაფი რეაგირების ფართო სპექტრის შეთავაზება ალიანსისთვის;
- სწრაფი და გადამწყვეტი დარტყმის განხორციელების შესაძლებლობა ნებისმიერი მტრის წინააღმდეგ;
- სიტუაციის შესაბამისად საზღვაო დესანტის ან საზღვაო დამრტყმელი შეიარაღების გამოყენება;
- საზღვაო კომუნიკაციების კონტროლის შესაძლებლობა;
- საზღვაო ნაღმების წინააღმდეგ ეფექტური ღონისძიებების ჩატარება;
- სანაპიროზე დამრტყმელი ძალის დემონსტრირების შესაძლებლობა;
- ნატო-ს ძალებისთვის დაზვერვის, თვალთვალისა და სხვა საშუალებების გამოყენებით თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;
- თავდაცვის უზრუნველყოფა საზღვაო ბაზირების ბალისტიკური რაკეტებისგან;
- ნატო-ს მოწინავე ძალების მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- ანტისარაკეტო სისტემებით მოკავშირეთა ხმელეთისა და მოსახლეობის დაცვა სარაკეტო თავდასხმისგან.

კრიზისების მართვა

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კრიზისების მართვა მოიცავს: კონფლიქტების თავიდან აცილებას, კრიზისებზე რეაგირების ოპერაციას, მშვიდობის უზრუნველყოფას, ემბარგოს დაწესებასა და ტერორიზმთან ბრძოლას.

ხშირ შემთხვევაში კრიზისული ოპერაციები ტარდება ხმელეთზე, თუმცა საზღვაო ძალების აქვთ დიდი წვლილი იარაღის უკანონო გადაზიდვების

წინააღმდეგ ბრძოლაში; საზღვაო ოპერაციების ჩატარებაში, ტერორისტების, მეკობრეებისა და სხვა კრიმინალური თუ არაკანონიერი საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების წინააღმდეგ ბრძოლაში; ასევე, ზუსტი წერტილოვანი დარტყმის განხორციელებაში, სახმელეთო ძალების მხარდაჭერაში, სადესანტო ძალების ხმელეთზე გადანაწილებაში; ლოგისტიკის, მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერაში, დაზვერვის, თვალთვალის ან სხვა საშუალებებით სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებაში ზღვიდან. ამ მიზნების განხორციელებისთვის საჭიროა, რომ სამხედრო-საზღვაო ძალებში არსებობდეს თანამედროვე სწრაფი რეაგირების დანაყოფები.

ალიანსის სამხედრო-საზღვაო ძალებს უნდა შეეძლოს: კონტროლი ზღვაზე, წყალში, მოწინააღმდეგის ძალების ბლოკირება, ერთობლივი სადესანტო ოპერაციების განხორციელება, ხმელეთის ნებისმიერ წერტილში, ერთობლივი სარაკეტო დარტყმების განხორციელება ნებისმიერ მანძილზე, ნებისმიერი მტრის წინააღმდეგ; ბაზები ოპერაციების წყალზე შესასრულებლად. ეფექტური მმართავის განხორციელება იმისთვის, რომ დამყარდეს კომუნიკაცია და თავსებადობა ნატო-ს არაწევრ სახელმწიფოებთანაც მტრის წინააღმდეგ უპირატესობის მოსაპოვებლად ხმელეთში, ზღვაში, ჰაერში...

ალიანსის სამხედრო-საზღვაო ძალებს უნდა ქონდეს შესაძლებლობა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, სტიქიური უბედურების განმავლობაში, მოკავშირე ქვეყნებს აღმოუჩინოს დახმარება. ხოლო სტიქიური უბედურების შემდგომ მიაწოდოს ჰუმანიტარული დახმარება; ასევე, ალიანსის არაწევრ სახელმწიფოებისთვის არსებული ჰუმანიტარულ მისიებში მონაწილეობის შესაძლებლობა ნატო-ს ჰუმანიტარული მისიებში მონაწილეობის სტრატეგიის ფარგლებში.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო-საზღვაო ძალებს უნდა ახასიათებდეს მსგავსი ტიპის ძალებისთვის დამახასიათებელი მოქნილობა და უნივერსალურობა, რომ საჭიროების შემთხვევაში სწრაფი ან ეტაპობრივი რეაგირება განახორციელოს წევრი ან არაწევრი სახელმწიფოსთვის.

საზღვაო ძალებს უნდა ჰქონდეს მოქმედებისა და მიზნების შესრულების ფართო სპექტრის შესაძლებლობები: ძალის დემონსტრირების ზღვაში; მოკავშირე

სახელმწიფოს მხარდაჭერის; სამხედრო ხომალდების დახმარების; მტრის საზღვაო ძალების სრული განადგურების შესაძლებლობის; მტრის სახმელეთო კომუნიკაციების სრული განადგურების ან კრიტიკული ზიანის მიყენების; მიზნებიდან გამომდინარე, მხარდაჭერის განხორციელება მკაცრ და მტრულად განწყობილ ძალების გარემოში მტრული სახელმწიფოსთვის მშვიდობის იძულების, ტერორიზმისა და მეკობრეების წინააღმდეგ ბროლის.

ერთობლივი უსაფრთხოება, პარტნიორობა, დიალოგი, თანამშრომლობა

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო-საზღვაო ძალებს დიდი როლი აქვთ პროპაგანდის პოლიტიკაში: დიალოგის, თანამშრომლობისა და პარტნიორობის სახით.

ყოველივე ეს არის შესაძლებლობა ,კონფლიქტების თავიდან აცილებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. დიალოგი ზრდის ალიანსის გამჭირვალობასა და მის მიმართ ნდობას. ასევე, ხელს უწყობს ნატო-ს მოკავშირეების პოტენციალის ამაღლებას, ინფორმაციის გავრცელებას, ერთობლივ უსაფრთხოებასა და ოპერატიულ თავსებადობას. ერთობლივი საზღვაო ოპერაციები მოკავშირე სახელწმიფოებს შორის პარტნიორობის ხარისხს ზრდის.

ნატო-ს სამხედრო-საზღვაო ძალებია საუკეთესო საშუალება, რათა პარტნიორ არაწევრ სახელმწიფოებს ალიანსმა გამოუცხადოს მხარდაჭერა მისი სამხედრო-საზღვაო ხომალდების ვიზიტების მეშვეობით.

ნატო პარტნიორ არაწევრ სახელმწიფოებთან დიალოგის ფარგლებში ატარებს ტრენინგებს, სემინარებს, საზღვაო თუ სახმელეთო წვრთნებს, რომლითაც მათი პოტენციალის ამაღლებს. მსგავსი ქმედება იწვევს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ღირებულებების გავრცელებას.

საზღვაო უსაფრთხოება

ფართო ძალისხმევის ფარგლებში, საფრთხის განეიტრალების მიმართულებით, რომელიც საზღვაო სივრცეში წარმოიქმნება, ნატო-ს სამხედრო-საზღვაო ძალებს შეუძლიათ, შეიტანონ წვრილი იმ უნიკალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე რაც საზღვაო ძალებს გააჩნია. ყოველდღიური

საქმიანობის (პატრულირება, დაზვერვა, თვალთვალი შემოწმება, საზღვაო ხომალდების თანხლება დაცვა) განხორციელების სახით.

საერთაშორისო-სამართლებრივი საფუძველი არსებობს საკმარისი იმისთვის, რომ ალიანსისთვის საჭირო მისიებისა და ოპერაციების განხორციელდეს საერთაშორისო სამართლის ფარგლებში.

საერთაშორისო სამართლის ფარგლებში ნატო-ს სამხედრო-საზღვაო ძალებს უსაფრთხოებისთვის და მშვიდობისთვის წვლილი შეაქვს:

პატრულირებით, დაკვირვების განხორციელებით, ინფორმაციის შეგროვებითა და გაცვლით შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებთან დაგეგმილი ოპერაციის ფარგლებში. კონკრეტული ოპერაციის ფარგლებში, ზღვაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ალიანსის ტერიტორიაზე ან მის გარეთ პატრულირებისა და სპეციალური ოპერაციების ჩატარება ან დავალებების შესრულება;

ნატო-ს საზღვაო-სამხედრო ძალების მხრიდან ფართო სპექტრის შესაძლებლობების განხორციელება. მაგალითად: მტრული ან კრიმინალურ საქმიანობაში შემჩნეული საზღვაო ხომალდის დაკავება, სამართალდამცავი ორგანოების მხარდაჭერა, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების ხელის შეშლა. ასევე, თავისუფალი ნაოსნობის მხარდაჭერა;

კონკრეტული ოპერაციის ფარგლებში , ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს ნებართვით ლისაბონის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, ნატო-ს სამხედრო-საზღვაო ძალების მხრიდან სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ენერგეტიკული სფეროს, მისი კრიტიკული ინფრასტრუქტურის, კომუნიკაციების დასაცავად და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

IV ყოვლისმომცველი მიდგომა საზღვაო არეალში

სამხედრო-საზღვაო ძალების ბუნება არის იმგვარი, რომ საჭიროა სხვა საზღვაო სუბიექტებთან ურთიერთქმედება, იმის მიუხედავად, რა მიზნებისა და ამოცანების შესრულებაა სავალდებულო. აქედან გამომდინარე, საზღვაო გამოცდილება გვასწავლის ყოვლისმომცველი მიდგომის საჭიროებასა და მნიშვნელობას.

ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა შეიმუშავა გეგმა ამ მიდგომის მხარდასაჭერად რომელიც მოიცავს:

1.ალიანსი ყოვლისმომცველი გეგმის თანახმად, შეეცდება, მყარი კავშირების დამყარებას შესაბამის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საზღვაო სივრცეში, ისეთებთან როგორიცაა: ევროკავშირი და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ამით ხელი შევუწყოთ საერთო მიზნების განხორციელებას: კონფლიქტების თავიდან აცილება, პარტნიორების პოტენციალის ამაღლება, თავისუფალი ნაოსნობის მხარდაჭერა, და უზრუნველყოფა, საერთაშორისო-საზღვაო სამართლის დაცვა და ალიანსის ღირებულებების გავრცელება;

2.ნატო-ს სამხედრო-საზღვაო ოპერაციები, რომლებიც ეხება საერთაშორისო ორგანიზაციებს, რეგიონალური დონის ორგანიზაციებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, სამართალდამცავ ორგანოებს, პარტნიორ ან არაპარტნიორ სახელმწიფოებს უნდა იყოს კარგად გააზრებული და კოორდინირებული რადგან პატივი სცეს ყველა ზემოთ ჩამოთვლის მათ კულტურას .მსგავსი სახის ოპერაციები უნდა იყოს ეფექტური და კარგად კოორდინირებული, ამის მიღწევა კი საჭიროებს ურთიერთქმედებას, კომუნიკაციას ,სწავლებას და ურთიერთ თანამშრომლობას.

V საზღვაო სტრატეგიის რეალიზაცია ალიანსის მუდმივი ტრანსფორმაციით

ზემოთ აღნიშნული მიზნებისა და შესაძლებლობების შესასრულებლად საჭიროა, ალიანსის სამხედრო-საზღვაო ძალების შემდგომი განვითარება და ტრანსფორმაცია, პროცესების, რომლებიც უნდა დაფუძნვნდეს ახალი ტექნოლოგიებსა და ინოვაციურ მეთოდებზე; ორგანიზაციის სტრუქტურის გაუმჯობესებაზე; ,კავშირების და თანამშრომლობის გაფართოებაზე; რესურსების გაერთიანებაზე, დოქტრინების შემუშავებაზე ,სწავლებაზე და განათლებაზე.

ნატოს თავდაცვითი დაგეგმარება ითამაშებს დიდ როლს სამხედრო-საზღვაო ძალების შემდგომი ტრანსფორმაციაში რაც აუცილებელია იმისთვის ,რომ ალიანსი იყოს მზად ტრადიციული თუ ახალი სახის ასიმეტრიული საფრთხეებისთვის. ამ პროცესში მნიშვნელობა ენიჭება სწრაფი რეაგირების მქონე თანამედროვე აღჭურვილობის სამხედრო-საზღვაო ძალებს.

თავი შეჯამების სახით შეგვიძია ვთქვათ ნატოს სამხედრო-საზღვაო სტრატეგია განსაზღვრავს ალიანსის სამხედრო ძალების ოთხ უმნიშვნელოვანეს

როლს: შეკავება(მათ შორის, ბირთული) და კოლექტიური თავდაცვა; კრიზისული მართვა; ერთობლივი უსაფრთხოება; საინფორმაციო პროპაგანდისტული საქმიანობა პარტნიორობის, დიალოგის, ზღვაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის მეშვეობით;

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს უკვე დაუგროვდა საკმარისი გამოცდილება ამ როლების შესრულებაში, რომლებიც სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება დღეს უსაფრთხოების რთულ გარემოში;

ის მოქმედებები, რომლებსაც ალიანსი განახორციელებს ამ სტრატეგიის ფარგლებში, შესრულებულდება საერთაშორისო სამართლის მიხედვით;

სტრატეგიაში დასმული საკითხები, პრობლემები და შესაძლებლობები მოგვარდება, განხორციელებდება და რეალიზდება, ალიანსის ბიუჯეტის შესაძლებლობების შესაბამისად.[37]

სამხედრო-საზღვაო სტრატეგია არის მიმართული იმისკენ, რომ ალიანსი მზად იყოს ყველა სახის ჰიპოთეტური თუ რეალური საფრთხისთვის და მას გააჩნდეს მოქნილი ,ეფექტური, უნივერსალური ,ძლიერი სამხედრო-საზღვაო ძალები, რათა ეს საფრთხე გაანეიტრალოს.[38]

[37] Deterrence and defence,გვ.1 https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_133127.htm (უკანასკლელად იქნა გადამოწმებული 11.05.2021)

[38] Rapid Air Mobility,გვ.1 https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_175432.htm (უკანასკლელად იქნა გადამოწმებული 20.05.2021)

დანართი #5.

ისტორია

აშშ-ს ფლოტის ისტორია კონტინენტალური ფლოტიდან იწყება. კონტინენტალური ფლოტს ზღვაოსნობისა და მეკობრეობის საწყისები აქვს, რომლებიც ამერიკის კონტინენტზე კოლონიური ეპოქიდან არსებობს და გავრცელებული იყო, რაც არა უნდა გაგვიკვირდეს, რადგან კოლონისტები კანონმორჩილი პატიოსანი ადამიანები არ იყვნენ. ბევრი კოლონისტი იყო ყოფილი პატიმარი ან სიკვდილმისჯილი, რომლებიც ციხიდან და სახრჩობელადან იხსნა კოლონიურ ამერიკაში გამგზავრების არჩევანმა.

როდესაც ამერიკაში გაჩნდა დამოუკიდებლობის სურვილი და დაიწყო დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა, კონგრესს დასჭირდა სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ატრიბუტები, მათ შორის სამხედრო-საზღვაო ფლოტი. მანამდე, სანამ დაიწყებოდა საზღვაო ხომალდების აგება, დაიქირავეს უკვე არსებული საზღვაო ხომალდები. კონგრესი საზღვაო ძალების დაარსებას 1775 წლიდან აპირებდა. პირველი პრაქტიკული ნაბიჯები ოქტომბერში გადიდგა, როდესაც იყიდეს ორი სამხედრო გემი; შემდგომ კიდევ ორი უფრო მძიმე ჯავშნიანი გემები რომლებიც განკუთვნილი იყო ბრიტანული გემების აბორდაჟი რებისთვის. ასევე, შეიმუშავეს საზღვაო ფლოტის ხელმძღვანელობა და კონტინენტური საზღვაო ქვეითები .

პირველი სერიოზული ნაბიჯი გახდა ფრეგატების მშენებლობა; გეგმაში. 5 ფრეგატის აგება იყო. ეს ძალიან ამბიციური განაცხადი გახლდათ, ვინაიდან არ არსებობდა გემების მშენებლობის გამოცდილება და არც მასალა, თუმცა ამერიკელებმა მაინც შეძლეს დაგვიანებით, მაგრამ 1776 წელს სამხედრო-საზღვაო გემების აშენება და წყალში ჩაშვება.

კონტინენტალური ფლოტის პირველი სამხედრო ოპერაცია, სადაც ქვეითებიც მონაწილეობდნენ, 1776 წლის 3 მარტს იყო: დესანტირება ნასაუში დენთისა და ჭურვების საწყობის ხელში ჩასაგდებად. ოპერაცია წარმატებული აღმოჩნდა, მაგრამ ნასაუს გუბერნატორმა, რომელიც წინასწარ გაფრთხილეს, დიდი ნაწილი დენთისა და ჭურვების სხვაგან გადაიტანა.

კონტინენტალური ფლოტის მთავარი ამოცანად ამ დროსათვის რჩებოდა ბრიტანული ხომალდების განადგურება, რომლებიც მხარს უჭერდნენ ბრიტანულ არმიას კონტინენტზე.

კონტინენტური ფლოტი დაიშალა 1785 წელს, როდესაც ომი დამთავრდა და ოფიციალურად უკვე ახლად აღმოცენებულმა რესპუბლიკამ დაიწყო არსებობა და სამშვიდობო ხელშეკრულებები დაიდო სახელმწიფოებთან.

კონგრესმა 1794 წელს გამოსცა აქტი, რომლითაც დაიწყეს ახალი ფლოტის მშენებლობა.

1812- 1814 წლებში ამერიკულმა ფლოტმა მიაღწია წარმატებას და დაამარცხა ბრიტანული ერისთვისა და შამპლეინისთვის ბრძოლაში.

1845 წელი ამერიკის ფლოტის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თარიღია, რადგან ანაპოლისში სამხედრო-საზღვაო აკადემია დაარსდა.

სამოქალაქო ომის დროს, 1861-1865 წლებში, ჩრდილოეთელთა მხარეს დარჩა ფლოტის უდიდესი ნაწილი, რამაც სამხრეთის პორტების ბლოკადა გახადა შესაძლებელი .

სამოქალაქო ომის შემდეგ ფლოტის მისია ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა გახდა, თუმცა საომარი საფრთხის არარსებობამ ფლოტის განვითარებას დიდი საფრთხე შეუქმნა, ვინაიდან არასაომარ მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფოს არ სურდა ფლოტზე დიდი რაოდენობით თანხები დაეხარჯა. ამ გარემოებამ გამოიწვია ის, რომ 1890-იან წლებამდე ამერიკული ფლოტის განვითარება თითქმის შეჩერდა.

სრულფასოვანი საოკეანო ფლოტის შექმნა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარმა განპირობა, გეოპოლიტიკური და სავაჭრო ინტერესებიდან გამომდინარე. იდეოლოგიური საფუძვლის გაჩენის შემდეგ სამხედრო-საზღვაო თეორეტიკოსის კონტრ-ადმირალი ალფრედ ტეიერ მეჰენი მხრიდან, რომელმაც საზღვაო ძალის თეორია შექმნა. ამერიკა ნაოსნობის დაცვიდან ამერიკის ზღვაზე ბატონობის გეგმაზე გადავიდა დასავლეთ ნახევარსფეროში.

1898 წელს, ამერიკა-ესპანეთის ომის დროს, ამერიკელებმა ესპანეთის ფლოტის დამარცხება მოახერხეს ფილიპინებთან, რამაც ესპანური ხომალდების კუბის

პორტში ბლოკირება მოახდინა და დესანტის გადასხმის შესაძლებლობა მისცა ამერიკელებს.

შემდგომ ამერიკელებმა ფლოტის განვითარება განაგრძეს მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, რომ გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევა სრულფასოვანი ძლიერი სამხედრო-საზღვაო ფლოტის გარეშე შეუძლებელია.

1916 წელს დაიწყო გემთმშენებლობის ახალი პროგრამა. 1917 წლის 6 აპრილს ამერიკამ პირველ მსოფლიო ომში ჩაება ანტანტის მხარეს. ამერიკულმა ფლოტმა ამერიკელი ჯარისკაცების გადასხმა განახორციელა ევროპაში. ებრძოდა გერმანულ წყალქვეშა ნავებს ატლანტიკის ოკეანეში. იმ დროს გამოჩნდა, რომ ლინკორის ტიპის სამხედრო-საზღვაო ხომალდები არ იყო ეფექტური თანამედროვე ბრძოლის საშუალებების წინააღმდეგ, როგორიც იყო მაშინ წყალქვეშა ნავები და თვითმფრინავები. ამიტომ ესმინეცის ტიპის საზღვაო ხომალდებს და შედარებით მცირე ზომის გემებს მიენიჭა უპირატესობა დაიწყო ახალი ეპოქა სამხედრო-საზღვაო ხომალდების მშენებლობასა და ექსპლუატაციაში.

დანართი #6.

სტრუქტურა



დანართი #7.

სტრუქტურა



დანართი #8.

ადმინისტრაციული ორგანიზაცია

ოპერატიული ძალები (Operating Forces)

შეერთებული შტატების საზღვაო სარდლობა-(US Fleet Forces Command, ყოფილი ატლანტიკის ფლოტი)

წყნარი ოკეანის ფლოტი(Pacific Fleet)

საზღვაო ძალების რეზერვის სარდლობა (Naval Reserve Forces)

ოპერატიული სატესტო და შეფასების ძალები (Operational Test & Evolution Forces)

სპეციალური დანიშნულების ძალების სარდლობა(Naval Special Warfare Command)

ინფორმაციული სისტემების საბრძოლო გამოყენების სარდლობა (Naval Network Warfare Command)

აშშ-ს სამხედრო საზღვაო ძალების სარდლობა ევროპაში (U.S Naval Forces Europe)

აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლობა გაერთიანებულ ცენტრალურ ზონაში (U. S Naval Central Command)

საზღვაო გადაზიდვების სარდლობა(Military Sealift Command)

სანაპირო სარდლობა (The Shore Establishment)

სასწავლო სარდლობა (Naval Education and Training Command)

მეტეოროლოგიის და ოკეანოგრაფიის სარდლობა(Naval Meteorology and Oceanography)

დაზვერვის სარდლობა(Office of Naval Intelligence)

იურდიული მომსახურეობის სარდლობა (Naval Legal Service Command)

გემთა მშენებლობის და შეიარაღების სარდლობა (Naval Sea Systems Command)

საავიაციო-ტექნიკური სარდლობა (Naval Air Systems Command)

კოსმოსური საშუალებების და საბრძოლო სისტემებით უზრუნველყოფის სარდლობა (Space & Naval Warfare Systems Command)

ჰაერსაწინააღმდეგო და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სარდლობა (Naval Air and Missile Defense Command)

მომარაგების სარდლობა(Naval Supply Systems Command)

სამშენებლო-საინჟინრო სარდლობა (Naval Facilities Engineering Command)

კადრების მართვის მთავარი სარდლობა (Bureau of Naval Personnel)

მთავარი სამედიცინო სარდლობა (Bureau OF Medicine and Surgery Command)

სტრატეგიული სისტემების პროგრამა (Strategic Systems Command)

სამხედრო-საზღვაო აკადემია (United States Naval Academy)

ავიაციის საბრძოლო გამოყენების ცენტრი (Naval Strike & Air Warfare Center)

უსაფრთხოების ჯგუფების სარდლობა (Naval Security Group Command)

სამხედრო-საზღვაო ობსერვატორია (United States Naval Observatory)

უსაფრთხოების სამხედრო-საზღვაო ცენტრი (Naval Safety Center)[39]

ოპერატიული ორგანიზაცია

აშშ-ს ფლოტის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყველაზე მაღალი ოპერატიული დანიშნულების ფორმაციაა. მისი ოპერატიული ფლოტები, რომლებიც როტაციის პრინციპით აღიჭურვება სათანადო გემებით, დამხმარე საზღვაო გემებითა და სამხედრო-საზღვაო ქვეითი კორპუსის ქვედანაყოფებით. მას შემდეგ, რაც თითოეული კომპონენტი, ეს იქნება გემები თუ დამხმარე სახის გემები, გაივლიან შემოწმებას და სრულ საბრძოლო მზადყოფნაში არიან, ფლოტის შემადგენლობაში იწყებენ კონკრეტული მისიის შესრულებას. როტაციის პრინციპის შედეგად ჩვეულებრივ ექვს თვეს წარმოადგენს მსახურების დრო .

აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლობა (ყოფილი ატლანტიკის ფლოტი)

ქმნის: მე-2 ფლოტი; (ჩრდილო ატლანტიკური)

მე-4 ფლოტი;(სამხრეთ ატლანტიკური ,კარიბი და სამხრეთ წყნარი ოკეანე)

მე-6 ფლოტი.(ხმელთაშუა ზღვა)

წყნარი ოკეანის ფლოტი ქმნის:

მე-3 ფლოტი; (აღმოსავლეთი და ცენტრალური წყნარი ოკეანე)

მე-5 ფლოტი;(ინდოეთის ჩრდილო -დასავლეთ ოკეანე)

მე-7 ფლოტი. (წყნარი ოკეანე)

ოპერატიული ფლოტების შემადგენლობაში ხდება ფორმირება ოპერატიული გაერთიანებები, ჯგუფები და რაზმები.

[39] OPERATIONAL,აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტი გვ.1 https://www.defense.gov/Experience/Military-Units/Navy/#999.0625 (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 19.05.2021)

ოპერატიულ ფორმირებებს ენიჭებათ ნომრები ოპერატიული ფლოტის შესაბამისად

(მაგ 20,30,40,50,60).

ოპერატიულ ჯგუფებსა და რაზმებს ოპერატიული ფორმირებებიდან გამომდინარე (მაგ 60.1).

სამხედრო-საზღვაო ბაზები

აშშ-ს ატლანტიკის სანაპირო:

შეერთებული შტატების საზღვაო ძალების სარდლობა;

Norfolk- აშშ-ს სამხედრო ფლოტის სარდლობის მთავარი ბაზა.

Little Creek

Naval Station Mayport

Naval Submarine Base Kings Bay

Naval Base Rota

Naval Support Activity Naples

Guantanamo Bay Naval Base

Key West

წყნარი ოკეანის ფლოტი

Naval Base San Diego

Bremerton

Bangor

Coronado

Pearl Harbor

Apra Harbor

Yokosuka (იაპონია)

Naval Support Activity Bahrain[40]

სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო შემადგენლობა

მრავალ ფუნქციური ბირთულ ძრავიანი ავიამზიდები :

კლასი (Nimitz)

[40] Navy Base Guide List,სამხედრო ბლოგი military.com,გვ.1 https://www.military.com/base-guide/browse-by-service/navy (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 19.05.2021)

1. CVN-68 Nimitz 1975

2. CVN-69 Dwight D. Eisenhower 1977

3. CVN-70 Carl Vinson 1982

4. CVN-71 Theodore Roosevelt 1986

5. CVN-72 Abraham Lincoln 1989

6. CVN-73 George Washington 1992

7. CVN-74 John C. Stennis 1995

8. CVN- 75 Harry S. Truman 1998

9. CVN-76 Ronald Reagan 2003

10. CVN-77 George H. W. Bush 2009

კლასი (Gerald R Ford)

11 CVN-78 Gerald R Ford 2009

კლასი კრეისერი, ტიპი (Ticonderoga) 22 ერთეული

კლასი საესკადრო ნაღმოსანი, ტიპი(Arleigh Burke) 67 ერთეული

კლასი ნაღმოსანი, ტიპი (USS Zumwall)

კლასი ლიტორალური საბრძოლო გემი, ტიპი (Freedom) 8 ერთეული

ტიპი (Independence) 10 ერთეული

კლასი საპატრულო გემები, ტიპი(Cyclone) 13 ერთეული

წყალქვეშა ნავები

აშშ-ის სამხედრო საზღვაო ფლოტის განკარგულებაში 69 წყალქვეშა ნავია:

კლასი სტრატეგიული სარაკეტო წყალქვეშანავები, ტიპი (Ohio) 13 ერთეული;

კლასი სტრატეგიული წყალქვეშა ნავი მართვადი ფრთოსანი რაკეტებით ტიპი (Ohio) 4 ერთეული;

კლასი მრავალფუნქციური წყალქვეშა ნავი , ტიპი (Los Angeles) 32 ერთეული;

კლასი მრავალფუნქციური წყალქვეშა ნავი ტიპი (Seawolf) 3 ერთეული;

კლასი მრავალფუნქციური მეოთხე თაობის წყალქვეშა ნავი ტიპი (Virginia) 17 ერთეული;

სადესანტო გემები

კლასი სადესანტო ტიპი (Blue Ridge) 2 ერთეული;

კლასი უნივერსალური სადესანტო გემი, ტიპი (Wasp) 8 ერთეული;

ტიპი (America) 1 ერთეული;

კლასი სადესანტო-ვერთმფრენმზიდი ,ტიპი (San Antonio) 11 ერთეული;

კლასი სადესანტო სატრანსპორტო- დოკი, ტიპი(Whidbey Island) 8 ერთეული;

ტიპი (Hapers Ferry) 4 ერთეული;

კლასი ნაღმ საწინააღმდეგო გემები, ტიპი (Avenger) 11 ერთეული;

აშშ-ს ფლოტის საბრძოლო ავიაცია;

თვითმფრინავების ესკადრილია 67;

მოიერიშე გამანადგურებლები - ტიპი;F/A 18E/F –(467 ერთეული)

მოიერიშე- გამანადგურებლები - ტიპი F/A- 18A /B/C/D ;(400 ერთეული)

საავიაციო დაზვერვის და აღმოჩენის კომპლექსი E-2C; (55 ერთეული)

რადიო ელექტრონული ბრძოლის საშუალებები EA-6B;(82 ერთეული)

სატრანსპორტო თვითმფრინავები -C2A;(37 ერთეული)

ვერტმფრენები - 373 ერთეული მათ შორის:

1.ნაღმსაწინააღმდეგეო - SH-60F და HH-60-H;(83 ერთეული)

2. მსუბუქი მრავალ ფუნქციური- SH-60B;(144 ერთეული)

3. სამხედრო მხარდაჭერის- MH-60S; (93 ერთეული)

4.მრავალ ფუნქციური -MH-60 R.(25 ერთეული)[41]

გემბანის ავიაცია

მრავალ ფუნქციური მე-5 თაობის სტელსის ტიპის გამანადგურებელი F-35

გემბანის ბომბდამშენი - F/A-18 Horent

გემბანის მოდერნიზებული ბომბდამშენი -F/A-18 E Super Hornet

რადიოლოკაციური აღმოჩენის გემბანური თვითმფრინავი - E-2 Hawkeye

მრავალ ფუნქციური კონვერტოპლანი V-22 Osprey[42]

---

[41] US Navy Aircraft Carriers,საზღვაო ისტორიისა და მემკვიდრეობის სარდლობა,გვ.1 https://www.history.navy.mil/our-collections/photography/us-navy-ships/aircraft-carriers.html (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 19.05.2021)

[42] US Navy Ships, ,საზღვაო ისტორიისა და მემკვიდრეობის სარდლობა,გვ.1 https://www.history.navy.mil/our-collections/photography/us-navy-ships.html (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 20.05.2021)

დანართი #9.

სტრუქტურა



სპეციალური დანიშნულების ძალები



ფლოტები



დანართი #10.

NATO Ballistic Missile Defence Architecture as of 2019
Protecting NATO's Populations, Territory, and Forces
NATO
OTAN
Aegis Ashore
"Sensor, Shooter"
Deveselu, Romania
2016
Satellite provides
early warning for
NATO BMD
Aegis Ashore
Redzikowo
"Sensor, Shooter"
Poland - 2020/2021
NATO Command
Center
Ramstein, Germany
4 US Aegis BMD-capable Ships
"Sensor, Shooter"
Rota, Spain
BMD Tracking Radar
"Sensor"
Kurecik, Turkey
Patriot / SAMP-T
Sea Based
Radar
Land Based
Radar
Ship Force
Protection